გუგული ტოგონიძე

თეონა

”ეროვნული მწერლობა”

თბილისი 2009

თეონა არდადეგებზე ბებოსთან ჩადის სოფელში. ბებო სულ საქმიანობს, ახლომახლო ბავშვები არ ჩანან, ამიტომ თეონა მეტწილად თოჯინასთან თამაშობს...

და აი, ერთ დღეს მის ბავშვურ სამყაროში შემოიჭრება ოცნების გმირი, მონადირე ბიჭი — სინდისის, მეგობრობის, ერთგულების განსახიერება... თეონას მოსწყინდება მარტოობა და ბავშვთა დასასვენებელ სახლ «ციცინათელაში» მიიპარება... იქ «რომანტიკოსთა სასახლეში» ძმადნაფიცებს გაიჩენს... მათთან ერთად ადის ჭინკების გორაზე მზის ამოსვლის სანახავად... «ციცინათელაში» ახალ მეგობრებთან ურთიერთობისას ათასი კითხვა უჩნდება და მათ პასუხს ეძებს...

რედაქტორი:	ზურაბ თორია
მხატვარი:	მანანა მორჩილაძე
დიზაინერი:	სალომე პაიჭაძე

ISBN 978-9941-0-2051-3

შ ი ნ

მზეს ჯერ კიდევ არ ამოწვერილიყო, თეონა თვალების ფშვნეტით აივანზე რომ გამოვიდა და უცებ ისე შეჰკივლა, მოაჯირზე გადმოპარულ ვეება კაკლის ტოტებზე ღუნღულა ბარტყებივით შემომსხდარი ბერწანეძები შეტოკდნენ და ტოტზე ყუნწით მიკრულნი რომ არ ყოფილიყვნენ, ალბათ პარტყა-პურტყით ძირს დაცვივდებოდნენ. ეზოში მოსეირნე ქათმებმა კრიახი ატეხეს, ბალახებში გაწოლილ მთვლემარე მურას ეგონა, მელა შემომეპარაო, ერთი დაიღრინა და თვალისდახამხამებაში ყეფით ეკალბარდებთან მივარდა. ძილ-ღვიძილის ბურუსში გახვეულ სალომე ბებოს კი მოეჩვენა, ბნელეთის სულმა დამჩხავლაო და ზამბარებიან საწოლში ისე შეხტა, იატაკზე გადმოვარდნას ცოტაღა დააკლდა.

ყველაზე ადრე მაინც სალომე ბებო მოეგო გონს, კაბა მოძებნა, სასწრაფოდ გადაიცვა და ოთახიდან გამოფლატუნდა.

_ ამ რიჟრაჟზე რა გაკივლებს შე ნაცილდასაცემო, შენა?! — შორიდანვე დაუძახა, საღ-სალამათ შვილიშვილს თვალი რომ მოჰკრა. თეონამ ხმა რომ არ გასცა, გული დაიმშვიდა. — აღარ გაჩუმდები? ნეტა, რა წაგეკიდა?! — გასძახა მურას, მერე თეონას მოუბრუნდა, — გოგო, ამ უთენია ლოგინიდან რამ წამოგაგდო?

თეონა არც ინძრეოდა, გაბუტულივით ხმასაც არ იღებდა.

— ამხელა გოგო რანაირად იქცევი, არ იტყვი, რა დაგემართა?

«როცა უნდათ დიდი ვარ, როცა უნდათ — პატარა!» — გაიფიქრა თეონამ და ტუჩები ისე საყვარლად გაბუსხა, სალომე ბებოს ღიმილი მოჰგვარა.

— ალბათ, სიზმრების ქვეყანაში იყავი და ვიღაცამ შეგაშინა. მერე მომიყვები, ხომ?.. ახლა კი წავალ და საქმეს მივხედავ, — უთხრა ალერსიანად, წინსაფარი გაიკეთა და კიბეს ჩაუყვა.

თეონა ოთახში შებრუნდა, ბალიშზე პირაღმა მწოლი თოჯინა ხელში აიყვანა და გულზე მიიხუტა.

«დახე, სიზმარმა რომ დამაფრთხო, ბებო მიმიხვდა,» — გაიფიქრა.

ჰო, ესიზმრა... კაკლის ხიდან კაჭკაჭი ჩამოფრინდა... მზექალას დააცხრა, ნისკარტი ჩაავლო და შურდულივით გარეთ გაიჭრა... «დამიბრუნე ჩემი თოჯინა!» — ყვირილით გამოენთო გოგონა გამტაცებელს. ის კი ფრენას აგრძელებდა... სულ ფრენა-ფრენით მისდევდა თეონაც. უცებ ქარმა ფრთა გაჰკრა გოგონას და მიწაზე დაანარცხა...

შეშფოთებულს გამოეღვიძა, ლოგინიდან წამოხტა, აივანზე გაიჭრა და კაკლის ხეზე შემოსკუპებულ კაჭკაჭს მუქარით შესძახა:

_ შე, ქურდბაცაცავ, შენა, რატომ მომტაცე მზექალა? საძაგელო, დამაცა!..

ჩიტმა ჭყრიალი მორთო, ნეტა, ეს გოგო რამ გადარიაო, მოსამართ თოჯინასავით ხის ტოტზე ახტა და დახტა.

_ რა იყო, ქურდი რომ გიწოდე გეწყინა? ვითომ პირველად ჩაიდინე, ხან რას მპარავ, ხან რას...

კაჭკაჭმა თითქოს ნათქვამი გაიგოო, ცალი თვალი მოჭუტა და თავი ჩაქინდრა.

_ გეხუმრე, მართლა ქურდი რომ იყო, არც კი დაგელაპარაკებოდი. თუმცა ხმის გამცემი სხვა ვინა მყავს... ბებოს თავზე საქმე გამოულევლად აყრია, დედიკო და მამიკო აქ არ არიან. რა უნდა ვქნა? შენ და მზექალას გელაპარაკებით, აბა, სულ წიგნებს ხომ არ ვიკითხავ... იცი, მამამ ლამაზსურათებიანი წიგნი მაჩუქა, წაიკითხეო. წიგნში ოქროსთმიანი მზეთუნახავი ეხატა. ჯიხვთა დედოფალი დალიაო, მითხრა მამამ. იქ მხარზე მშვილდგადაკიდებული ჭაბუკიც ეხატა. იმაზე თქვა, მონადირეაო. ერთგან კლდეზე იჩეხებოდა, ნეტა რატომ-მეთქი, დამაინტერესა და წიგნი წავიკითხე... გინდა შენც გაიგო ვინ იყო დალი და მშვილდისრიანი მონადირე?

დალი და მონადირე

თურმე დიდი ხნის... ძალიან დიდი ხნის წინათ, იქ... — თეონამ ხელი აღმოსავლეთისკენ გაიშვირა, სკამიდან წამოდგა, მოაჯირს მიეყრდნო და მაღალ მთას გახედა.

მზეს ჯერ მხოლოდ შუბლი ამოეყო. ქლიავისფერ ტატნობზე ცეცხლწაკიდებული მწვერვალები ჩანდნენ. სიფრიფანა ღრუბელი ბუტია გოგოსავით განზე გამდგარიყო. მზე ღრუბელს მოეფერა, ალერსიანი სხივი ესროლა და მთებისკენ მისწია. ღრუბელი სიხარულისაგან გაწითლდა. შიგ ჩახლართული მზის სხივები მზეთუნახავის თმასავით გაიშალა და ქარაფზე ჩამოეშვა.

თეონა მონუსხულივით იდგა, სულ გადაავიწყდა კაჭკაჭი და მზექალა. უცებ მოეჩვენა, მოეჩვენა კი არა, მისთვის რომ გეკითხათ, მართლა დაინახა, ოქროსფერი ნისლიდან, წიგნში რომ ეხატა აი, ისეთი, გრძელდალალება დალი გამოვიდა და ოქროსფერი თმა მის კალთაზე გაშალა... მერე თითქოს მგლის ყმუილიც შემოესმა. სინამდვილეში ბებოს მურამ დაიღრინა, მაგრამ თეონა ამაში ისე იყო დარწმუნებული, დედასაც დაიფიცებდა.

... აი, ახლა ნაწნავებით აიყვანს დალი ბავშვს, მონადირემ მგელს რომ გამოსტაცა, — გაიფიქრა თეონამ, — ნეტა, ძალიან ღონიერი იყო მონადირე? როგორ ადიოდა იმ კლდეზე, სადაც თურმე, მხოლოდ ჯიხვები ადიან?.. ფეხი რომ დასცურებოდა, უფსკრულში გადაიჩეხებოდაო... ღამით იმ მთებში მარტოდმარტო დადიოდაო. არ ეშინოდა? გულადი იყოო. ამიტომ მოეწონა ოქროსთმიან კლდის დედოფალს... მერე... მერე რატომღა შეიტყუა მთებში და გადაჩეხა უფსკრულში? შური იძიაო, დალიმ. რატომ? რისთვის?»

_ ცოდო არ იყო მონადირე? — ჰკითხა ამასწინათ თეონამ მამას.

_ რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა მამამ.

_ რატომ გადააგდო?

_ ღირსი იყო! — გამოსძახა მეორე ოთახიდან დედამ.

_ ვერაფერი გავიგე! — ჩაილაპარაკა თეონამ.

_ გაიზრდები და გაიგებ! — ერთხმად მიუგო ორივემ...

ამასობაში მზემ ტანიც ამოზიდა და მთის წვერზე ზღაპრულ ყაყაჩოსავით აბდღვრიალდა.

ვარდისფერი ნისლი გაიცრიცა, გაბაცდა და ჯიხვთა დედოფალიც გაქრა...

«კლდის დედოფალი» თეონა

თეონა ხშირად მარტო რჩება. მეტი რა გზა აქვს, თოჯინას ეთამაშება.

ხანდახან წიგნს გადაშლის და ზღაპრებს კითხულობს.

_ როდის ისწავლი ნეტა კითხვას? — ეტყვის ხოლმე თოჯინას, — მალე სწავლა დაიწყება და შენთვის აღარ მეცლება.

_ ვის ელაპარაკები, თეონა? — ეკითხებიან.

_ მზექალას, — უპასუხებს ხოლმე განაწყენებული შემოსწრებულთ. არ უყვარს ამ დროს ვინმე ხელს რომ უშლის.

აი, ახლაც მარტოა თეონა. ჯიხვთა დედოფლობანას თამაში მოუნდა (ცამდე აზიდული მთების დანახვა რომ არა, იქნებ ასე ხშირად არც კი გახსენებოდა დალი).

ბებოს ზანდუკს თავი ახადა: ქათქათა მანდილი, ოქრომკედით ნაქარგი გულისპირი, თვლებით მოოჭვილი ქამარი ამოალაგა, გამოეწყო და მოაჯირთან მივიდა.

თეონა პირველად მამალმა შეამჩნია.

«ყიყლიყო!» — დაჰყივლა.

ეს ნიშნავდა, ვიღაც აპარულა სახლშიო.

_ როგორ თუ აპარულა, ეგ როგორ მაკადრე, მე ვინ გამეპარებოდაო, — მამალს თვალი დაუბრიალა მურამ და გულმოსული ისე აყეფდა, რომ ეზოში მშვიდად მოსეირნე ქათმები მოთმინებიდან გამოიყვანა და ააკრიახა.

_ მურა, რა დაგემართა, არ გაჩუმდები?! — გადასძახა აივნიდან თეონამ.

მურა გაჩუმდა. კაკლის ხეზე შემომჯდარი კაჭკაჭი კი თეონას დანახვაზე სიცილისაგან ჩაბჟირდა.

_ სულ სალომე ბებოს ჰგავხარ! — ჩამოსძახა.

_ სალომე ბებოს ვგავარ?! — იწყინა თეონამ, — მართალია, იმისი მანდილი მახურავს, მაგრამ დალი ვარ. შენ ის წიგნი არ წაგიკითხავს და იმიტომ ვერ მიხვდი. ცის მნათობივით ლამაზი ყოფილა, ოქროსფერი თმა... თეონამ დალალებზე დაიხედა (თავისი თმა უკან, ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი), — ჰმ, წაბლისფერია, — ჩაილაპარაკა. მოაჯირს მოსცილდა. სკივრს თავი ახადა, იქიდან ნაძვის ხის მოსართავი ბრჭყვიალა ოქროსფერი ძაფები ამოიღო და თმაზე შემოიხვია.

_ ახლა ნამდვილი დალი ვარ! — გაიფიქრა, მერე თოჯინა ხელში აიყვანა, ისევ მოაჯირთან მივიდა, პირი აღმოსავლეთისკენ მიაბრუნა და თვალები დახუჭა...

«გულადი ყოფილა მონადირე... ბავშვი წაურთმევია მგლისთვის»...

თვალდახუჭულ თეონას უცებ ჭიშკრის ჭრიალი ჩაესმა. თვალი გაახილა, ვერავინ დაინახა და ისევ დახუჭა.

«ჭრ... ჭჭრ...» — ჩაესმა კვლავ.

«მონადირემ ადგილი მოინაცვლა და ყინული აჭრიალდა», — გაიფიქრა თეონამ. კარის ჭრიალზე ძაღლმა დაიღრინა. — «მურაა... არა, მურა კი არა, მგელია», — ფიქრი გააგრძელა და თეონამ მზექალა გულში მაგრად ჩაიხუტა.

სტვენანარევმა შეძახილმა გოგონას თვალი გაახელინა.

ეზოში თეონას კბილა დოინჯშემოყრილი ბიჭი იდგა. მხარზე თვითნაკეთი მშვილდი გადაეკიდა და თვალებდაჭყეტილი იყურებოდა. თეონას მოულოდნელობისაგან მზექალა გაუვარდა ხელიდან და თოჯინა აღრენილი მურას ცხვირწინ რბილად დავარდა. ის-ის იყო, მურას თოჯინასთვის პირი უნდა დაევლო, რომ ბიჭმა იმარჯვა და მზექალა ხელში აიტაცა.

მურა გაავდა და ბიჭს შეუტია.

_ მურა, გეყოფა! — გადმოსძახა გონს მოსულმა თეონამ.

მურას თეონას წყენინება არ უნდოდა და გაჩუმდა.

ბიჭმა თოჯინას ხელი გადაუსვა და გოგონას ააწოდა. აბა, რას მიწვდებოდა თეონა, «ძირს ჩავალო», — გაიფიქრა, აივანზე გაპაკუნდა, კიბის საფეხურები ჩაათავა და ბიჭის წინ შეჩერდა.

_ რა გქვია?! — ირიბად აათვალიერ-ჩაათვალიერა უცნობი.

ბიჭმა თვალები დამცინავად მოჭუტა.

«ე, რანაირად მოპრანჭულხარ!» — ხმამაღლა არ უთქვამს, გაიფიქრა ბიჭმა.

«რა გიკვირს?.. ვერ ხედავ?!. — ეწყინა თეონას — ხმამაღლა კი ჰკითხა: — ეგ შენ გააკეთე? — და მხარზე გადაკიდებულ მშვილდზე მიუთითა. — მონადირე ხარ ვითომ? მაგითი რას მოკლავ?.. — და სანამ რამეს უპასუხებდა, ტყვიასავით ესროლა: — ვერაფერსაც ვერ მოკლავ და მგლისაც შეგეშინდება!»

_ მე შემეშინდება?! — იწყინა ბიჭმა.

_ ჰო, შენ! — უცებ თეონამ მგლისგან შეშინებული სტუმარი წარმოიდგინა და სიცილი აუტყდა.

_ რა გაცინებს?! — ხელი მომუშტა ბიჭმა და ლოყები მეზურნესავით გამობერა, ღრმად ჩაისუნთქა და ამოსუნთქვას გაბრაზებით ამოაყოლა — მეტიჩარა!.. ვნახოთ თუ ვერ მოვკლავ! — ამაყად ასწია თავი და უკანმოუხედავად გავიდა ეზოდან.

_ წავიდა! — გული ჩაწყდა თეონას და თვალები ააფახულა. მანამდე გაჰყურებდა მიმავალს, ვიდრე იგი გზის მოსახვევს არ მიეფარა.

_ აღარ დაბრუნდება? — სინანულით გაიფიქრა და ანაზდად კალთაზე დაიხედა.

დაიხედა და ახლაღა იგრძნო, რომ ღამის პერანგისამარა იდგა, და გაწითლდა.

თეონას მოლოდინი

მეორე დილით თეონა ისე ადრე ადგა, ბებოსაც კი აასწრო. კაკლის ხე გაოცდა. მის ტოტზე შემომჯდარმა კაჭკაჭმა კიბეზე ჩამომავალი თეონა რომ დაინახა, ძველებურად დაიჭყლოპინა: — ძილისგუდაო! — მაგრამ გაახსენდა, რომ მზე ჯერ არ ამოსულიყო და ნისკარტი ღია დარჩა.

თეონამ ეზოში წანწკარა ფშაზე ხელ-პირი დაიბანა, წაბლისფერი თმა ერთ ნაწნავად ჩაიწნა და უკან გადაიგდო. ოთახიდან თეთრწინწკლება წითელი წინსაფარი გამოიტანა და გაიკეთა. მერე ბებოსავით ხელთათმანი წამოიცვა, ღობესთან აღერებულ ჭინჭარს თავები წააწყვიტა და ამოკეცილ წინსაფარში ჩაიგროვა. ამით ინდაურის ჭუკებს დავაპურებო, გაიფიქრა.

_ ყიყლიყოო! — დიდგულა მამალმა ისე დაიყივლა, თითქოს, — ერთი ამ გოგოს დახედეთო! — უნდოდა ეთქვა.

_ კრუხ, კრუხ, კრუხ! — აქოთქოთდა კრუხი, — როდის იყო, ჭუკებს და წიწილებს ეს აჭმევდაო!..

_ კვატ, კვატ, კვატ.. — აკვატკვატდნენ იხვები: — გვიკვირს, გვიკვირსო!..

_ ჰამ, ჰამ! — ფარდულიდან გამოვარდა მურა: — გაჩუმდითო!

ჭინჭარს მკლავი რომ არ დაესუსხა და ტკივილს არ შეეწუხებინა, თეონა უსათუოდ მიხვდებოდა რა აკვირვებდათ და ყველაფერს აუხსნიდა, ხელს აღმოსავლეთისაკენ გაიშვერდა და იტყოდა: — იმ მთებიდან მონადირე ბიჭი უნდა მოვიდეს... მურას ამიერიდან შეუძლია მშვიდად იძინოს, მელა კი არა, მისი შიშით მგელიც კი ცხრა მთას იქით გადაიკარგება. ახლა ჯიხვებზე სანადიროდ არის... ყოველ წუთს შეიძლება დაბრუნდეს... სადმე მიიმალოს და თვალთვალი დამიწყოს... იქნებ სურს შეიტყოს, როგორი გოგოა თეონაო: დილით ადრე ადგომა ხომ არ ეზარება, ბებოს ხომ ეხმარებაო. აი, ახლა ყვავილნარს მორწყავს (ადრე ბევრჯერ უთხოვია ბებოს, მომეხმარე, წყალი დავუსხათო...).

თეონამ სარწყავი მონახა და ფშაზე მიერთებულ ღარს შეუდგა.

«ალბათ მზექალას უკვირს საწოლში რომ ვერ მხედავს... თუ მონადირე ბიჭი აივანზე ავა და იქ ვერ მნახავს, მზექალა ეტყვის, სადაცა ვარ»...

თეონამ სარწყავს ხელი დაავლო და, თითქოს მონადირე ბიჭი გვერდით მიჰვებოდა, ხმამაღლა გააგრძელა ფიქრი: «ჰო, ცოტა მძიმეა, ხელები ნანადირევით რომ არ გქონდეს დაკავებული, ვიცი, მომეხმარებოდი».

თეონამ ჯერ ერთად ჩამწკრივებული ვარდისფერი ყვავილები მორწყო, მერე ცისფერი. დაიღალა და ის იყო, მკლავმა უმტყუნა, რომ მონადირე ბიჭი მიუახლოვდა და სარწყავი შეუმსუბუქა. თეონას უცებ გაუარა დაღლამ.

უკვე რამდენიმე დღეა თეონა ადრე დგება. აღარ უკვირს ვეება კაკლის ხეს, აღარც ენაჭარტალა კაჭკაჭს. მიეჩვია სალომე ბებოც...

გოგო ხშირად რჩება მარტო, მაგრამ მონადირე ბიჭი მაშინვე მოელანდება და თითქოს კეთილი თვალი დატრიალდაო, მოგუნებდება და ატიტინდება: «მონადირე ბიჭო, ამდენი ხანი სად დაიკარგე? ჯიხვებზე ნადირობამ შეგაგვიანა?.. აქ ახლოს ბავშვთა დასასვენებელი სახლი «ციცინათელაა». მამას ვეტყვი, იქ წამიყვანოს... ბებოს არ სცალია, სულ საქმე აქვს. იმ დღეს, ქვედაუბნიდან ერთი ბიჭი ამოვიდა... გამებუტა და წავიდა...

ერთხელ, ესიზმრა თეონას... მაღალ მთას მიადგა... (ეს დალის სამფლობელო იყო). სხვებიც ადიოდნენ მაღლა, მაგრამ მათი სახეები ვერ გაარჩია. იარეს, იარეს და დაიღალნენ... ზოგიერთებმა ხელი ჩაიქნიეს და დაბლა დაეშვნენ. თეონამ მიმოიხედა... მარტოდმარტო იდგა მთის დამრეც ბილიკზე...

გულში შიში შეეპარა. ახლაღა იგრძნო დაღლა. უცებ წინ პეპლები აუფარფატდნენ, მაღლა-მაღლა მიიწევდნენ. თეონამ თვალი გააყოლა მათ და ჰოი, სიხარულო! მთის წვერზე მონადირე ბიჭი დაინახა, ხელში ბღუჯა-ბღუჯა მზის სხივები ეჭირა... სხივები სიმებივით გაბმულიყვნენ და ზედ პეპლები დასრიალებდნენ. თეონას გული კინაღამ ამოუვარდა საგულედან... ბილიკი ისე აირბინა, თითქოს აფრინდაო.

«პეპლები კი არა, ყვავილები ყოფილა!», — გაიკვირვა მთის წვერზე ასულმა, — ცისფერი... თეთრი... ვარდისფერი...

«ეგ ყვავილები შენი ფიქრებია. ყვავილნარი კი შენი სულია!» — გაუღიმა მონადირე ბიჭმა.

სიტყვა «სული» თეონამ ერთი პოეტისგან გაიგო, მოეწონა და დაიმახსოვრა. პატარა რომ იყო, სული, იცით, რა ეგონა? ბებო ცხელი ფაფით სავსე თეფშს რომ დაუდგამდა, სული შეუბერე და გაცივდებაო, ეტყოდა და თეონაც ამოისუნთქავდა და შეუბერავდა. ის ეგონა სული. «სული თუ ერთი შებერვაა, სულეთი ბევრჯერ შებერვა იქნებაო», — ფიქრობდა...

_ შენი სული ფერადი ყვავილებითაა სავსე, — უთხრა მაშინ იმ პოეტმა, — აა, ვერ გაიგე ხომ? — და ახსნა დაუწყო: — ვთქვათ, ვინმეს კარგი გაუკეთე, სულში ვარდისფერი ყვავილი ამოგივა, კიდევ გაუკეთებ, კიდევ ამოგივა და ბოლოს ბევრი, ბევრი ყვავილი დაგიგროვდება, ყვავილნარი გაგიჩნდება და ის ყვავილნარი შენი სულეთი იქნება.

თეონამ პოეტის ნათქვამზე იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა: «ცუდ ადამიანს უყვავილო, ესე იგი, ულამაზო სული აქვს, კარგს — ყვავილიანი, ლამაზი».

თეონა «ციცინათელაში»

«სულ მარტო ვარ. მონადირე ბიჭიც იგვიანებს. «ციცინათელაში» ბევრი, ბევრი ბავშვია. წავალ და თვითონ მოვნახავ!» — გადაწყვიტა თეონამ და მართლაც ერთ დღეს შინიდან ჩუმად გავიდა.

თეონა «ციცინათელას» ეზოში ჭიშკრიდან არ შესულა, გამორღვეული მავთულის ბადეში გაჰყო თავი და გაძვრა. ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ წესრიგი არ უყვარდა. ეზოში ამ გზით შეფრენილ პეპელას გაეკიდა.

ის იყო ნაბიჯი გადადგა, რომ მოაძახეს: — აქ საიდან გაჩნდი? — და წინ ერთი ბიჭი აესვეტა.

გოგონამ ბიჭს დიდრონი თვალები შეანათა, თითქოს წინ გაჭრა უნდოდა, ხელები ოდნავ განზე გასწია და გაირინდა.

«მშვილდი რა უყავი?» — წამწამიც კი არ დაუხამხამებია ისე, უსიტყვოდ ჰკითხა ბიჭს.

«რა გაკვირვებული მიყურებ?» — უხმოდ ჰკითხა ბიჭმაც და წუთით შეყოვნდა.

«რას გაჩუმებულხარ. შენ მშვილდისრიანი ბიჭი არა ხარ? იმ დღეს ისე უცებ რომ წახვედი...»

_ გესმის?! — ჩაესმა თეონას ბიჭის მწყრალი ხმა, — მორიგე ვარ, აქ ჩვენთან უნებართვოდ უცხო პირთა შემოსვლა არ შეიძლება!

მგლისგან შეშინებულ ცხვრის ფარასავით მიმოეფანტა თეონას ფიქრები:

_ მე «პირი» კი არა, თეონა ვარ!

_ თეონა არ ვიცი მე! — მკლავში ხელი ჩაავლო ბიჭმა. — წამო!

_ სად?

_ უფროსთან.

_ არ წამოვალ!..

_ მაშინ აქედან გადი! — გამოსძახა იქვე მდგომმა მეორე ბიჭმა.

_ არ გავალ!

_ არადა, წამოდი!

_ სად?.. კარგი, წამოვალ.

ბიჭებმა შუაში ჩაიყენეს თეონა და საქმიანი ნაბიჯით «ციცინათელას» მთავარი შენობისკენ გაემართნენ...

«ასე დამნაშავე მიჰყავთ!» — გაიფიქრა თეონამ, მაგრამ გაახსენდა, რომ შინიდან იყო გამოპარული და საქციელი წაუხდა.

ოთახში ერთი გოდორა მამაკაცი დახვდათ. მაგიდასთან მიმჯდარი ქაღალდებში იქექებოდა.

_ აა! — დაამთქნარა კაცმა, — რა მოხდა?

_ შემოიპარა!..

_ მერე და რატომ? — გოროზად თქვა გოდორამ, ხელებით მაგიდას დაეყრდნო და სკამიდან წამოიწია.

_ კი არ შემოვიპარე, შემოვედი. აქაურობის ნახვა მინდოდა...

_ აა!.. — ისევე დაამთქნარა კაცმა და წამოდგა. ალბომი გადმოიღო, — ცოტა ხნით აი, ამით გაერთე, ახლავე შემოვბრუნდებით, — დაუბარა თეონას და ბიჭებთან ერთად კარი გაიხურა.

_ არსად წავალ, მოგიცდით! — მიაძახა.

_ თეონამ სურათები გულგრილად გადაათვალიერა და... გარეთ გამოვიდა. აივნის წინ, მოედანზე პატარა ბიჭი დაინახა. პაწაწინა ფარფლებიანი ტილოს ქუდი ეხურა. ხელში ასანთის კოლოფი ეჭირა და ჩასჩერებოდა.

თეონამ კიბე ჩაირბინა და ბიჭთან მივიდა:

_ ეს რა გაქვს?

_ პეპელა ჩავსვი და ხედავ, მომკვდარა!

_ საწყალი! რომ დაამწყვდიე, არ შეგეცოდა?

_ ჰერბარიუმს ვაკეთებ.

_ ჰოო?.. ერთხელ მეც დავიჭირე, მაგრამ შემებრალა და გავუშვი.

ბიჭმა თავი ასწია და მოსაუბრეს ახლაღა შეხედა.

_ შეგეცოდა?!. გელამ კალია დაიჭირა, ჯერ ერთი ფეხი მოაგლიჯა, მერე მეორე, ძირს რომ დასვა, ვეღარ გაფრინდა. საწყალი, იცი როგორ მიხანხალებდა?.. გელა რომელია, არ იცი? ჩემზე დიდია!.. — ბიჭმა ამოიოხრა, გაახსენდა გელა რომ ჯაბნიდა, — ახლა ყველანი ლაშქრობაში არიან.

_ შენ რატომ არ წახვედი?

_ გუშინ მდინარეზე საბანაოდ გავიპარე და... დამსაჯეს! გინდა ცხენებით გავისეირნოთ? მანქანაც მაქვს, მაგრამ სეირნობა ცხენით სჯობს.

_ აბა?! — მიმოიხედა თეონამ.

ბიჭმა ორი გრძელი ჯოხი მიარბენინა. ერთი თეონას გაუწოდა, ხოლო მეორეს თვითონ გადააჯდა და ხელი ისე აიქნია, თითქოს მათრახი უჭირავსო, — მოშორებით იარე, ჩემმა ცხენმა წიხლი არ გკრას, ცოტა ფიცხია, — შემოსძახა ბიჭმა თეონას და გააქროლა. კარგახანს მიაჭენებდა ცხენს, მერე უცებ შეჩერდა. ამ დროს კიდეც დაუძახეს.

_ ზაზა!.._ მეძახიან. მალე დავბრუნდები... მომიცდი?უცებ ეზოში ზარმა დარეკა. თეონა შეკრთა. ახლაღა მოაგონდა, შინიდან დაუკითხავად რომ წამოვიდა და მოკურცხლა.

ჩემი ძამიკო

მელიის სიფრთხილით მიუახლოვდა სახლს. გულმა დაგადუგი დაუწყო. კარი შეაღო და უცებ იგრძნო, მისი შინ არყოფნა ვერც ცუგოს გაეგო, ვერც ეზოში მოფუთფუთე ქათმებს, ვერც ენაჭარტალა კაჭკაჭს, მარნიდან გამომავალი სალომე ბებოს მშვიდმა გამოხედვამ კი მხრებში გაშალა და გული საგულეში ჩაუგდო. სალომე ბებოს იმდენი საზრუნავი ჰქონდა, თეონას შინიდან წასვლა ვერც კი შეემჩნია.

_ ბებო, ბებო, არ გინდა რამეში მოგეხმარო?

_ როგორ არ მინდა, ძროხა ახსენი, იქნებ წიწილებიც ჩააბუდრო. წყალიც შეიტანე შინ.

თეონამ ძროხა ბოსელში შედენა. წიწილებიც დააბინავა, სამზადიდან თუნგი გამოიტანა და ფშაზე მიერთებულ ღარს შეუდგა. თუნგში წყალი ალიკლიკდა. თეონა იქვე მიჯდა და მოწანკწარე წყალს თვალი გაუშტერა.

აი, დირექტორი კითხულობს თეონას. — «სად წავიდა ის გოგო?» — თეონა არსად ჩანს... ლაშქრობაზე წასულებიც დაბრუნდნენ. მონადირე ბიჭიც მათთანაა... ყველანი თეონას ეძებენ, ბოლოს მიხვდნენ, რომ გოგონამ იცრუა.

«რა ცრუპენტელა ყოფილა!» — უკვირს მშვილდისრიან ბიჭს. თეონას ლოყებზე ალმური ედება. თუნგი გაივსო და წყალი ძირს იღვრება.

_ თეონა! — ჩაესმა სალომე ბებოს ხმა.

გოგონამ თუნგი სამზადში შეიტანა.

_ მოგწყინდა, ბებო გენაცვალოს? შეკეცილებს გიცხობ. აბა, გასინჯე! — სალომე ბებომ ლობიანი პურები თეფშზე დაულაგა. — ამ ბავშვებს რაღა დაემართათ, ყველანი ერთად ავად როგორ გახდნენ? გადახვიდოდი, ითამაშებდი... წითელა ბატონები ჰყავთო.

_ პანკვალასი? — იკითხა თეონამ და შეკეცილი მოიტეხა.

_ ჰო, ბებო, მარა შენ ნუ დაუძახებ მასე, უფროსი კაცია.

თეონას გაახსენდა, ერთხელ პანკვალას ბავშვები რომ წაეჩხუბნენ...

«ო, ასე იყო...» მათ ეზოში, პანკვალას ნაბოლარა გოგოსთან თამაშობდა. თეონამ მიწიდან პაწია ცარცი აიღო. იმ გოგომ ხელი ჩამოჰკრა და გააგდებინა. თეონამ ისევ აიღო ცარცი, გოგონამ ისევ გააგდებინა და წაკინკლავდნენ. ნაბოლარა აჩხავლდა. მოცვივდნენ მისი ძმები. თეონას გარს შემოეხვივნენ შუბლშეკრულები.

«ერთი, ორი, სამი... ექვსი... რვა...» — თავისთვის გადათვალა ბავშვები თეონამ. ბევრნი იყვნენ და გოგონას გულში შიში შეეპარა. ქვეყა ტუჩი გამოებურცა, ნიკაპი აუკანკალდა და თვალზე ცრემლი მოადგა. მერე გაახსენდა, ტირილი მხდალების საქმეაო და ცრემლი მოიწმინდა...

ბებომ თეონას ახლა ბაჭული გადმოუღო, გოგონამ ისიც გასინჯა და ჩუმად წაიღიღინა:

«მზე დედაა ჩემი,
მთვარე მამაჩემი,
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი».

მერე ისევ «პანკვალას» შვილებზე გააგრძელა ფიქრი. ისევ მათი თვლა დაიწყო «ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი...»

_ რას ითვლი? — ჰკითხა ბებომ.

_ რას და, რამდენი ბაჭული გამოაცხვე და რამდენი შეკეცილი, — დამალა თეონამ ნაფიქრი, გულში კი თქვა: — «უჰ, რამდენი იყვნენ!» — და ისიც გაახსენდა როგორ შეეშინდა მათი, — აი, ძმა რომ მყოლოდა, მაშინ... მაშინ სულ სხვა იქნებოდა. თეონა ხშირად ოცნებობდა... გზაზე რომ პატარა ბიჭი მოდის, ჩემი ძმაო. კარგად იცოდა, რომ ეს ასე არ იყო, მაგრამ ოცნებას მაინც ვინ დაუშლიდა! ამ დროს თეონა გარინდდებოდა. «იქ, საიდანაც ჩემი ძმა მოდის, უთუოდ დიდი თოვლია და იმიტომ იგვიანებს. მთვარისოდენა ფიფქები ცვივა და ქარაშოტი დაშლიგინებს... ის მაინც მოდის... თბილად აცვია. თხილამურებით მოსრიალებს... ხიდან გირჩა ესროლა ციყვმა, ბიჭმა აიღო და ჯიბეში შეინახა... — «ჩემთვის მოაქვს», — ეღიმება თეონას. — «უჰ, უჰ»... — წაიფორხილა, გადაკოტრიალდა და მისი პალტოს კალთებში რაღაც აფართხალდა.

«კურდღელი! ამას ჩემს დაიკოს წავუყვან!» — უხარია ბიჭს, უხარია თეონასაც, თან გული ეწურება, რომ აღარ დაილია გზა...

აი, ვითომ თვითონაც მის შესახვედრად გარბის. ძამიკო ჯერ ვერ ცნობს, მერე კი იცინის... ჯიბიდან ჯერ გირჩებს იღებს და უწვდის, მერე — კურდღელს. კურდღელი ხელიდან უსხლტება გოგონას და გარბის, გარბის გამალებით, ზურგზე ყურებგაწყობილი. ორივენი დასაჭერად მისდევენ, მერე ფეხი უსხლტებათ და თოვლში გორდებიან... იცინის ბიჭი, იცინის თეონაც. ბიჭი თოვლის აგუნდავებას იწყებს. ააგუნდავებს, ააგუნდავებს და ვეებერთელა გუნდას აკეთებს. კიდევ ააგუნდავებს წინაზე პატარას და პირველს დაადგამს... მერე იმაზე პატარას... გირჩის ცხვირს გაუკეთებს, თვალებსაც, ბოლოს, თავზე ქუდს ჩამოაფხატავს. თოვლის კაცი თვალს უპაჭუნებს თეონას... უცებ გოგონა ისე ხმამაღლა გადაიკისკისებს, ჭერზე დაკიდებული ჭაღი აწკრიალდება. სალომე ბებოს კინაღამ თეფში გაუვარდება ხელიდან. თეონას სიცილზე ფანჯარაში თავგადმოყოფილი ვარდის კოკრები ისე სკდებიან, თითქოს ბაგე გახსნეს და გაიღიმესო. სახლის წინ აწერწეტებულ ხეზე შემომჯდარი ჩიტები შეფრთხიალდნებიან.

_ სულელივით რა შენთვის იცინი, გოგო? — უკვირს ბებოს.

_ ჩიტებს ვუყურებდი... წაიჩხუბნენ და! — ცრუობს თეონა. ბაჭულს შეექცევა და თან ფიქრს აგრძელებს...

«ახლა თოვლი კი არა, წვიმა მოდის, ბიჭი სველდება. ვაითუ, გაცივდა! — დარდობს თეონა... მაგრამ მოიცა, იქ, მინდორში ხეა და ბიჭი მის ქვეშ აფარებს თავს. ხშირფოთლება ტოტები დაბლა იზნიქებიან, წვიმის წვეთებს გზას უღობავენ... უეცრად ხე ქრება... თეონა წუხს... აი, ანაზდად მიწის ნამცეცა ნაგლეჯი ამოძრავდა და პაწია სოკომ ამოჰყო თავი. გაიზარდა, გაიზარდა და ბიჭს ქოლგასავით თავზე დაეხურა. თეონა კვლავ იღიმის, უხარია, აღარ დასველდება მისი ძამიკო. თოვლი თუ წვიმა... წვიმა თუ თოვლი ერთმანეთში ირევა... — გრ... გრ... ქრრ!.. — ზათქითა და გრიალით მოვარდა ქარაშოტი. თოვლი აიშალა. ჰაერში შადრევანივით აისვეტა... თეთრი ბურუსი რომ გაიფანტა, თეთრ მარხილში შებმული თეთრი ცხენები გამოჩნდნენ. ცხენების სადავე ხელში პატარა ბიჭს ეკავა. — «ეს ვიღაა?!» — გაფიქრებაც ვერ მოასწრო თეონამ, რომ თვალი ბიჭის მხარეზე გადაკიდებულ მშვილდს შეასწრო. — «ეს ხომ მონადირე ბიჭია!» — გაიღიმა გოგონამ... უცებ, სად იყო და სად არა,

პანკვალას ბავშვები მოცვივდნენ. მარხილის დასაკუთრებაც მოინდომეს, მონადირე ბიჭის შეპყრობაც. ბიჭმა გაიბრძოლა. თვალები საცრისოდენა გაუხდა. ერთი ღრმად ამოისუნთქა, მკლავები გაშალა და პანკვალას ბავშვები აქეთ-იქით მიმოიფანტა... მერე ბიჭმა მარხილიდან თეთრი შროშანები ამოიღო და თეონას გაუწოდა. ყვავილის პაწაწკინტელა ზანზალაკები აწკრიალდნენ, ირგვლივ თოვლმა დაიწყო დნობა. არემარეს სიმწვანე მოედო. მიწიდან ნაირფერი ყვავილები ამოიწვერნენ... უცებ, შორს, ტყის შედედებული სიმწვანიდან, ვარდისფერი ნისლი გამოცურდა. მერე ეს ნისლი ქალწულად იქცა... მინდვრისა და ყვავილების დედოფლად. დედოფალი თეთრ მარხილთან მივიდა, ბიჭს გვერდით დაუჯდა. სადავე ჩამოართვა, ცხენებს შეუძახა და მონადირე ბიჭი წაიყვანა... წაიყვანა კი არა, გაიტაცა...

მიფრინავენ რაშები... მონადირე ბიჭი უკან არც კი იხედება. თეონამ აღაღ იცის რა ქნას, სურს დაუძახოს, მაგრამ... ნუთუ ვერ ხვდება რომ გაიტაცეს? ან იქნებ ეშინია?.. — ფიქრობს გოგონა და ტუჩს იბზუებს: — უჰ, რანაირი ყოფილა!

და აი, ერთბაშად მონადირე ბიჭმა მარხილიდან ისკუპა.

_ ყოჩაღ! — ხმამაღლა დაიძახა თეონამ ისე, რომ სალომე ბებო მოულოდნელობისაგან შეხტა.

_ ვის ელაპარაკები, გოგო? — სათვალეს ზემოდან გადმოხედა შვილიშვილს.

თეონა გამოერკვა.

_ არავის...

_ როგორ თუ არავის, წეღან გადაიკისკისე, ახლა ისე შეჰყვირე, გული გადამიქანდა.

_ ჰო, მონადირე ბიჭი დედოფალმა ვერ გაიტაცა და გამიხარდა...

_ რას ამბობ?! — თვალები ჭყიტა სალომე ბებომ და შვილიშვილს პირჯვარი გადასწერა.

იდუმალ ჭალაში

აი, უკვე ღამეა, ნამდვილი ღამე. მთვარე ღრუბლებში ჩაიბუდნა. ადამიანის ფეხის ხმა მიწყდა. სძინავს საქონელს. დაჩუმდნენ ფრინველები. სიბნელეს შეერთებია ბუჩქები, ხეები, თვალდახუჭული სახლები. არ სძინავს თეონას, თვალებს ძილი არ ეკარება, რადგან არ სძინავს ღამეს.

აივანზე ღამურები შრიალებენ... ღია სარკმელში ჭალის სუნით გაჟღენთილი სიო შემორბის, ხან წყლის ჩქრიალი, ხან ჭოტის ხმა მოაქვს.

«შუ-ბუ, შუ-ბუ!» — მძიმედ დაფრაშფრაშებენ ეწერში ბუები და გიზგიზა თვალებით თაგვებს დაეძებენ.

ოთახიდან უფეხურას უცნაური ხმა ისმის, თითქოს ვიღაც ტაშს უკრავს... თეონას ტანში გასცრა, ის იყო, ბებიასთან უნდა გადაწოლილიყო, რომ გულწითელა ჩიტის საამური გალობა გაიგონა და ისევ გაინაბა. მთვარეც დაუსხლტა ღრუბლებს და კაკლის ტოტებში გაიხლართა. აივნის კედელზე დარწეული ჩრდილები აფარფატდნენ, თითქოს ციყვები და კურდღლები ათამაშდნენ. მერე დატრიალდნენ, დაბზრიალდნენ, გარეთ გაცვივდნენ და ცას ვერცხლისფერ ღრუბლებად აეკვრნენ. ახლა იქ დაიწყეს ბორიალი...

დაგრძელდნენ, ალქაჯებად იქცნენ. წითელთმიანმა ალქაჯებმა თითქოს რქებზე პაწაწა ნათურებივით ვარსკვლავები აისხეს, მერე ცას ვეება, ბდღვიალა ვარსკვლავი მოსწყვიტეს, ჟიკჟიკა ალში გაეხვივნენ და თვალშეუდგამი სიმაღლიდან ძირს დაეშვნენ.

ბდღვიალა ვარსკვლავი სოფლის ბოლოს, ჭალაში ჩაეშვა. თეონას სურს იქითკენ ჩქარა გაიქცეს, ნახოს და გაიგოს რა დაემართა ვარსკვლავს, სად გაქრა. მაგრამ გარეთ სევდიანი და მრუმე ღამეა... თანაც იქ, ჭალაში, მგელკაცა ცხოვრობს (ასე თქვა ერთხელ ბებომ), თეონას ეშინია მისი. თუმცა ჩანს, მგელკაცასაც ეშინია ვიღაცის... აბა, რატომ არ ჩნდება დღისით? — უკვირს გოგონას.

საწოლს ვერცხლისფრად შენისლული მთვარის შუქი მოადგა. ჩამოწოლილი სიბნელე ფოთოლივით აცახცახდა. თეონა საწოლიდან წამოდგა, იქნებ დამეძინოსო, სარკმელი მიხურა და ისევ დაწვა.

«ყვი-ყ, ყვი-ყ!» შემოსძახეს სადღაც ვასაკებმა. გაისმა ჭრიჭინების ჭრიჭინიც.

უსმენს გოგონა, უსმენს... და აი, ყურში ვერცხლისებრი წკრიალი ჩაესმა...

უცებ სარკმელთან მომდგარმა ღამემ ოთახში ჩამოიხედა და თეონას ჩასჩურჩულა: «გესმის? ჭალაში ზარების წკრიალით შენ მოგიხმობენ პაწია გოგოცუნები და ბიჭუკელები».

თეონამ მართლაც გაიგონა ღამის ჩურჩული და გაკვირვებისაგან თვალები ფართოდ გაახილა, გაახილა და გარკვევით დაინახა ღამე: თმაში ვარსკვლავები უბზინავდა, ხელში ყვავილებივით ეჭირა ციცინათელები და ნაპერწკლებით მოწინწკლულ კალთას ნიავი უფრიალებდა. ოქროცურვილი, სხხივანა საყურეები ნაღვლიან სახეს უნათებდა. «ნურაფრის გეშინია, გამოდი გარეთ», — ამშვიდებდა იგი. თეონა თითქოს წამოდგა, გარეთ გავიდა... გაიქცა. გზაზე ფოთლების ხმამრავალი შრიალი ესმის. თეონამ გაბარჯღული ტყე უნდა გაიაროს... ხეებმა გაიწ-გამოიწიეს, გზა დაუთმეს... მდინარე შხუილით ეშვება ბარდიან ჭალაში. მთვარის სხივები თრთიან ჩახრიალაზე, პაწაწკინტელა ზვირთები ლივლივებენ. მარწყვა ბალახას ყვავილს ნამი ჩასდგომია ჩაღრმავებულ გულში. კაკლის, ნეკერჩხლისა და რცხილის ტოტები კარავივით ახურავს მდინარეს. წყლის ზედაპირს შუქჩრდილები დასთამაშებენ.

_ შუ-ბუ... შუ-ბუ!.. — დაფრაშფრაშებენ ხეებზე ბუები.

სადღაც აფთარმა ამოიხაფხაფა.

თეონას შიშისაგან მუხლებმა უმტყუნეს...

სწორედ კარგ დროს ააწკრიალეს ზანზალაკები გოგოცუნებმა და ბიჭუკელებმა, ყვავილებიდან გამოვიდნენ და მდინარის ნაპირთან ჩამწკრივდნენ. უღიმიან გოგონას, ახლოს მოდიო, ანიშნებენ. თეონა ტიტა ბალახს წყვეტს, ჯარისკაცის ქუდს რომ ჰგავს... წყლის ზედაპირზე დებს და ერთმანეთის მიყოლებით მდინარეს ატანს. — ეს მეთაურია! — ამბობს და დიდ ქუდს წყალში უშვებს, — ეს პატარები — ჯარისკაცები... ქუდები მხედრული მწკრივით მიჰყვებიან ერთმანეთს...

ჯარისკაცობანას თამაში ძალიან მოსწონთ გოგუცუნებს და ბიჭუკელებს, ისინიც სწყვეტენ ქუდებს, მაგრამ ისეთი პაწაწკინტელები არიან, ვერ ერევიან, ცვრიან ბალახზე ფეხი უსხლტებათ, წყალში ცვივიან და თავკომბალებივით ჭყუმპალაობენ.

იცინიან გოგუცუნები და ბიჭუკელები, იცინის თეონაც. კისკისებს ისე, რომ ხეზე მთვლემარე ყვავები ფრთხებიან, შაშვები და ჩხართვები იღვიძებენ. ბუები ფაფხურით უახლოვდებიან ფუღუროს პირს და გიზგიზა, ყვითელი თვალებით დაბლა იხედებიან.

უეცრად დაბნელდა. მთვარე ურჩხულისთავიანმა ღრუბელმა გადაყლაპა.

— ბუყ-ბუყ! — აბუყბუყდა ჭალა, ბალახებში ბაყაყები ასხმარტალდნენ, სიბნელეში საცრისოდენა აკვარჩხალებული თვალები აბრიალდა.

«მგელკაცა!» — გაუელვა თავში თეონას და კუნძივით გაშეშდა. გაქცევა უნდა და თითქოს ფეხზე წისქვილის ქვები შეაბესო, ვერ გარბის...

გოგონამ თვალი დახუჭა, ზვიადი სიბნელე ჩამოწვა... გაახილა... მდინარის ნაპირთან ალქაჯები დაბორიალობენ. ბდღვიალა ვარსკვლავი გავარდნიათ ხელიდან და ეძებენ. დაჩრდილულ ჩახრიალაზე თითქოს თეთრი, ფაფარაშლილი რაშიაო, მგელკაცა გადამჯდარა, თეონას მიშტერებია და ტუჩებზე ავი ღიმილი დასთამაშებს...

შეშინებულმა თეონამ თავზე საბანი გადაიფარა; ასე იყო ერთ ხანს. მერე თავი ისევ ამოჰყო და ხედავს... ჭალაში ქარიშხალივით შემოშხუილდა ფასკუნჯი. უზარმაზარ ფრთებს ისე აფართქუნებს, შავად შედედებული სიბნელე ნაფლეთებად იქცა. მხარეზე თეონას კბილა ბიჭი შემოუსვამს. ბიჭს ხელში ბდღვრიალა ვარსკვლავი უჭირავს.

მის გამოჩენაზე ალქაჯები წივილ-კივილით გაიფანტნენ. მგელკაცაც თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა. ყვავილის ფურცლებში მიმალულმა გოგუცუნებმა და ბიჭუკელებმა თავები გამოყვეს და ზანზალაკები ააწკრიალეს. ფასკუნჯმა ბიჭი ძირს ჩამოსვა, თვითონ მაღლა-მაღლა აფრინდა და ცის სილურჯეში გაითქვიფა.

ბიჭი თეონასკენ შემობრუნდა... გოგონამ მაშინვე იცნო მონადირე ბიჭი. თურმე, ის ხშირად მოდის ამ ჭალაში და ალქაჯებს ფანტავს... თეონა და ის ერთად თამაშობენ მდინარის პირას... ტიტა ბალახს წყვეტენ, წყალში ყრიან და მდინარეს ატანენ.

— ეს მეთაურია! — ამბობს ბიჭი და დიდ ქუდს წყალში უშვებს.

— ეს პატარები — ჯარისკაცები! — კისკისებს თეონა.

ჯარისკაცობანას თამაში ძალიან მოსწონს ბიჭუნას და იღიმება...

უხარია თეონას იდუმალ ჭალაში მარტო რომ არ არის. აღარაფრის ეშინია და გულდამშვიდებულს ნელ-ნელა ძილი ეკიდება.

თეონას დაბადების დღე

აივანზე მყოფი თეონა შარაგზას მალიმალ გახედავდა. «თბილისიდან ჩემი მეგობრებიც მალე ჩამოვლენ, უსათუოდ ჩამოვლენ. ჯერ ადრეა, — იიმედებდა თავს. — დავპირდი, ყვავილებისგან საათს გავაკეთებდი, აი, ისეთს, ერთმა ასტრონომმა რომ გააკეთა-მეთქი... თუ ამოსვლაა, დღეს უნდა ამოვიდნენ, დღეს ხომ ჩემი დაბადების დღეა», — საბოლოოდ დაიიმედა თავი. კალათას ხელი წამოავლო და კიბე სულ ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა, მურამ შეჰყეფა და კუდი გაუქიცინა.

— დღეს ჩემი მეგობრები მოვლენ, — მიუალერსა, — აბა, შენ იცი, ღრენით არავის შეხვდე.

ძაღლმა თითქოს გაიგოო, წინ დაუჯდა, უკანა ფეხებზე ჩაიცუცქა, წინა თათები მაღლა ასწია და ერთი წაიწკმუტუნა.

თეონამ თავზე ხელი გადაუსვა და საქმიანი ქალივით უთხრა, — შენთან გასაჩერებლად არა მცალია, უამრავი საქმე მაქვს, სადაცაა სტუმრები მოვლენ, — გოგონამ ბაღჩისკენ გაუხვია, «ჩემი ყვავილების საათს დავხედავ,» გაიფიქრა.

ღაღანა ყვავილები საათის ისრებივით წრეზს ხაზავდნენ. ყველა ყვავილი საკუთარი მორიგეობისას იშლებოდა და დროს უჩვენებდა დილიდან ღამემდე. მზე ოქროს თითებით ეფერებოდა მათ.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი... — გადათვალა თეონამ გასაშლელი ყვავილები, — ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი, — გაიხარა და მხიარულად წაიღიღინა.

ტოტიდან ტოტზე გოგონას კვალდაკვალ ადევნებულმა კაჭკაჭმა ჭყრიალი მორთო.

— თავი დამანებე, არ მცალია! — ჩიტს ხელი აუქნია და ეზოს გარეთ გავარდა.

იქვე, ტყის პირას, დაგრეხილი ჯაგრცხილების ძირას, ხავსსა და ხმელ ფოთოლში ნაკვერცხალივით მოღუდღუდე მარწყვით დაფარა კალათის ფსკერი, ძმერხლის წითელი მარცვლებისაგან ყელსაბამი გააკეთა, თეთრი გვირილებისაგან გვირგვინი დაწნა.

— საღამოს ციცინათელებს დავიჭერ და გოგონებს თმაში ჩავუბნევ... კარგი იქნება!.. — წამოიძახა და დაბზრიალდა.

თავის თავს იდენი ელაპარაკა, თავისივე ნათქვამი თვითონვე დაიჯერა და გაიფიქრა,_ «მეგობრებს ახსოვთ და უსათუოდ მოვლენო».

— იქნებ უკვე მოვიდნენ? — ბარტყივით შეუფრთხიალდა გული, ხელი წამოავლო კალათას, ყელსაბამს, გვირგვინს და ეზოში ქარივით შევარდა.

— ჰამ! — შეჰყვირა ცუგომ.

— კა... კა... კა!... — აკაკანდნენ ქათმები.

სახლიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. «ნუთუ ყველას დავავიწყდი?» — ქვედა ტუჩი გამობურცა თეონამ, აივანზე აირბინა და შარაგზას გახედა.

— არ ჩანან... არა, შეუძლებელია...»

სახლში რომ შევიდა, კალათა, ყელსაბამი და გვირგვინი სკივრზე ჩამოდო და ფიქრმორეული ტახტზე დაჯდა. სარკმელში ჩამავალი მზის სხივები არიალდნენ. ბაღჩაში ყველა ყვავილი გაიშალა... მიდამომ ბინდის პირბადე მოიხურა. თეონას წვიმადაკრული ყვავილივით გააკანკალა და თვალები ცრემლით დაენისლა.

დედა შეღამებისას ჩამოვიდა. თეონამ ძილ-ღვიზილში გაიგო მისი მოსვლა... გულში ჩაიკრა, მიულოცა...

«მამა სად არის?» — უნდა ეკითხა, რომ დედამ დაასწრო, მამას გადაუდებელი საქმე ჰქონდა, ვერ ჩამოვიდაო...

— ეეჰ! — გულდაწყვეტით ამოიოხრა გოგონამ.

თეონა ისევ მიიპარება

გარღვეული ღობიდან გაპარულიყვნენ ჭუკები. თეონამ მინდორში მიაგნო მათ და შინ გამორეკა. ეზოში შემოსულს ოდის ზედა სართულიდან ხმაური შემოესმა, ვინ არიანო, დაინტერესდა, კიბე აირბინა და ოთახში შეიჭყიტა.

დედამ თვალი მოჰკრა თეონას და აივანზე გამოვიდა.

— შემოდი, გკითხულობენ. დაბადების დღე უნდა მოგილოცონ.

— ო, ერთი! — უხალისოდ უპასუხა გოგონამ, — გუშინ იყო, დღეს ხომ არა?! თანაც სულ დიდები მოსულან...

— უჰ, რა თავნება ხარ! — განაწყენდა დედა, — ერთი წუთით შემოდი, სტუმრებს დაენახე.

— ჯერ ბებოსთან ჩავალ და მერე!.. — თქვა ხმადაბლა და ძირს ჩავიდა.

იქ ტახტზე ახორხლილი საჩუქრები მოხვდა თვალში. ცნობისმოყვარეობამ სძლია და ქურდულად გადასინჯა ქაღალდში გამოხვეული ნივთები, მაგრამ ისეთი არაფერი იყო, რაც გაახარებდა. თეონა განაწყენებული გაეცალა საჩუქრებს, ჯირკზე ჩამოჯდა და გაირინდა.

ზემოდან ხმაური და სიცილი ჩამოდიოდა. დედა ხშირ-ხშირად ჩამორბოდა სამზადში და ხან რა აჰქონდა ზევით, ხან რა. თეონა თითქოს გადაავიწყდათ კიდეც გამხიარულებულ სტუმრებს, საქმით გართულ დედას და წაროიდგინეთ, ბებოსაც.

«მომწყინდა. მალე მაინც დაიწყებოდეს სწავლა. ამ უბანში ჩემი ტოლი აღარავინაა, მოდი, ქვედა უბანში ჩავალ, მაგრამ «ტყე» რომ უნდა გავიარო?» — გაიფიქრა და უცებ, მონადირე ბიჭიც მასთან გაჩნდა.

«გავიპაროთ!» — უჩურჩულა თეონას. ის ხომ უსიტყვოდ ხვდებოდა გოგონას ნაფიქრს.

«გეშინია?.. — დამცინავად გადმოხედა მონადირე ბიჭმა. — ტყე კი არა, კორომია, ჯგუფად მდგარი ხეები».

«არა, შენთან არ მეშინია.»

«მაშ ადექი და წავიდეთ...»

«ეგრე იყოს!..» — უპასუხა თეონამ და ფეხაკრეფით დატოვა სამზადი. ეზო გადაჭრა, ჭიშკარი ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გააღო. ერთი ნაბიჯიც და შარაგზაზე აღმოჩნდა.

«აქ სადღაც მოკლე გზაა. — გაახსენდა თეონას, მაგრამ ამ ბილიკებიდან რომელია რომ არ ვიცი? — შარაგზიდან ერთადერთ ბილიკზე გადაუხვია. — ქვედაუბნის მიმართულებით მიდის და უთუოდ ეს იქნება».

მზის სხივები ხის კენწეროებში ცრიატობდა. სიწყნარეს აქა-იქ შეფრთხიალებული ჩიტები თუ არღვევდნენ. ბილიკი უსასრულოდ რომ გაგრძელდა, გოგონა შეფიქრიანდა.

«მხარი ხომ არ მეცვალა? აქამდე უნდა მივსულიყავი. მოდი, შინ დავბრუნდები».

«იი, გეშინია, მეც ხომ აქა ვარ?..»

თეონასა შერცხვა და გზა განაგრძო. მიდის და დარწმუნებულია, რომ მონადირე ბიჭი გვერდით მიჰყვება, ხან ბუჩქებში ემალება, ხან ხეს ეფარება და უთვალთვალებს. თუ თეონას შიშს შეამჩნევს, მაშინვე დასცინებს.

«ნუ გეშინია, მგელი აქ არსად შეგხვდება. აქ მგელს რა უნდა?» — ანუგეშებს მონადირე ბიჭი.

უცებ თეონამ შეამჩნია, რომ ბილიკი იტოტებოდა და შეცბა.

«ახლა საით წავიდე?!» — გაიფიქრა, მიმოიხედა და გულში შიში შეეპარა.

«შეგეშინდა?!» — ჩაესმა მონადირე ბიჭის დამცინავი ხმა.

«მეგონა წახვედი და...» — დასცდა თეონას.

«შეგეშინდა?! — არ მოასვენა მონადირე ბიჭმა.

«გზა ამერია. არ ვიცი, მარცხნივ წავიდე თუ მარჯვნივ». — შიში დამალა გოგონამ.

«ზღაპრებში რომაა... მარჯვნივ წახვალ, ვეღად დაბრუნდები, მარცხნივ, მშვიდობით დაბრუნდები, პირდაპირ, წახვალ? ან დაბრუნდები, ან არა!... გულადები ძნელ გზას ირჩევდნენ, საოცრებებსაც ნახულობდნენ».

«საოცრებებს?... მაშ პირდაპირ წავიდეთ, მონადირე ბიჭო!» — თქვა თეონამ და ბილიკს დაადგა.

მონადირე ბიჭი თან მიჰყვებოდა, ამხნევებდა, მაგრამ ხანდახან გვერდით ვეღარ გრძნობდა და ამ დროს შიში დარევდა ხოლმე ხელს.

«ე-ჰე-ჰეი, ახლოს იარე, შორს არ წახვიდე!» — გაეხმაურებოდა და მონადირე ბიჭიც წამსვე გამოჩნდებოდა.

«ცოტაც და...» — გაუღიმებდა გოგონას.

მოულოდნელად, ბილიკი შარაგზას შეუერთდა. შემაღლებულზე, წინ, ცნობისმოყვარე ბავშვებივით გადმომდგარიყვნენ თავშემკობილი ანძები.

«იქ ხომ დასასვენებელი სახლი «ციცინათელაა?! « — გაუხარდა და არც გაუხარდა თეონას, რადგან გაახსენდა როგორ იცრუა... ვერ გადაეწყვიტა საით წასულიყო. მარცხნივ შარაგზა გაჭიმულიყო და სადღაც შორს, ბინდბუნდში იკარგებოდა. მარჯვნივ, ხევზე ხიდი იყო გადებული. ხიდის ბოლოში ბავშვთა დასასვენებელი სახლი ჩანდა. გოგონას სხვა არჩევანი არ ჰქონდა. ხიდზე უნდა გადასულიყო. ხიდის შუა წელამდე ძლივს იყო მისული, რომ უცებ ხიდის თავში რაღაც თეთრად შეირხა, ამოძრავდა, აღმუვლდა და გოგონასკენ გამოქანდა.

— მიშველეთ! შეჰკივლა თავზარდაცემულმა გოგონამ, წაიფორხილა და ძირს დაეცა.

ექიმის ოთახში

— დედა გენაცვალოს, ჩემი თავნება გოგო! — ჩაესმა თეონას ალერსიანი ხმა და თვალი გაახილა. საწოლზე იწვა უცხო ოთახში. დედა, ბებია, თეთრხალათიანი ქალი და ვიღაც ბიჭი შეწუხებული სახით დასცქეროდნენ.

— ხომ არაფერი იტკინე, შვილო? — შუბლზე ალერსით ხელს უსვამდა დედა. ბებო ტიროდა, თან ბუზღუნებდა, მოუსვენარიაო...

— არაფერია, ცოტა ფეხი იტკინა, ცოტაც შეშინებულია. ეზოში ვიყავით მე და ლაშა. შეკივლება გავიგონეთ და ხიდისკენ გავქანდით. წაქცეულიყო და წამოვაყენეთ... იქვე ძაღლი ჩაცუცქულიყო. როცა გარბოდა, ამანაც ფეხი იტკინა, — თეთრხალათიანმა თავზე ხელი გადაუსვა მუხლშეხვეულ ბიჭს.

თეონამ ახლაღა შეამჩნია, რომ ბიჭს მუხლი ჰქონდა შეხვეული. გოგონას დედა ბიჭთან მივიდა და შუბლზე აკოცა.

ბიჭი უხერხულად შიშმუშნა და თეინას გადმოხედა.

«სამადლობელი რა არი, განა ყველა ასე არ მოიქცეოდა?.. ისე მაგრა გავრბოდი, რომ რაღაცას წამოვედე, წავიქეცი და მუხლი გადამეტყავა, მაგრამ მაინც წამოვხტი... ხვალ გელას გუნდთან ფეხბურთი უნდა გვეთამაშა, რაღა დღეს ვიტკინე...» — ფიქრობდა ბიჭი.

— ბატონი რეზო მოდის! წამოიძახა ფანჯარასთან მომდგარმა თეთრხალათიანმა.

თეონას ლოყები აუხურდა, — «ვაითუ მიცნოს და თქვას მაშინ რომ მოვატყუე...» — გაიფიქრა.

ოთახის კარი შემოაღეს. თეონა შეცბა. ეს სულ სხვა, სანდომიანი და სახეღიმილიანი კაცი იყო. ის და თეონას დედა ახლობლებივით შეხვდნენ ერთმანეთს.

— როგორა ხარ? — მიეალერსა თეონას, — წეღან ვიყავი შენთან და აღარ გაგაღვიძე, — ღიმილით უთხრა თეონას, მერე ბიჭთანაც მივიდა და მიეფერა.

— ჰა, გოგოს მიტოვებ თუ არა? — მიუბრუნდა უცებ თეონას დედას, — სოფელში ადრეც გითხარი და წეღანაც, ბავშვი მოიყვანე-მეთქი. არ ინდომე და აი, თავად მოგვადგა. ერთი ორი კვირა მაინც დარჩეს აქ.

— კარგი, ბატონო, ზეგ მოვიყვან, — დაუმოწმა თეონას დედამ.

გოგონამ ის იყო, უარის თქმა დააპირა, რომ — «ჩვენთან არ მოხვალ?.. არ გაინტერესებს ფეხი როდის მომირჩება?» — ბიჭის მუდარით სავსე თვალებს წააწყდა.

— უეჭველად მოვალ! — წამოიძახა და გადაწყვეტილება რომ არ შეეცვალა, კედლისკენ მიტრიალდა.

— რა ვქნა, ვერ ვართობ, — აწუწუნდა ბებია, — ბავშვები ჩვენგან მოშორებით, ქვედა უბანში ცხოვრობენ, ახლა ერთ-ერთს წითელაბატონები ჰყავს. ეს კიდევ თავს მარტო გრძნობს, პატარა გოგოსავით სულ თოჯინებს ეთამაშება.

— ჰოდა, ხვალვე გელით... როგორც კი მოიწყენს, თვითონვე ამოგიყვან, — დაამშვიდა ბებო ბატონმა რეზომ.

თეონამ მოგვიანებით შეიტყო, რომ დედამისი და ბატონი რეზო უბნელები ყოფილან, სკოლაშიც ერთად უსწავლიათ.

გოგონას იმ ღამეს განცდილი და გაგონილი არ ასვენებდა. კარგა ხანს ფეხაკრეფით ეპარებოდა ქათქათაფრთება ძილის ფერია და თვალებზე ფრთხილად უსვამდა თითებს. წამწამებდამძიმებულმა ჩუმად, ძალიან ჩუმად წაიჩურჩულა: «მონადირე ბიჭო, აკი გვერდით მომყვებოდი? ძაღლი რომ მეცა, რატომ არ მომეშველე?.. — მერე ძილმორეულმა წაილუღლუღა: ძალიან გტკივა?..» და ქათქათაფრთება ფერიამ სიზმრების ქვეყანაში გააფრინა გოგონა... აი, ერთ ვეებერთელა სახლშია, სტუმრები ცეკვავენ. არა, სტუმრები კი არა, მათი მოტანილი ბროლის ჭიქები, ვაზები. ძილის კაცი ჯადოსნურ კვერთხს აწვდის და თეონა ამ საჩუქრებს ამსხვრევს... და აი, ნამსხვრევებიდან პაწაწინა სათამაშო ჯუჯები და რკოს კაცუნები გამოდიან. გოგონას მათი დანახვა ისე უხარია, რომ ცეკვას იწყებს... ანაზდად ვეებერთელა გუბეში ვარდება და ხელ-ფეხს უსუსურად აფართხალებს... უცებ, ერთი რკოს კაცუნა ბიჭად გადაიქცევა, თეონას ნაწნავში ხელს ჩაავლებს და ნაპირზე გაჰყავს. ნაპირთან თეონას

სახლია. ფეხშიშველი ბიჭი ეზოში შედის და თეონას ყვავილნარს რწყავს... ამოდიან და ამოდიან ცისფერი, ვარდისფერი და თეთრი სიფრიფანა ყვავილები.

თეონა უკვე «ციცინათელაშია»

ექიმის კაბინეტის კარი ბიჭმა შეაღო, შევიდა და უხერხულობისაგან შეიშმუშნა.

— ლელა ექიმმა მითხრა, თეონა ჩემს კაბინეტშია, შედი და ნახე, მეც მალე დავბრუნდებიო.

«ეს ხომ ის ლაშაა!» — იცნო თეონამ.

კარგა ხანს გატრუნულები იყვნენ.

— აღარ გტკივა? — დუმილი პირველად თეონამ დაარღვია.

— აღარ, მალე მომირჩა... შენ?

— აღარც მე.

ისევ გაჩუმდნენ.

— ლელა ექიმი გიყვარს? — სიჩუმე თეონამ დაარღვია ისევ.

— ჰო, ძალიან.

— ალბათ, გეფერება და იმიტომ.

— რომ მეფერება მარტო იმიტომ არა... წუხელ რომ მოაკითხეს, გაიგე? სოფეში ვიღაც ავად გამხდარა. დარაჯის ბუზღუნი შემომესმა, ამ შუაღამისას სადღა უნდა წამოვიესო...

— წავიდა?

— სიცხეც რომ ჰქონდეს, ისეთია, მაშინაც ვერ მოისვენებს... აქ რომ მოვედი, — ბიჭს ლაპარაკის საღერღელი აეშალა, — ეზოში სულ აგურები და ფიცრები ეყარა, არადა, ხვალ-ზეგ «ციცინათელა» უნდა გაიხსნასო, ღელავდა ძია რეზო... ერთ დღეს დიდი მანქანით ქალაქიდან ქალები და კაცები შაბათობაზე ამოვიდნენ. ალაგებდნენ, ასუფთავებდნენ. ჩვენს ჯგუფელს, გელას ცხვირიდან სისხლი წასკდა და საექიმო პუნქტისკენ წავყევი. ზღურბლზე ახალგაზრდა, თეთრხალათიანი დეიდა გამოგვეგება, — ახალი ექიმიაო, გვითხრეს. მოგვიანებით გავიგე, ძველს, მე აქ მუშად კი არ მოვსულვარო, უთქვამს, თან ერთი მასაწავლებელიც აუყოლებია და გაქცეულა.

ლაშა გაჩუმდა და თავისთვის ფიქრი გააგრძელა...

«ასე მეგონა, ლელა ექიმი ფერიასავით ცის ნამით საზრდოობდა და სიოს ფრთებზე შემოსკუპებული მოფრინდა ჩვენთან...»

ლაშას მის მხრებზე მართლაც რომ დაენახა ფრთები და მართლაც რომ ეფრინა, არცკი გაუკვირდებოდა. მერე სამზარეულოში ქათქათა თითებით კარტოფილს რომ ფცქვნიდა და ბავშვებს თეფშების ალაგებასა და რეცხვაში მიეხმარა, გოცდა, ხოლო როცა დაღლილ დამლაგებელს ცოცხი გამოართვა, მზად იყო, ხელზე ეკოცნა...

— იცი, ლელა ექიმმა, კლდიდან გადაეშვიო რომ მითხრას, წამით არ დავფიქრდები.

— მართლა?! — წამოიძახა თეონამ და ინატრა, ნეტა, მეც ლელა ექიმი ვიყოო.

მერე გაახსენდა, ლაშა მის საშველად რომ გამორბოდა და ფეხი იტკინა. ბიჭს მადლიერი, მოსიყვარულე მზერით მიაჩერდა.

ამ დროს ოთახის კარი ლელა ექიმმა შემოაღო. ნამტირალევი ჩანდა.

— ვინმემ გაწყენინათ? — მორიდებით ჰკითხა თეონამ.

ექიმი შეკრთა. მოგვიანებით გაიღიმა, გოგონას მოეფერა, პირდაპირ პასუხს მოერიდა.

— გინდათ, ზღაპარს გიამბობთ,? ლაშა, მოიწიე და ჩამოჯექი.

«...ერთ ასულს ეზოში ყვავილნარი ჰქონდა, შიგ ზამთარ-ზაფხულ ყვავილები ჰყვაოდნენ, თეთრი, ვარდისფერი და კიდევ ერთი, ცისფერი ჯადოსნური ყვავილი (ამ ყვავილიდან ყოველ საღამოს პაწაწინა ღიმილის ფერიები ამოდიოდნენ, ქალწულის ფანჯარასთან მიფრინდებოდნენ და გულს სიხარულით უვსებდნენ).

სათუთად უვლიდა ასული ყვავილნარს, არ გადამითელონო, შიგ არავის უშვებდა. განსაკუთრებით ჯადოსნურ ყვავილებს ელოლიავებოდა, უფლისწულისთვის ინახავდა. აკი გააფრთხილეს, ცისფერი ყვავილოს დაპატრონებას ურჩხული ცდილობს და თუ უფლისწულის მაგივრად ურჩხული მოწყვეტს, დანარჩენი ყვავილები იმწამსვე გაზაფხულის ფერებს დაკარგავენო...

— მერედა, ნუ გაატანს ურჩხულს! — წამოიძახა ლაშამ.

— მაინც მოწყვიტა, თუ უფლისწულმა დაასწრო?! — მოუთმენლად წამოიძახა თეონამ.

ექიმი ჩაფიქრდა.

— ურჩხულმა... — დაყოვნებით თქვა მოგვიანებით

— რატომ გაატანა!

— ხომ გააფრთხილეს!

— საქმე ისაა, რომ ურჩხული ასულს უფლისწულის სახით გამოეცხადა. ყვავილებმა ფერი რომ იცვალეს, მაშინღა მიხვდა, რომ ვერაგულად მოატყუეს...

— უფლისწული არ გამოჩნდა?.. ისიც ხომ უნდა მოსულიყო? რა დაემართა ყვავილნარს? ღიმილის ფერიები გაქრნენ?..» — კითხვები დააყარეს ბავშვებმა.

— სამწუხაროდ, ღიმილის ფერიები გაქრნენ, ასული ძლიერ, ძლიერ დაღონდა, მის გულში სევდამ დაისადგურა...

— და ყველაფერი ასე დამთავრდა?!_ განაწყენებული სახით იკითხა თეონამ.

— ჰო, სამწუხაროდ, დამთავრდა. — უპასუხა ექიმმა, ორივეს ალერსით თვალი მოავლო და ოთახიდან გავიდა.

— არა, არ დამთავრებულა! — წამოიძახა ლაშამ და ხელი მომუშტა, — უფლისწული უსათუოდ მოვა და ურჩხულს დაამარცხებს!..

«ლაშა, შენ ძალიან კარგი ბიჭი ხარ!.. უეჭველად წაგიყვან ჩვენთან, გაგაცნობ ბებოს, ჩემს კაჭკაჭს, მურას და მზექალას.» — გაიფიქრა გოგონამ.

ახალი მეგობრები

ბავშვებმა თამაშს თავი ანებეს და თეონას ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ. ყველას უნდოდდა ახალმოსულის გაცნობა.

— გამარჯობა! — თავმომწონედ წამოდგა ტილოსქუდიანი ბიჭი, ხელში ასანთის კოლოფი ეჭირა, — გახსოვს? — ჰკითხა თეონას, — მაშინ ოთახში რომ დავბრუნდით, აღარ დაგვიხვდი. — პირველი შეხვედრა მოაგონა.

— ჰო... ზაზა! — გაიხსენა თეონამ და კოლოფი გამოართვა.

შიგ პატარა პეპელა ირხეოდა.

— არ გეცოდება? — ჰკითხა, როგორც პირველი შეხვედრისას.

— ჰერბარიუმისთვის ვაგროვებ.

— ჰოო...

— აი, გელა... ჯერ ერთ ფრთას მოაცლის, მერე მეორეს და ისე გაუშვებს... მიხანხალებს პეპელა, ის კი იცინის...

— შენ, ეი! — წამოხტა თვალებგიზგიზა ბიჭი, ჩემს დახასიეთებას არ შეეშვები?! ყურების ახლეჩა ხომ არ მოგნატრებია! — მუქარით შესძახა, ზაზას ქუდი მოხადა და დაიხურა.

— დამიბრუნე!

ბავშვები სიცილს მოჰყვნენ, ზაზას არავინ ესარჩლებოდა.

«რატომ არ ესარჩლები?» — წასჩურჩულა თეონას მონადირე ბიჭმა. გოგონამ უეცრად აბეზარს ქუდი მოხადა და პატრონს დაუბრუნა.

— ერთი ამას დამიხედეთ, ეს ვისი ტიკი-ტომარაა! — გაწყრა გელა.

— თეონა ვარ!

— აა... ხიდიდან რომ ლამის გადავარდი? — ბიჭმა დაუსტვინა და თეონა ნიშნის მოგებით აათვალ-ჩაათვალიერა.

— ეს ის გოგოა, მეჩხერი ტყე რომ გამოიარა, ძია რეზომ რომ მოიყვანა?.. — ჩურჩული ატეხეს ბავშვებმა და თეონას ირგვლივ წრე შეკრეს.

ზოგი აღტაცებით, ზოგი კი შურით შეჰყურებდა

— იჰ, დიდი რამე! — გაბედა ცხვირდაჭორფლილმა გოგონამ, — მაგ კორომს მეც უშიშრად გავივლიდი.

— როგორ, მარტოკა?! — გაიოცეს ბავშვებმა.

თეონას ის იყო, გულში სიამაყე შეეპარა, რომ იმ წამსვე მონადირე ბიჭის ჩურჩული ჩაესმა: «ნუ გადიდგულდები!»

— წამო, ვითამაშოთ. — ხელი ჩასჭიდა თეონას დიდთვალება გოგომ.

ბავშვები ხიდობანას თამაშობდნენ. ხიდის ქვეშ გავლისას თითქმის ყველას თეონასთან მეწყვილეობა უნდოდა.

«თავს ნუ იწონებ! — ჩაესმა ისევ მონადირე ბიჭის ნაცნობი ხმა, — ნუ იფიქრებ, რომ ყველაზე უკეთესი ხარ, უბრალოდ, ერთი დღის გმირი ხარ, ეგ არის და ეგ!»

თეონას თამაში მალე მოსწყინდა. სხვებისგან შეუმჩნევლად ბალახში ჩაჯდა, ყვავილების გვირგვინები დაწნა და თავზე დაიდგა. უეცრად მისკენ მომავალ გელას მოჰკრა თვალი.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა ბიჭმა და წინ ჩაუცუცქდა.

— რაში გაინტერესებს?

— ისე, უბრალოდ.

— გოგოებს წლოვანებას არ ეკითხებიან.

— ოჰო, ეგ ვინ გითხრა? — გაიკრიჭა ბიჭი.

«რა უნდა გელაპარაკო, ზრდილობის არაფერი გაგეგება,» — გაიფიქრა თეონამ, ხმამაღლა კი თქვა, — ვის უნდა ეთქვა, ეს ასეა...

— რა ლამაზი გვირგვინი დაგიწნავს! — წამოიძახა, გვირგვინს ხელი წაატანა, მოაძრო და თავზე თვითონ დაიდგა გელამ.

— ჯერ ნებართვა უნდა ითხოვო! — იწყინა თეონამ.

— ეგ ვინღა გასწავლა. ნებართვა არა, ერთბაშად შეგეხვეწები.

თეონა გვირგვინს ისედაც მისცემდა, მაგრამ რომ წაართვა, გაბრაზდა.

— დამიბრუნე!

— ნურც ელოდები!

გელა წამოიმართა და ის იყო, უნდა გაქცეულიყო, რომ ვიღაც მაღალმა, თმაქოჩორა ბიჭმა მკლავში ხელი ჩაავლიო.

— დაუბრუნე!

— შენ ვინ გკითხავს? — აიმრიზა გელა.

— დაუბრუნე-მეთქი! — ბიჭის ხმაში მუქარა გაისმა.

— აჰა! — წამოიძახა გელამ და გვირგვინი უნდილად გადაუგდი პატრონს.

გვირგვინი ბალახში ჩაავარდა.

— აიღე და წესიერად მიაწოდე! — უბრძანა ბიჭმა.

გელა მიხვდა რომ ბიჭი ადვილად არაფერს დაუთმობდა და მისი ბრძანება მორჩილად შეასრულა.

თეონა ქომაგს მონუსხულივით მიაჩერდა.

«ნამდვილად მონადირე ბიჭია. ნეტა, რატომ ვერ მიცნო? — გაიფიქრა თეონამ.

— მშვილდი რა უყავი? — გაუბედავად ჰკითხა ბიჭს.

— რა?! — გაოცდა ბიჭი.

— მშვილდ-ისარი არა გაქვს?

— არასოდეს მქონია.

— არა? — დაიბნა თეონა.

«რა სასაცილო გოგო ხარ, — ჩაესმა გოგონას ნაცნობი ჩურჩული, ჯერ ლაშა გეგონე, ახლა კი ბაკური».

«ბაკური?.. რა ჩემი ბრალია, — თავი იმართლა თეონამ, — წესიერად არც კი დამენახვები... ვის აღარ გამსგავსებ ხოლმე...»

ბაკური კი ფიქრობდა: «ნამდვილად კი ღირს ამასთან მეგობრობა?.. ლაშამ კი თქვა ტყე მარტოკამ გამოიარაო... ესე იგი, ბიჭივით გულადი ყოფილა!» — დაასკვნა და ნაფიქრს ხმამაღლა დააყოლა: წავიდეთ!

— სად? — კითხა თეონამ.

— იქ შეიტყობ...

— მაინც?

— ლაშამ მითხრა, მოიყვანეო.

მათ სირბილით გადაჭრეს სპორტული მოედანი, დასასვენებელი კუთხე, თხილისა და ჯაგრცხილების ბუჩქებში თავი შერგეს და გაუჩინარდნენ.

კარავი ტყეში

მაღალ ჭადრებს შორის ჩიტის ბუდესავით ჩაყუჟულ, ნედლი ტოტებისგან მოწნულ კარავს მიადგნენ. შესასვლელში მუყაოს ფურცელზე შემდეგი წარწერა ეკიდა:

«რომანტიკოსთა სასახლე.
შორს არაპოეტურობა
და პროზაულობა».

კარავიდან ზრდასრული კაცის ხმა გამოდიოდა.

— რა არის პროზაული?.. სიმინდის თოხნა?.. არა ხართ სწორი. აი, რა: ყველაფერს ორი მხრიდან უნდა შეხედოთ. მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რა იქქნება მეორე მხარეს!.. ასეა სიმინდის გათოხნაც... ერთი მხარეა უბრალოდ გათოხნა, დაღლა... მეორე კი, აბა, იფიქრეთ... ბოლოში გახვედით და თქვენ მიერ გატანილ სვეს გამოხედეთ. იცით, რა შვებასა და სიამაყეს იგრძნობთ თქვენი ნაშრომის გამო? დაღლა და სიმსუბუქე ერთად გეწვევათ. რომანტიკაა, აბა, მაშ რა!..

კარავში შეაბიჯეს, მაგრამ კაცს ლაპარაკი არ შეუწყვეტია.

— ო, ბაკურს სიცოცხლე! — უეცრად შემოტრიალდა ასე, სამოცდაათ წელს მიტანებული ჭროღათვალება კაცი. — საინტერესოა, შენ რას იტყვი, არის თუ არა რომანტიკა შრომაში?.. ჩემი მხრიდან გპასუხობ: არის!

კაცი უეცრად გაჩუმდა, თითქოს ახლაღა შეამჩნია სტუმარი გოგონა, თვალებგაფართოებული რომ შეჰყურებდა კარავში თავშეყრილთ.

— გავეცნოთ ერთმანეთს! — დაწნული სკამიდან წამოდგა. — ჯერ ძმები გაიცანი: ამირანი, მირიანი, ბესიკი, ბიჭიკო, ჭიპიტო, ტიტიკო, ილიკო, ნიკო, სიკო. დღევანდელ თავშეყრას ერთი ძმაღა აკლია.

«პანკვალას შვილები?!» — კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა გოგონას. აკი ავადმყოფობენო?... როგორ გამოცვლილან. გზად რომ შემხვედროდენ, ვეღარც ვიცნობდი».

_სულ მიყოლებულები არიან, ერთმანეთს ტყუპებივით ჰგვანან, ვერც კი გამოარჩევ, — გაიღიმა მოხუცმა და ბიჭებს გადახედა.

ისინი წამოიშალნენ, ჩამწკრივდნენ და თავიანთ სახელებს რიგრიგობით წარმოთქვამდნენ.

თეონას მათი სახეებიც აერია და სახელებიც. ისე დაიბნა, აღარ იცოდა რა ექნა. კიდევ კარგი, დამხვდურებში ლაშაც ერია.

— მე ძია სერგო გახლავართ, ხელი გამოუწოდა მოხუცმა თეონას, — უწინ ახალგაზრდობისას, ე-ეჰ! — ამოიოხრა, სხვა იყო, მერე მოგიყვებით... ახლა კი მეტყევედ ვმუშაობ. ბედს არ ვემდური. რა ჯობს ჩიტებთან, მინდვრის ყვავილებთან და ხეებთან ყოფნას? ხანდახან მთის წვერზე რომ შევდგები, თავი ტყისა და ცხოველთა მფარველი მგონია...

— ოჩოპინტრე ხომ არა? — სიტყვა შეაგება ბაკურმა.

— რაც არის!.. სულ დამავიწყდა, ჩვენს სტუმარს რა ჰქვია?

— თეონა.

— ჩემო თეონა, «სასახლეში» ყველა კუთხე-კუნჭული დაკავებულია, სად დაგსვა არ ვიცი, — თქვა ძია სერგომ და მიიხედ-მოიხედა. მერე კარვის შუაგულში დედაბოძივით ასვეტილ ხეს თვალი ააყოლა.

— ამ ხის ტოტზე საქანელა ხომ არ დავკიდოთ? — თითქოს ნაფიქრალს მიუხვდა გოგონა.

— აი, რომანტიკა, ყოჩაღ! — წამოიძახა ძია სერგომ, — წრის წევრად ურეკომენდაციოდ მიგიღებთ, ხომ მართალია, ბიჭებო? ოღონდ აუცილებელია პატარა ცერემონიალის ჩატარება. თქვენ, რა, — მიუტრიალდა ბიჭებს, — გოგო პირველად ნახეთ? ენა დაგიბეს თუ რა, აბა, თქვით რამე, რავა სულ მე მალაპარაკებთ? ისევ შენ ბაკურ, თორემ ამათ ეტყობა, წუხელ ცუდად ეძინათ.

— ძია სერგო, გვინდა თეონას ძმად გავეფიცო, ამიტომ მოვიყვანე! — მიუგო ბაკურმა და ნეკა თითში ქინძისთავი იჩხვლიტა.

სისხლი რომ დაინახა, გოგონა შეკრთა.

— რისი გეშინია?

— რას ჰქვია, მეშინია, — იწყინა თეონამ, მერე თვალის დახამხამებაში ნემსი თვითონაც იჩხვლიტა და ალისფერი ნეკა თითი ბაკურისას მიადო.

— ვფიცავ, თუ ვინმე უსამართლოდ მოგექცეს, ხმა აღვიმაღლო! — დაიფიცა ბიჭმა, — თუ გასაჭირში მყოფი დამიძახებ, მაშინვე შენთან გავჩნდე, არასოდეს ვისარგებლო შენი სისუსტით და არ გაგრძნიბინო, რომ ქალ...

— ქალი! — სიტყვა ჩამოართვა ძია სერგომ, — იცით, ლეგენდის მიხედვით შემოქმედმა ქალი რომ გააჩინა, დაანათლა მზის სხივთა ნათელი, შვლის თრთოლვა, ირმის მომხიბვლელობა, ვარდის სურნელება, გედის სინარნარე, მტრედის თვინიერება, თაფლის სიტკბო, ბუმბულის სიმსუბუქე, წყაროს სისპეტაკე...

— მაგრამ მეტისმეტად ტკბილი რომ არ გამოსულიყო, ქარის ცვალებადი ხასიათიც დაანათლა, — დაამატა ძმებიდან ყველაზე უფროსმა — ამირანმა, თან ნეკა თითი თეონას ნეკა თითს მიადო და დააყოლა:

— ყოფილიყავი მტკიცე ხასიათის.

ბიჭები გათამამდნენ და ადგილიდან ერთდროულად დაიძრნენ.

— შორს შენგან მელიის ცბიერება!

— კრაზანის შხამი!

— კურდღლის სიმხდალე!

— ზვიგენის მადა!

— კაჭკაჭის ენა!

— ყოფილიყავი დიდსულოვანი!

— გცოდნოდეს სიყვარული!

— დანდობა!

— ერთგულება!..

ძმები მომღიმარე სახით მიდიოდნენ გოგონასთან და ხუმრობაგარეული სერიოზულობით ძმად ეფიცებოდნენ.

— გახსოვდეთ, მოუარეთ მას, რადგან ის ყვავილს ჰგავს! — ბრძანა შემოქმედმა! — ხმას აუწია ძია სერგომ.

— დავიმახსოვრებთ!

— გავუფრთხილდებით!

— ვფიცავ, თუ ვინმე უსამართლოდ მოგექცევა, ხმა აღვიმაღლო!

— სიყვარულზე სიყვარულით გიპასუხებ!

— არ ვისარგებლებ შენი სისუსტით!

— არასოდეს მოგატყუებ!

— თუ გასაჭირში მყოფი დამიძახებ, მაშინვე შენთან გავჩნდები!

— აგამაღლებ...

უეცრად გაისმა «ციცინათელას» ზარის წკრიალი.

— გვიხმობენ, წავიდეთ, თორემ ძებნას დაგვიწყებენ და მოგვაგნებენ, თქვა ლაშამ.

* * *

— დანარჩენები სად არიან? — იკითხა ნინო დეიდამ და ბავშვებს გახედა.

_ აქ ვართ! — გაისმა.

უცებ მოცვივდნენ ბაკური, ლაშა და თეონა.

_ სად იყავით?

_ არსად.

_ როგორ თუ არსად, მთელი არე-მარე შემოვიარე და ვერსად გიპოვეთ. არ იტყვით, სად იკარგებით ხოლმე? აბა, ვინ იტყვის? — მიმართა ბავშვებს. ყველამ მხრები აიჩეჩა. მხოლოდ ერთი გოგო დაწინაურდა.

_ მე გეტყვით!

_ ლალი, მოიწიე ახლოს!

ლალი ადგილიდან დაიძრა თუ არა, ლაშამ ფეხი გამოსდო. ლალიმ წაიფორხილა და წაიქცა.

_ ეს რა ქენი! — შესძახა ნინო დეიდამ, — რატომ შენს ჯგუფელებთან არა ხარ?

ლაშა ხმას არ იღებდა. წაქცეული ლალი წამოაყენა, ახედ-დახედა და როცა დარწმუნდა, რომ არაფერი სტკენია, განერიდა.

_ დღეს ყველანი უვახშმოდ დარჩებით! — მწკრივში მდგომთ გადახედა ნინო დეიდამ. — ხომ არაფერს დაამატებდით?

ხმას არავინ იღებდა.

_ მაშ... დაიშალეთ!

_ მოიცათ! — გაისმა ხმადაბლა.

_ ეს შენა ხარ, ბაკურ? აბა, რას იტყვი, თქვი, ნუ გეშინია! — უთხრა ნინო დეიდამ.

_ რისი უნდა მეშინოდეს? — გაგულისდა ბიჭი, — ხმას ვინც არ იღებს, მხდალი ისაა.

_ გისმენ.

_ ლალი მაბეზღარაა და მოხვდა... მერე რა, რომ გოგოა?

ნინო დეიდას გაიღიმა.

_ კარგით, ახლა წადით და ივახშმეთ! — თავისი გადაწყვეტილება შეცვალა ნინო დეიდამ.

იმ ღამით თეონას ყველაზე გვიან დაეძინა, თუმცა არა, მის გვერდით საწოლში მზიასაც დიდხანს ეღვიძა.

აქ მოსვლის პირველსავე დღეს მზიამ უთხრა:

_ რიგის მიხედვით მორიგეობა ხვალ შენ გიწევს, მაგრამ მე შეგცვლი. ახალი მოსული ხარ, ცოტა მოშინაურდი და მერე...

_ მადლობა! — გული მადლიერებით აევსო თეონას.

მზიას დიდრონი, თაფლისფერი, ჭკვიანი და ოდნავ სევდიანი თვალები ჰქონდა. თეონა რომ შეხედავდა, სულ იმას ფიქრობდა, ალბათ, დედა ძალიან ენატრებაო, და ცდილობდა, რითიმე გაეხარებინა. ძილის წინ ხშირად

საუბრობდნენ, ახლობლებს იგონებდნენ. ჩურჩულით გულს რომ იჯერებდნენ, თავთავიანთთვის გაიტრუნებოდნენ. ერთ საღამის თეონას ხან ბებოს ალერსიანი ხმა ჩაესმა, ხან კაჭკაჭის ჭყრიალი, ხან მზექალა გაახსენდა, ალბათ, უჩემოდ მოსწყინდებოდაო, გაიფიქრა.

_ ჩემო დედიკო, იცი, როგორ მომენატრე? — ჩაიჩურჩულა და უცებ მზიას სლუკუნი გაიგონა.

_ რა გატირებს?!

_ რა და, წამოვიდგინე, ვითომ ჩემი დედიკო მოკვდა. გადმოწექი რა, ჩემთან?

თეონა მზიასთან გადავიდა და ის იყო, კვლავ გააბეს ჩურჩული, რომ სიბნელეში ფხაკუნი გაისმა და ფანჯარაში ბიჭის თავი გამოჩნდა.

_ თეონა! — გაისმა ფრთხილი ძახილი.

_ ვაიმე! — შეიცხადეს აქეთ-იქიდან ბავშვებმა.

_ ე-ე! რა დაგემართათ, ბაკური ვარ, ბაკური! ჭინკების გორაზე თეონას წაყვანა გვინდა.

_ ჭინკების გორაზე?

_ ჰო. თუ მზის ამოსვლის ნახვა გინდათ, თქვენც წამოდით!

_ ვინ და ვინ მიდიხართ?

_ უფროსებმა რომ გაიგონ?

_ შორსაა? — დააყარეს კითხვები გოგონებმა.

_ წამოდით და გაიგებთ!

_ ოჰ, ამ ღამეში?

_ გვეძინება!

_ მშიშარებო! — დაიძახა ბაკურმა, მერე თეონას მიუბრუნდა, — ჰა, მოდიხარ, თუ შენც გეშინია?

_ მოიცა, მოვდივარ! — თეონამ კაბა წამისუმალ გადაიცვა და ფანჯრიდან გადაიპარა.

_ ქალაბიჭა, ნეტა სად მიჰყვები! — მიაძახეს გოგონებმა.

_ რას აითვალწუნეთ ეს გოგო! — გაწყრა უცებ მზია.

_ ვითომ რატომ გგონია?!

_ გატყობთ! სადმე რომ მიდიხართ, გაურბიხართ, იშვიათად ეთამაშებით და იცით რატომ? აი, იმ ერთ დღეს, ყველას ყურადღება რომ მიიქცია იმიტომ. «დიდი რამე, ბინდისას ტყე გამოიარა», ამბობდით ჩუმ-ჩუმად, სინამდვილეში კი გშურდათ. ახლაც იგივე დაგემართათ და ქალაბიჭაო, მიაძახეთ. ისინი თეონას ძმადნაფიცები არიან. აბა, თქვით, რომელსა გყავთ ამდენი მეგობარი? ხედავთ, ვერც ერთი ვერ დაიტრაბახებთ.

ტყეში

ჭინკების გორას ორივე მხრივ რუ ჩამოუდიოდა. შორიდან გეგონებოდა, მთას დალალ-კავები ჩამოუშვიაო. რუები ჩამოივაკებდნენ თუ არა, გზას დაუბრკოლებლად განაგრძობდნენ. მათ შუა მინდორს გაეშალა კალთა. მეგობრები ამ რუთაშუა, მდელოზე გაივლიდნენ და მერე მთაზე ავიდოდნენ. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო. აქ სიარულს არაფერი ჯობდა, მაგრამ უცებ გზამ ჩაბნელებული ტყისაკენ გადაუხვია, ბაკურმა ფარანი ამოიღო და გზა გაანათა.

_ რატომ არ მოვიდა ლაშა? — სიჩუმე დაარღვია თეონამ.

_ ჯერ თქვა, მეზარებაო, მერე შემპირდა, სხვებსაც წამოვიყვან და ეზოს ბოლოში დაგელოდებიო. მოწმე ხარ, დათქმულ დროზე მეტხანს ვუცადე და არ მოვიდნენ...

_ სოფლიდან ყველანი მოვლენ?

_ ჰო, ყველანი, ვაჟაც. იცნობ ვაჟას?

_ ჩამოვიდა?

_ აი ბიჭი! არასოდეს მოგატყუებს, რასაც შეგპირდება, შეგისრულებს კიდეც!

_ უფრო მნიშვნელოვანი საქმეც რომ გამოუჩნდეს?

_ თავს მოიკლავს და შეგატყობინებს!

«ლაშა არც თავს მოიკლავს და არც არაფერი!..» — გაუელვა თეონას.

მალე დანიშნულ ადგილს მიადგნენ. ბაკურმა დაუსტვინა. საპასუხო სტვენა არ გაუგონიათ.

_ ჯერ არ მოსულან, ჩვენ მოვასწარით!

მდელოზე გვერდიგვერდ დასხდნენ.

_ რად ჰქვია ჭინკების გორა? — იკითხა თეონამ და მთას შეხედა, ორად-ორი ხე ქოჩორივით რომ ადგა თავზე.

_ ამბობენ ჭყორისზე ჭინკები იყრიდნენო თავს, — თქვა ბაკურმა.

_ ჭყორისზე?

_ ჰო, მთის წვერზე გაშლილი მოედანია. აი, იქ იკრიბებოდნენ თურმე. ზოგი ცოცხზე გადამჯდარი მოფრინდებოდა, ციქციქით ჩამოივლიდნენ მოედანს პანკვალები და ჭყლიპარტები. იკვეხნიდნენ სად ვინ შეაშინეს, ვინ მოატყუეს, იმანჭებოდნენ, იგრიხებოდნენ და ჭოტებივით დასჭყიოდნენ სოფელს...

_ ცეცხლის ეშინიათო ჭინკებს. ჩვენც დავანთოთ რა! — დაიჩურჩულა თეონამ და ბაკურისკენ გაჩოჩდა.

_ შეგაშინე? ტყე ჭინკებით კი არა, ფერიებითაც ყოფილა თურმე სავსე. ხეებს, ყვავილებს, წყაროს, ნაკადულს თავისი მფარველი ფერია ჰყავდა. მთის ფერიაც ყოფილა. ამბობენ, მაია ერქვაო. მაისში მის საპატივცემულოდ დღესასწაულები იმართებოდაო. თვესაც მაისი იმიტომ შეარქვესო.

_ საიდან იცი?

_ წავიკითხე, უხსოვარ დროს ასე სწამდაო ხალხს. ეჰეი! — გასძახა ბაკურმა სიბნელეს, — იგვიანებენ, ალბათ, შინიდან ვერ გამოიპარნენ...

უცებ რაღაცამ დაიზმუვლა. თეონამ წამოიკივლა.

_ მუუ! — განმეორდა ხმა.

_ ეს ხომ ძროხაა, ალბათ ნახირს ჩამორჩა.

_ ძროხა? მერე რამემ რომ შეჭამოს?

ბაკურს თეონას დამშვიდება სურდა, ამიტომ ისევ მითები მოიშველია.

_ ნადირ-ცხოველსაც თავისი მფარველი ჰყავდა.

_ ვინ?

_ ოჩოპინტრე.

_ ისიც ფერია იყო?

_ არა, კაცისსახიანს ეშმაკის ჩლიქები და რქები, ვაცის წვერები ჰქონდა.

_ მართლა?!

_ რა ვიცი, ასე ამბობდნენ და... ოჩოპინტრე კეთილიც იყო და ბოროტიც.

_ ეგ როგორ? — გაუკვირდა თეონას.

ბაკურმა კარგად თვითონაც არ იცოდა და ცოტა ხნით ჩაფიქრდა, რა ვუპასუხოო. ძალიან უნდოდა გოგონასთვის თავისი ნაკითხობა ეჩვენებინა.

_ ფერიებთანაც მეგობრობდა და ჭინკებთანაც! — ნახა გამოსავალი ბაკურმა.

_ რატომ? მარტო ფერიების მეგობარი ყოფილიყო.

_ მაშინ ჭინკები აუჯანყდებოდნენ და მის ძლიერებას ძირს გამოუთხრიდნენ.

_ მერე ფერიები ცოტანი იყვნენ, თუ რატომ ვერ მოერეოდნენ?

ბაკური გაჩუმდა, გულში გაიფიქრა, ახლა გავებიო, პასუხით კი მაინც რიხიანად უპასუხა: — მაგალითად, ხის ფერიები ხის სიკვდილთან ერთად კვდებოდნენ. მიატოვებდა ფერია ხეს და ხეც ჭკნებოდა. ასე იყვნენ სხვა ფერიებიც. თავისი ადგილსამყოფელიდან შორს ვერ მიდიან, იქვე, მახლობლად ტრიალებენ.

_ ესე იგი... — ამ დროს სტვენა გაისმა და თეონას სიტყვა გაუწყდა.

ბაკური ფეხზე წამოხტა:

_ ვაშა, მოვიდნენ!

სათითაოდ გამოვიდნენ სიბნელიდან: ჭიპიტო, ბიჭიკო, ამირანი, მირიანი, ბესიკი, ილიკო, ნიკო, სიკო, ტიტიკო და ვაჟა.

თეონამ თვალი გააპარა ვაჟასკენ. სიბნელეში კარგად ვერ დაინახა მისი სახე.

_ ძლივს გამოვიპარეთ შინიდან! — თქვა ჭიპიტომ, — ლაშა სადღაა?!

_ აბა, რა ვიცი, ვუცადე, არ მოვიდა და... არც სხვები მოვიდნენ.

_ არ უნდათ?! — თქვა ამირანმა, — მაშ, ჩვენ ავიდეთ!

გზას ამირანი მიიკვლევდა, დანარჩენები უკან მიჰყვებოდნენ. ბუჩქებსა და გაბარჯღულ ხეებს შორის მიაბიჯებდნენ. ირგვლივ ტყის სურნელებით გაჟღენთილი ღამე ჩამოწოლილიყო.

_ ჩხაკ! — ჩამოტეხა ტოტი ვიღაცამ.

_ ხის ფერიას ახლა, ალბათ, რაღაც ეტკინა არა, ბაკურ? — უჩურჩულა ბიჭს თეონამ. მისი სიტყვები არავის გაუგონია. ბაკური და თეონა გვერდიგვერდ მიდიოდნენ. — ფერიები ძალიან სათუთები და ნაზები რომ არიან, იმიტომ უთმობენ არა, ჭინკებს ადგილს?

_ უთმობენ?

_ ჰო, თუ ყველაფერს თავისი ფერია ჰყავს, ჭინკების გორასაც ეყოლებოდა, ეტყობა, ჭინკებმა განდევნეს იქიდან.

_ ალბათ.

_ მშიშრები ყოფილან, ოჩოპინტრეც, ალბათ, რამეს რომ მოინდომებდა, ფერიებთან მეგობრობით ვერაფერს გახდებოდა და ამიტომაც ჭინკებს დაუახლოვდებოდა.

_ ეგრე რომ ყოფილიყო, მაშინ სულ ჭინკებთან იმეგობრებდა! — შეედავა ბაკური.

_ იმეგობრებდა და ღვთაებაც ვეღარ იქნებოდა... — საუბარში ჩაერია ვაჟა.

_ მარტო ფერიებთან ემეგობრა, რა! — თქვა თეონამ.

_ აკი გითხარი, — გაეღიმა ბაკურს, — ფერიები თავ-თავიანთ სამფლობელოს ვერ სცილდებიან, თავის მოყრა უჭირთ და...

_ ეჰე, ჰეი, ვიღაცას ცეცხლი დაუნთია, შეხედეთ! — დაიჭყივლა უცებ ჭიპიტომ. მთას გახედეს. მთვარე ისე ამოწვერილიყო, იფიქრებდი, ცეცხლი დაუნთიათო მთის წვერზე.

_ მით უკეთესი! მივალთ კოცონთან და ხელებს გავითბობთ.

უცებ ბიჭები დაგუბებულ რუს გადააწყდნენ. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ფონი ვერსად უნახეს.

_ აბა, გავტოპოთ, — დაიძახეს და წყალში შეჭყლაპუნდნენ.

თეონამ ფეხი შედგა თუ არა, წამოიკივლა და უკან დაიხია.

_ გამოდი, გამოდი! — წააქეზეს ბიჭებმა. გოგონა მოიბუზა და ის იყო ფეხი უნდა ჩაედგა, რომ ვაჟამ შეაჩერა:

_ მოიცა! — და გაღმით გასულ ძმას გასძახა: — აბა, უკან გამოდი, რაღაც მინდა გითხრა!

ჭიპიტომ წყალში გამოტოპა და ძმას წინ დაუდგა. ვაჟამ რაღაც უჩურჩულა.

_ ახლავე! — წამოიძახა ჭიპიტომ და მთვარის შუქზე მიმოიხედა. სწრაფად შეათვალიერა ტოტებღონიერი ხე და ორი ტოტი ჩამოტეხა. ტოტების ერთი ბოლო ვაჟამ შეიდგა მხარზე, მეორე — თვითონ.

_ ესეც ტახტრევანი. აბა, თეონა, ჩამოსკუპდი ზედ! — დაიძახა ჭიპიტომ, — ჩვენ ყმები, შენ — დედოფალი!

ბიჭებმა «ტახტრევანი» ძირს დაუშვეს.

_ დაბრძანდით! — შესთავაზა ისევ ჭიპიტომ.

თეონა ჯერ დაიბნა. მერე დაიმორცხვა.

_ თვითონ გავალ!

_ დაჯექი ერთი! — შეუძახეს აქეთ-იქიდან, — ხათაბალა არ გახდე, არ გაცივდე.

_ ჰო! — წააქეზა ვაჟამაც, — იქ ღამე უნდა ვათიოთ, გოგო ხარ და ადვილად გაცივდები.

თეონა მორცხვი ღიმილით მიუახლოვდა «ტახტრევანს» და ზედ ჩამოჯდა.

_ აბა, ჭიპიტო, შეიდგი მხარზე, თორემ წყალი მოსწვდება! — დაიძახა ვაჟამ და ძმებმა «ტახტრევანი» ასწიეს.

_ აბა, ჰე! — წამოიძახეს და ბიჭები დაგუბებულში შევიდნენ.

ფერიების სერობა

ტახტრევანზე ჩამომჯდარმა თეონამ თვალები დახუჭა და გაიფიქრა: «აი, მე დედოფალი ვარ. არა, დედოფალი კი არა, წყლის ფერია. უფრო სწორად, წყლის დედოფალი... რუთაშუა მდელოზე თავი მოუყრიათ ფერიებს. ყველანი აქ არიან: ყვავილების, ხეების, მდინარეების, ნაკადულების... თავ-თავიანთ სამყოფელს უჩვეულოდ დასცილებიან.

«აკი შორს არ მიდიანო? — ფიქრობს თეონა, — თუმცა არა, რაღაცას ჩურჩულებენ, წუხან ხეები, მდინარეები, თრთიან ყვავილები».

«ფერიებო, დაბრუნდით უკან!» — საცაა წამოიყვირებს თეონა, მაგრამ არ ყვირის, თვალებს ახელს და ფიქრს აგრძელებს.

ხეები წყნარად, უშფოთველად აშრიალებენ ფოთლებს...

თეონამ თვალი ისევ დახუჭა. უცებ სიბნელიდან ვიღაც გამოდის. «ფერიები რად გააბრუნე?!» — საყვედურობს თეონას და მიდის.

«ეს ხომ მონადირე ბიჭია. აქამდე სად იყო? — უკვირს გოგონას, — დაიცადე, არ წახვიდე!.. რა ეწყინა ნეტა? «რად გააბრუნეო ფერიები!»... — იმეორებს. და, აი,

წყლიდან თმაგაშლილი ფერია მთვარესავით ამოცურდა, დიდი, ნაღვლიანი თვალებით მოსჩერებია.

«წამოდი ჩვენთან, ზევით! «_ ეჩურჩულება თეონა.

«ჩემს ბინას ვერ დავტოვებ... თან იქ ბევრი ჭინკაა...»

«მათი გეშინია? სხვებიც მოდიან...»

«ჰოო?!» — იღიმება ფერია და ნაპირისაკენ სურს გამოცურდეს, მაგრამ კალთაზე ვიღაც ებღაუჭება. ეს პაწაწინა ცხოველი ეწევა უკან, წყლიდან არ უშვებს.

ფერია პეპელასავით ნაზ მკლავებს იქნევს, პაწია ცხოველს უნდა დაუსხლტეს, მაგრამ სწრაფად იღლება, საცაა წყლის ზედაპირზე გაწვება... ჩაიძირება...

«უჰ!» — წუხს თეონა და ზევით, მთისკენ იხედება. ეჩვენება, თითქოს მაღლა ამოწეულ, დაირასავით ჩამოკიდებულ მთვარეს აწოწილი ჭინკები ეპოტინებიან. «ნათელი, მთვარიანი ღამე სძულთ ჭინკებს, ო», — გაეგონა თეონას და მოეჩვენა, რომ ატოტებული შავი ხელებით მნათობის ჩამოგლეჯას ცდილობდნენ.

_ ზევით, ზევით, ჩქარა! — წამოსცდა ხმამაღლა. სულ დაავიწყდა «ტახტრევანზე» რომ იჯდა, თითქოს გაქცევას აპირებსო, ფეხები აასხმარტალა. ბიჭებმა წაიფორხილეს.

_ ნელა! — გაისმა ვაჟას გაფრთხილება და წამით შედგა, — თორემ წყალში ზღართანს მოვადენთ! ნეტა ამხელაზე რამ დააგუბა რუ? — დააყოლა ჭიპიტომ.

ისევ დაირწა «ტახტრევანი»... ისევ გააგრძელა ფიქრი თეონამ... ისევ ბორიალობენ ჭინკები მთაზე...

«ჩქარა, ჩქარა! — აქეზებს წყლის ფერიას, — რუთაშუა მდელოზე ერთიც რომ დააკლდეს, სერობა არ შედგება...» პაწია ცხოველი კალთაში ჩაფრენია წყლის ფერიას და უკან ექაჩება. ფერია დიდი, ნაღვლიანი თვალებით შემოსცქერის თეონას... უცებ მშვილდისრიანი ბიჭი გამოჩნდა, ისარმა გაიშხუილა და ცხოველს პირდაპირ გულში მოხვდა. გულდაკოდილი ციებიანივით აკანკალდა, კაბის კალთას ხელი შეუშვა და წყალში ჩაყურყუმელავდა. ბიჭმა ხელი გაუწოდა ფერიას. თვალგაბრწყინებული წყლის ფერია მისკენ გაცურდა. თეონამ კარგად დაინახა ბიჭი. მონადირე ბიჭი ფერიას უღიმოდა...

_ დედოფალო, აღარ ინებებთ ჩამობრძანებას? — ჩაესმა თეონას.

წყლიდან ამოსულიყვნენ ბიჭები, ნაპირზე გამწკრივებულიყვნენ გულზე ხელებგადაჯვარედინებულები და თავდახრილები.

_ სალამი დედოფალს! — ერთხმად შესძახეს ბიჭიკომ, ამირანმა, მირიანმა, ბესომ, ილიკომ, ნიკომ, ტიტიკომ და ბაკურმა.

_ ოჰ! — თეონას თვალები ვარსკვლავებივით აუკიაფდა და ფეხი მიწაზე დადგა...

_ წამო, რას გაჩერებულხარ? — უთხრეს გარინდებულ გოგონას ბიჭებმა.

თეონაც დაიძრა.

ნელა შეუყვნენ მთის ბილიკს. ხეებსა და აწოწილ ბუჩქებს ერთმანეთისათვის ხელი ჩაეჭიდათ და სიარულს უძნელებდათ. ძილ-ბურანში წასული ტყე ბავშვების ფეხის ხმაზე ფხიზლდებოდა. მთვარე კი თითქოს თვალხუჭობანას ეთამაშებოდა ბილიკზე მავალთ.

ტყისა და ველური ყვავილების სურნელით გაბრუებული თეონა ჩაფიქრებული მიჰყვებოდა კლაკნილ ბილიკს.

მთის შუაწელზე აღმართმა მუხლი მოიმაგრა. თეონამ დაღლა იგრძნო. ფეხი აღარ ემორჩილებოდა, ნელ-ნელა უკან რჩებოდა. ჭინკების გორას ახედა. იგი ისე ახლოს მოჩანდა, იფიქრებდი, ერთი ამოსუნთქვა და ზედ მოვექცევიო, მაგრამ მის ირგვლივ თასმასავით დახვეული ბილიკი უსაშველოდ გრძელდებოდა. ნაბიჯი დაუმძიმდა გოგონას, ეგონა ეს-ეს არის ჩავიკეცებიო. ბიჭებიც მძიმედ მიაბიჯებდნენ, მაგრამ შესვენებაზე არავინ ფიქრობდა.

«იჰ, უკან არც კი იხედებიან», — ტუჩები გაბუსხა გოგონამ, — ალბათ, თვითონაც დაიღალნენ... — უცებ, წარმოიდგინა, რომ ძირს ნაყარ ფოთლებში კი არა, უდაბნოში მიდიოდნენ... ქვიშაში ეფლობოდათ ფეხი, ნაბიჯის გადადგმა უჭირდათ. ცხელი ჰაერი სულს უხუთავდათ. ქვიშა ჯერ კოჭებამდე... მერე მუხლამდეა... თეონას პირი უშრება: «წყალი, ერთი წვეთი წყალი!..» — ნატრობს გოგონა. აი, მათარა მოსინჯა, შიგ ყლუპიც კი არ აღმოჩნდა. — «არაფერია!_ ფიქრობს, — ბიჭებს აქვთ და დამალევინებენ. — წყალი, ერთი წვეთი წყალი!» — იძახის. ბიჭები უკან არც კი იხედებიან. მძიმედ, ძალიან მძიმედ მიაბიჯებენ ქვიშაში. თითქოს არც კი ესმით თეონას ძახილი. აი, ამირანი, ჭიპიტო, ტიტიკო... ბაკური, ვაჟა... ლაშაც მათთან არის... მათარა ჩაუბღუჯავთ და თავჩაღუნულები მიაბიჯებენ...»

«იმ დღეს... ხიდს ვერ დავაღწევდი თავს, შენ და ლელა რომ არა...»

«მაშინ სხვა იყო, ახლა სხვაა!» — ნაღვლიანად პასუხობს ლაშა.

«წყალი, ერთი წვეთი წყალი!» — ჩურჩულებს თავისთვის თეონა, ლაშას თვალს არიდებს, ლასლასით აგრძელებს გზას და იხსენებს: აი, რუში ფეხი უნდა შედგას თეონამ... «მოიცა! — აჩერებს ვაჟა. — «ტახტრევანზე» დაბრძანდი, ფეხი არ დაგისველდეს...» _ბიჭები წყალს მიარღვევენ... წყალს კი არა, ქვიშას... ოაზისი არსად ჩანს. მუხლდაღლილები ძლივს მიაბიჯებენ ქვიშაში... მიდიან, უკან არც იხედებიან...

«წყალი, ერთი წვეთი წყალი!» — იმეორებს თეონა. გრძნობს, ქვიშაში ეფლობა, გულამდე ამოდის ცხელი, ფხვიერი ტალღები... — «მეტს ველარ ვივლი, ცოტახნით შევისვენებ», — გადაწყვიტა და შედგა. აქეთ-იქით კედელივით აღმართულიყო სიბნელე. გოგონას შიშმა გულში გაკენწლა. — «ჰმ, რაინდები!» — გაიფიქრა ბიჭებზე და ის იყო, უნდა ატირებულიყო, რომ უცებ ხის ტოტებში ჩიტი შეფრთხიალდა. გოგონამ სიბნელეში ვერც კი დაინახა იგი. სამაგიეროდ, ბუჩქებსა და ხეებს ამოფარებული მონადირე ბიჭის დამცინავი ხმა გაიგონა, — «შეგეშინდა?!» «მონადირე ბიჭო, დამცინი? — წაიჩურჩულა თეონამ, — გეგონა, შემეშინდა? სრულებითაც არა, ჯერ ერთი, ბიჭები არც ისე შორს წასულან. ერთი რომ დავიყვირო, ჩემთან გაჩნდებიან. მეორეც, შენ ხომ ყოველთვის თან დამყვები? მერე რა, რომ ხანდახან გაქრები, მერე ხომ ისევ სწრაფად გამოჩნდები ხოლმე? ახლა ნუ დამემალები, ერთად გავიქცეთ, ბიჭებს დავეწიოთ.»

თეონა ამ ფიქრმა გაამხნევა.

_ აბა, მონადირე ბიჭო, დამეწიე! — დაიძახა ხმამაღლა და წინ გაიჭრა, — ეჰე-ჰეი, გაგასწარი!

ბიჭებმა ახლაღა მოიხედეს და დაინახეს, რომ გოგონა ჩამორჩენოდათ.

_ ფეხს აუჩქარე, თორემ მგელმა რომ პირი ჩაგავლოს და ტყეში შეგათრიოს? მოდი, წინ იარე! — გამოსძახა ვაჟამ და თეონა რომ გაუსწორდა, ჰკითხა, — მგონი ვიღაცას ელაპარაკებოდი.

_ არავის.

ვაჟა დაეჭვდა. ტოტები რაღაცამ შეარხია. მთვარემ ხეებშუა ჩამოიჭყიტა და წუთით ბიჭის სახე გაანათა. მას ისეთი ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იფიქრებდით, მთელი ქვეყნის დარდი დასწოლიაო.

«ამიტომ ამბობენ, ჭკვიანიაო,» — გაიფიქრა თეონამ.

«რას მიყურებ? რომ გითხრა მონადირე ბიჭს ვესაუბრებოდი-მეთქი, დამიჯერებ? არაფერსაც არ დამიჯერებ. წყნარად მეტყვი: სისულელეს ამბობო! გულში კი ვინ იცის რას იფიქრებ.»

_ მაშ, შენთვის ლაპარაკობდი? — ჩაეკითხა ისევ ბიჭი. თეონამ თვალი შეავლო ტანმორჩილ ვაჟას და რატომღაც მაღალი, მხრებგაშლილი ლაშა დაუდგა თვალწინ...

« ამაღამ ჭინკების გორაზე არ მოდიხარ? «_ ჰკითხა ლაშამ დღისით.

« ჰო... შენ?.. რომ არ წამოხვიდე, იცოდე, მეწყინება!»

«აბა არ წამოვალ?.. ბიჭებსაც შევპირდი...»

«მატყუარა!» — გაიფიქრა ლაშაზე თეონამ და ხმადაბლა, ისე რომ არავის გაეგო, ვაჟას ჰკითხა:

_ რაც არ უნდა მომხდარიყო, დღეს მაინც წამოხვიდოდი?

_ თუ ხანძარი გაჩნდებოდა, ვერა... ძლივს გამოვიპარეთ შინიდან... ცოტა სიცხეც მაქვს და...

_ უჰ! — შეწუხდა გოგონა, — ღია ცისქვეშ უნდა გავათიოთ და უფრო მეტად რომ გაცივდე?!

_ სიარული გიჭირს? — სიტყვა ბანზე აუგდო ბიჭმა.

თეონას ახლაღა გაახსენდა დაღლა.

_ ეს ერთი მოსახვევიც და უკვე გორაზე ვიქნებით! — ანუგეშა ვაჟამ და გოგონას ხელი ჩასჭიდა.

«რა თბილი თითები აქვს. ჰო, აკი თქვა, სიცხე მაქვსო? — გაიფიქრა თეონამ და ალერსით უთხრა:

_ შენზე ამბობენ, არასოდეს მოგატყუებს, გულადიც არისო...

ბიჭმა გოგონას ღიმილით შეხედა. მდუმარედ მიდიოდნენ. მათ ფეხქვეშ ხმელი ფოთლები შრიალებდნენ. «არა, ეს ფოთლები კი არა, ქვიშაა, — გააგრძელა ფიქრი თეონამ... ბიჭებიც ისევ ქვიშიან უდაბნოში მიიკვლევდნენ გზას. წყალი ისევ სწყურია თეონას, ისე ძლიერ სწყურია, რომ ფეხი ეკეცება და ძირს ვარდება... აი, ბიჭები მორბიან მასთან... მათარებს ხსნიან და სათითაოდ თითო წვეთს აპკურებენ ბაგეზე. თითო-თითო წვეთი გროვდება და წვეთი კი არა, ყლუპია უკვე... თეონა თვალს ახელს, ახლა შეუძლია გზა განაგრძოს ისევ. შორს ოაზისიც გამოჩნდა. უხარიათ ბიჭებს, უხარია თეონასაც და ჩურჩულებს... « წყალი!» — მერე ხმამაღლაც ყვირის: «წყალი!»

თავისივე წამოძახილი აფხიზლებს და ფიქრებს უფანტავს.

_ მოგწყურდა? — მზრუნველად ეკითხება ვაჟა, — აგე, მოვედით, იქვე წყაროც მოდის, ოღონდ წყალს მაშინვე ძაან ნუ დაეწაფები!

ჭინკების გორაზე

ჭინკების გორაზე ტანწოწოლა ცეცხლი გიზგიზებდა.

_ ვის უნდა დაენთო?! — გაიკვირვეს ბიჭებმა და მოულოდნელობისაგან ადგილზევე გახევდნენ.

_ ი, მართლა, ჭინკები ხომ არ არიან? — შიში შეეპარა თეონას.

სიკომ ნაწნავი ჩამოქაჩა.

_ ე... ე, დაგავიწყდა? ჭინკებს ცეცხლისა ეშინიათ!

უცებ კვამლი გაიფანტა და ცეცხლისპირიდან გოლიათი კაცი წამოიმართა. დიახ, გოლიათი. ყოველ შემთხვევაში ასე მოეჩვენა თეონას და მყის ფიქრი პეპელასავით აუფარფატდა: «ეს ხომ ოჩოპინტრეა?!. ჰო, აკი ისიც აქეთ მოდიოდა ფერიებთან ერთად? რუთა შუა მდელოზე სერობა შედგა... არც ერთი, არც ერთი არ დაკლებია... ჭინკები გარეკეს... ფერიები? ფერიებმა თავიანთ სამყოფელს მიაშურეს»...

_ რას გაჩერებულხართ, ახლოს მოდით! — დაიძახა კაცმა და ნაბიჯი გადმოდგა:

_ ძია სერგო? — შესძახეს ბავშვებმა და კოცონისკენ ყიჟინით გაიქცნენ.

_ აი, მეც დაგვხვდით! გაიღიმა ძია სერგომ და კუნძზე ჩამოჯდა.

_ აქ საიდან გაჩნდით?

_ ვინ გითხრათ?..

_ რატომ ჩვენთან ერთად არ წამოხვედით? — კითხვები დააყარეს ბავშვებმა.

_ იცით რა! — დაიწყო ძია სერგომ, — ვიღაცას თქვენთვის ცეცხლი ხომ უნდა დაეხვედრებინა? აბა, ისე ამ სიგრძე ღამეს რა გაგაძლებინებდათ?.. ვინ გითხრათო, მეკითხებით. ჰმ! დაგავიწყდათ «რომანტიკოსთა სასახლე?..» ერთმანეთს ბარათი რომ დაუტოვეთ?.. ამა და ამ დღეს... ამა და ამ დროს... მივდივართო... მეც ავდექი და წამოვედი...

_ ჰო-ო! — გაიხსენეს ბავშვებმა და კოცონს ხალისიანად შემოუსხდნენ.

_ ახლა რა გავაკეთოთ? — იკითხა ძია სერგომ.

ბავშვები ჩაფიქრდნენ...

_ ზღაპრები მოვყვეთ! — თქვა ერთმა.

_ მოდი, მოვყვეთ, თავში ვის რა ფიქრი უტრიალებს.

_ ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ მანამდე... — ძია სერგომ თეონას ჯოხი შეაჩეჩა, — ერთადერთი გოგო გვყავხარ და შენ დაიწყე. აბა, გამოქექე ნაცარი... აი ეგრე!..

უცებ ნაცრიდან გაფუებული შემწვარი კარტოფილები გამოგორდა.

_ ე...ე! — შესძახა თეონამ.

_ უჰ, შენი გულისა!

_ აბა, მეც მომეცით ჯოხი!

_ მეც!

_ აქეთაც ყოფილა, ბიჭო!

_ ჩვენთანაც! — ახმაურდნენ ბავშვები, — ეს როგორღა მოიფიქრე, ძია სერგო?

_ უფ-უფ-უფ!.. თითები დამწვა.

თეონას ახლაღა შეახსენა თავი წყურვილმა.

_ წამომყევით რა, ვინმე წყაროზე?!

_ ჩვენც დავლევთ, — წამოიშალნენ ბიჭები და თეონას გაჰყვნენ.

წყურვილი რომ მოიკლეს, ისევ კოცონს მიუსხდნენ.

_ აი, ახლა ვთქვათ, ვის რა ფიქრი უტრიალებს ამ წუთას თავში! — წამოიწყო ბაკურმა და ილიკოს შეხედა, — შენ, მაგალითად, რაზე ფიქრობ?

— ვნატრობ, ნეტა დიდხანს არ გათენდებოდეს!. — წამოიძახა მან დაუფიქრებლად.

_ მე კიდევ, — სიტყვა ჩამოართვა ვაჟამ, — ვფიქრობ, რად გვიშლიან დიდები ღამით სიარულს.

_ აბა, რაც შენ მოგეპრიანება, ის ხომ არ უნდა აკეთო? — კბილები გაკრიჭა ჭიპიტომ.

_ ამაში ცუდი რა არის?.. მინდა ვიცოდე, როგორ გამოიყურება ქვეყანა ღამით, როგორია მთები, ხეები, სახლები, ცა... უფრო სწორად, ღამე ხეტიალი მინდა. მინდა თვალი შევავლო ყველაფერს, რასაც დღისით ვხედავ.

_ ღამე ბავშვის მარტო სიარული არ შეიძლება! — ჩაილაპარაკა თეონამ.

_ მაშინ, ბატონო, თვითონ წამიყვანონ და შემახვედრომ რიჟრაჟს, მაჩვენონ მზის ამოსვლა...

_ ჰო-ჰო-ჰო, რა აზრები გადმოალაგა? — გაიცინა ამირანმა.

_ ეგ რაა, — საუბარში ჩაერია ბაკური, — ახლა ასეთი კითხვა გამიჩნდა!..

_ აბა, ერთი თქვი!

_ უცებ მგელი რომ გამოვარდეს, ვინ როგორ მოიქცევით?

ერთი წამით ყველა თავის თავს ჩაეკითხა: — «როგორ მოვიქცევი?» თეონასაც აუფარფატდა ფიქრები... ისევ იქ, უდაბნოში გაჩნდა... ისევ ბიჭებთან ერთად მიიკვლევს გზას... «წყალი!» — იძახის რომელიღაცა და პირთან მათარა მიაქვს, ერთი წვეთიც კი არ გადმოდის მათარის ყელიდან. — «წყალი!» — ისევ ისმის მავედრებელი ხმა. თეონა თავის მათარას ანჯღრევს, შიგ ერთი ყლუპია მხოლოდ... ოაზისი კი არა და არ ჩანს... «წყალი, ერთი წვეთი წყალი!» — ისმის ისევ...

_ შენ თვითონ როგორ მოიქცეოდი, ჰა?! — ბაკურს იქით ეკითხება ჭიპიტო.

_ აი, მეც მთელი გზა მაგაზე ვფიქრობდი, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ბაკურმა.

_ ყველანი გაიქცეოდით და ალბათ, მე დამტოვებდით, — უნებლიეთ თქვა თეონამ.

_ მაგაზეც ვფიქრობდი... — ისევ ჩაილაპარაკა ბაკურმა.

_ მე კი იცით რაზე ვფიქრობდი? — შმუშნა-შმუშნით ამოღერღა ტიტიკომ და თვალი თეონასაკენ გააპარა.

_ თქვი, რა ენა დაგება? — შეუტია ჭიპიტომ.

ტიტიკო ისევ თეონას შესცქეროდა. გოგონას გრძელი, წაბლისფერი ნაწნავები გაშლოდა. ნიკაპით მუხლის თავს დაყრდნობოდა და ცეცხლს ჩაშტერებოდა. ხანდახან რაღაცით გაკვირვებული აშვილდულ წარბებს აჭიმავდა, თაფლისფერი, გიზგიზა თვალებით ამოხედავდა ბიჭებს და ხან ერთს გაუღიმებდა, ხან მეორეს. ამდენ ბიჭებში ერთადერთი გოგო იყო და ალბათ, ამ წუთას მასზე ამიტომ ფიქრობდა ტიტიკო. სურდა რაღაც ისეთი ეთქვა, თეონა გაეხარებინა. «მერე რა მოხდა, ვიტყვი!» — გადაწყვიტა ბოლოს და ხმამაღლა თქვა:

_ ვფიქრობდი, რა საყვარელი გოგოა-მეთქი თეონა. ისე კი, ხომ იცით, გოგოები ჭირის დღესავით მეჯავრება. ეტყვი, საიდუმლო არ გაამხილოო, და ერთს დაუყვირებენ თუ არა, თუ რამე იციან, იმწამსვე დაფქვავენ... წამოდი, გავიპაროთო, შეიამხანაგებ და მაშინვე ჭკუის სწავლებას დაგიწყებენ. ჩემი დაც ასეთია, დედასთან მაბეზღებს-ხოლმე. თეონაც გოგოა და იქნებ ბევრით არაფრით განსხვავდება მათგან, მაგრამ მაინც საყვარელი გოგოა. ისეთი საყვარელი, რომ ძალიან მინდა გავახარო — ერთი თვალხუჭუნა თოჯინა ვაჩუქო.

_ თოჯინა ვაჩუქოო! — აიტაცეს ტიტიკოს სიტყვა ბიჭებმა და ახარხარდნენ.

_ შენ, შენ რაზე ფიქრობ, თეონა? — ჰკითხეს გოგონას.

_ ეგ იმ თოჯინაზე ოცნებობს.

თეონამ, დამცინისო, გაიფიქრა და გაიბუტა.

_ ოჰ, გაიბუტა, რაღა დროს ჩემი თოჯინებიაო. არადა, ბებიასთან სულ თოჯინებთან თამაშობდა, თურმე... უმცროსკლასელივით.

_ მოეშვი, მირიან. მე რაზე ვფიქრობ, ის არ გაინტერესებს?

_ არა!

_ რატომ? — იწყინა სიკომ.

_P რატომ და ვიცი.

_ შენ რა იცი, ბიჭო, რაზე ვფიქრობ?

_ გინდა მოგიყვე?.. რომ დავბრუნდებით, აუცილებლად მეც ვეებერთელა თოჯინას ვუყიდი თეონასო... ასე არ არის?

ბიჭებს სიცილი წასკდათ, გაეცინა თეონასაც.

_ სიკოია, თქვი, ბიჭო, რაზე ფიქრობდი? — გულით კითხა ჭიპიტომ.

_ ვითომ რატომ არ ვიტყვი, თუ იცი? ვიტყვი: ვფიქრობდი თეონაზე... თუ გოგოა, ვითომ ზოგიერთი ბიჭი რითი სჯობს-მეთქი. თუნდაც ისინი, აქ ჩვენთან რომ უნდა მოსულიყვნენ და გაგვაწბილეს... კიდევ ვფიქრობდი, აი, ამ ცეცხლაპირს ვინც უზის, რა უნდა მოხდეს, რა უნდა მაწყენინოს, ოდესმე დავემდურო-მეთქი?

_ გულითაც რომ გინდოდეს, მაინც ვერ დაგვემდურები, — გაიკრიჭა ჭიპიტო, — ხომ არ გავიწყდება, ძმები რომ ვართ?

წუთით სიწყნარე ჩამოვარდა.

_ ისე კი, — ისარგებლა სიჩუმით ძია სერგომ, — ყველაფრის პატიება არ შეიძლება, გააჩნია რა უნდა აპატიო და ვის უნდა აპატიო...

_ ძია სერგო, თქვენც გვითხარით რაზე ფიქრობდით? — სთხოვა თეონამ.

_ ჰო, მართლა, თქვით! — შეეხვეწნენ ბიჭებიც...

_ რახან გსურთ, გეტყვით!

ბავშვები რომ საუბრობდნენ, ძია სერგო ჩუმად ჩუმად იყო. ხანდახან ფიჩხს თუ შეუკეთებდა ცეცხლს, თორემ გეგონებოდათ, თვლემსო. სინამდვილეში კი გულისყურით უსმენდა ბავშვებს და ფიქრობდა: «აი, იმ დიდებს ზოგჯერ უკვირთ ბავშვებთან რომ ვთამაშობ. დაბერებულა და ჭკუა გამოლევიაო, ამბობენ ჩემზე. რა იციან, ხშირად მთელი საათობით ამათთან იმიტომ ვზივარ, მავიწყდება ქვეყნად თუა სიავე და ბოროტება...»

_ მაშ გითხრათ?.. გეტყვით, თქვენზე ვფიქრობდი... ძალიან, ძალიან კარგები ხართ. თქვენთან ყოფნა უზომოდ მიხარია. როცა გიყურებთ, მგონია, სიბერე

ვერასოდეს მომერევა. გმადლობთ, შვილებო. ახლა წამოხტით და მუხლები გამართეთ!..

ბავშვები წამოიშალნენ.

_ შე კუდრაჭავ, ამ ცეცხლს ჭადივით რომ მიფიცხებიხარ, ადე, ითამაშე, — უთხრა თეონას ძია სერგომ და მინავლულ ცეცხლს ფიჩხი დააყარა.

კვამლის კაცუნა

სიწყნარეს მიყურადებული ღამე შეიშმუშნა, მთვარემ კი გაოცემბისაგან — «ამ ღამეში ბავშვები გარეთ რამ გამოიყვანათო!» — თვალები ჭყიტა. ყოველ შემთვხევაში, ასე მოეჩვენა ცეცხლთან დარჩენილ თეონას და ცას მიშტერებული თვალები მაშინღა დახუჭა, როცა კვამლმა რომ დაუწვა. — ფუ-ფუ! — შეუბერა სული ფიჩხქვეშ მიყუჟულ ნაკვერჩხლებს. კვამლი ბოლქვა-ბოლქვა, კლაკვნით ადიოდა მაღლა, თან ციმციმით მისდევდნენ ნაპერწკლები. უცებ, გოგონამ ცეცხლზე მიყრილ ფიჩხქვეშ მოკუნტული, პაწაწა, სულ პაწაწა კვამლის კაცუნა დაინახა. ცეცხლის კაცუნას ზევიდან მოქცეოდა და მუშტებს თავში უჩაჩქუნებდა... მერე ოდნავ წამოიწია, სწრაფად მოიძრო მხრებიდან რუხი მოსასხამი და ცეცხლის კაცუნა შიგ გაახვია, თვითონ კი თავი ასწია და მხრები გაიშალა. თეონამ ახლა კარგად დაინახა იგი. გრძელი, ფუმფულა წვერი შემოხვეოდა ტანზე, ფეხები არც უჩანდა. წვრილი, ციმციმა თვალები ჰქონდა.

_ მოიცა, ნაპერწკლები კი არა და, თვალებია, უჰ, მერე რამდენი? რომ მოვინდომო, ალბათ, ვერც დავემალები.

ამის თქმა და კვამლის კაცუნამ გაფარჩხული ხელი წაატანა თეონას.

_ წამო, მაღლა, ზეცაში აგიყვან, — უთხრა ჩურჩულით.

ანაზდად შებორკილი ცალი ხელი გაინთავისუფლა ცეცხლის კაცმა, თეონას ცხვირაციცქნილ ტუფლზე მისწვდა და თითი აძგერა.

_ უჰ! — შესძახა თეონამ, ფეხი უკან გასწია და ნაკვერჩხლებს სული შეუბერა.

_ არ წაჰყვე! — მოესმა იქიდან სუსტი, მოუძლურებული ხმა, — ზემოთ ჭინკები არიან. არ წაჰყვე, თორემ ფათერაკს გადაეყრები.

_ ხმა ჩაიწყვიტე! — სიბრაზისაგან ლოყები გამოებერა კვამლის კაცუნას. ზე წამოიჭრა, დაგრძელდა, დაგრძელდა, ვეება, თვალშეუდგამი გახდა. გაფარჩხული თითები თეონასაკენ გაიწვდინა.

_ მიშველეთ, ბიჭებო! — ჩუმად, თავისთვის ყვირის გოგონა.

ბიჭები თამაშობენ, ცეცხლისკენ არც იხედებიან, დაძენძილი თითები კი თანდათან ახლოვდება... თეონას საცაა ჩააფრინდება მხრებში და აიტაცებს.

გულში შიში შეეპარა თეონას და წამოიყვირა. თავისივე ხმამ გამოაფხიზლა... ფიქრიდან გამოიყვანა... მიმოიხედა, ცეცხლთან მარტო იჯდა...

უცებ, სად იყო და სად არა, მონადირე ბიჭი გაჩნდა და გვერდით მიუჯდა. თეონას თვალები აუციმციმდა.

_ დაგინახე, მარტო იყავი და მოვედი. კვამლის კაცუნამ ძალიან შეგაშინა?

_ მარტო სულაც არა ვარ, აგერ არ თამაშობენ ბიჭები?!

_ ჰო, მაგრამ ისე გაერთნენ, ყველას დაავიწყდი. ვინმე რომ მოგეპაროს, პირზე ხელი დაგაფაროს და გაგიტაცოს, ვერც კი გაიგებენ.

_ ეგრე ფიქრობ?

_ აი, მოვა კვამლის კაცი და...

_ მოვიდეს, სულაც არ მეშინია.

_ რადგან არ გეშინია, წავალ, — თვალები ეშმაკურად მოჭუტა მონადირე ბიჭმა და თვალსა და ხელს შუა გაქრა.

თეონამ ცეცხლს შეუჩიჩხინა. ალი ბურბურით ავარდა. ეს ერთი წამით, მერე კი კვამლის კაცი ფეხებში შეუვარდა, გაედო, გაებლანდა ცეცხლის კაცუნას. ცეცხლმა ჩაიმუხლა, ჩაიკეცა, ერთი ციცქნა გახდა. რუმბმუცელა კვამლის კაცი მხრებში ისევ გაიშალა, კლაკვნით წამოიმართა, მაღლა, ცისაკენ წავიდა, თან კვამლით სულშეგუბებული თეონა ისე წაიყვანა, გოგონამ დაყვირება ვერც კი მოასწრო.

_ ხი... ხი... ხი! — ახითხითდა კვამლის კაცი, — ახლა გეძებონ შენმა მეგობრებმა, შენ უკვე ჩემი ხარ... უპირველეს ყოვლისა, ჯავრი უნდა ამოგაყრევინო მაგათზე, ხომ გაწყენინეს ბიჭებმა?

თეონამ ძლივს ამოიდგა ენა:

_ მე... მე... ვინ გითხრათ?

_ მაგას რაღა თქმა უნდა? — გაიჯგიმა კვამლის კაცი, — მოიცა, ქულაჯიდან ნაპერწკლებს მოვიხსნი და ესროლე იმათ...

_ მერე ცეცხლი რომ გაუჩნდეთ?

_ ნუ გეშინია, ნაპერწკლები სწრაფად ქრებიან და აღარ წაეკიდებათ, ცოტა შეშინდებიან... ჩვენც ეგ გვინდა! ჯავრის ამოსაყრელად ზედგამოჭრილია... შეშინდებიან, იხტუნავებენ... ჩვენ კი, ვიცინოთ.

_ ო, არა, არა! — ხელები გაასავსავა თეონამ.

_ მაშ, რომ მიგატოვეს არ გწყენია?! — გაიოცა კვამლის კაცმა.

_ ისინი «აჩიკუდობანას», ხანაც ოთურმობანას თამაშობენ... მე ხომ ვერ ვითამაშებდი?

_ ჰო, მაგრამ... ხედავ, მოგიტაცე... მათ კი ვერაფერი გაიგეს... არ უნდა დაისაჯონ?

_ საქმე ისაა, რომ...

_ არავითარი რომ, აბა, დავიწყოთ, ესროლე!

_ აჰ, არა, ახლავე ყველაფერს აგიხნით, — საქციელი წაუხდა თეონას...

_ არ გინდა ესროლო?! მაშ გინდა უყურადღებობა აპატიო? — ჩაიქირქილა კვამლის კაცმა და გაოცებისაგან თვალებიდან ცეცხლი გადმოჰყარა. გაუკვირდა, რადგან თვითონ ყოველთვის ახარებდა, სხვებს თვალებს რომ სწვავდა და ატირებდა. — ახი არაა, ახლა ჭინკებთან წაგიყვანო? ისინი აქედან რომ გარეკეთ, გაბრაზებულები არიან და ჯავრს შენზე ამოიყრიან, მაშინაც არ დაგწყდება ბიჭებზე გული? ჰა, არ იცრუო!

_ ჰო, — ამოილუღლუღა თეონამ, — მწყინს, მაგრამ ნაპერწკლებს მაინც ვერ ვესვრი... იმიტომ, რომ ყველა მიყვარს!

_ გი...ყვარ-ს და იმიტომ?.. — გამოსცრა კბილებში კვამლის კაცმა და სიმწრისაგან გააძიგძიგა, თოკივით დაიგრიხა, გაწვრილდა და უცებ წელში გაწყდა. თეონა ჰაერში აფართხალდა, ქვასავით დაბლა დაეშვა. აი, სადაცაა მიწას დაასკდება... უცებ, ვიღაცის ხელი მხარზე რბილად წყნარად შეეხხო. ვაჟა მოპარვოდა თეონას.

_ მარტო არ მოგწყინდა? — ჰკითხა.

_ ცეცხლთან ვთბებოდი. «ციცინათელაში», ალბათ უკვე გაიგეს და გვეძებენ...

_ ა...ა, — გააგრძელა ვაჟამ და ცეცხლს მიუჯდა. ამ დროს ძია სერგოც მიუახლოვდათ.

_ რას ჩაფიქრებულხართ?

_ ძია სერგო, დილით თეონასა და ბაკურს «ციცინათელაში» მიჰყევით რა!

_ აი, თურმე რა ყოფილა. ფიქრი კარგია... კარგია რომ წუხხართ... ისე კი, აუცილებლად მივყვები, — ძია სერგომ ჩიბუხი დატენა და თვალები მოჭუტა: — ვიცოდი, რომ გამოიპარებოდით, — ჩაიცინა. ხან თეონას შეხედავდა, ხან ვაჟას. — იცით რა? ჰა, ვითომ გითხრათ?! — ჩაილაპარაკა ძია სერგომ და ჩიბუხი გააბოლა, — მაშინვე არ გითხარით. მინდოდა ცოტა ხანს მაინც გეფიქრათ... სიხარულთან ერთად გეგრძნოთ დარდი, წუხილი. ეს ყველაფერი უცხო არ უნდა იყოს თქვენთვის, ახლავე, ბავშვობაშივე უნდა განიცადოთ, კაცად, ადამიანად რომ ვარგოდეთ... — ჰო-ო, — ამოღერღა ბოლოს ხმამაღლა, — თეონას ხათრით ვიტყვი, ქალი ყვავილივით ნაზი და სათუთია. მის გულს ცოტა დარდიც ეყოფა... რა და... — დატკეპნა სათქმელი, — აბა, აქ მოდით! — გასძახა მიმოფანტულ ბავშვებს, — შემოუსხედით კოცონს, რაღაც უნდა გითხრათ.

ბავშვები კოცონის ირგვლივ მოგროვდნენ და ჩამოსხდნენ.

_ მივხვდი, იპარებოდით, ქალბატონ ნინოსთან მივედი და ვთხოვე, ბავშვები ჭინკების გორაზე მიმყავს-მეთქი.

_ რა კარგი კაცი ხართ, ძია სერგო! — აყიჟინდნენ ბიჭები და დააფრთხეს მთვლემარე ჩიტები.

_ დილა კიდევ შორსაა და ახლა, მოდით, კიდევ რამე ვთქვათ.

ძია სერგოს, როგორც უფროსებს სჩვევიათ, ბავშვების თამაშის ცქერას, მათთან საუბარი ერჩივნა. ბავშვებმა იცოდნენ ეს და, რადგან უყვარდათ, დათანხმდნენ.

_ მაინც რა? — ქოჩორი მოიქექა ჭიპიტომ.

_ რა და... აი თუნდაც მოჰყევით, რამე ცუდი თუ ჩაგიდენიათ, ოღონდ ერთი პირობით, გულწრფელები იყავით.

_ ეგრე იყოს! — დათანხმდნენ ბავშვები:

_ აბა ვინ დაიწყებს?

პირველობა არავის უნდოდა.

_ ჰა, რას გაჩუმდით!

_ რა ვთვქათ? — დაიჭუჭყუნა ნიკომ, — ცუდი რა უნდა გაგვეკეთებინა?

_ სულ არაფერი? ხომ დავთქვით, გულწრფელები ვიყოთო.

_ მე ვიტყვი, ძია სერგო, — წამოიწყო თეონამ: — გოგონებთან ერთად სასეირნოდ წასვლა მინდოდა. ბებომ არ გამიშვა. ავდექი, ბატები დავმალე და ვუთხარი: — არსად ჩანან, წავალ, მოვძებნი-მეთქი. — შენ გაეზარდე დედას, მაგაზე კარგს რას იზამო, — მითხრა. გახარებული გავვარდი გოგოებთან. კარგა

ხნის მერე ჩუმად დავბრუნდი და ბატები სამალავიდან გამოვუშვი. ამ დროს ბებოს ხმაც შემომესმა: — ეგ მელიის კერძები სად იპოვეო. — მივიხედე, თავსაფარშეხსნილი ძლივს მოლასლასებდა. ბატებს და მე ერთად გვეძებდა თურმე. — იმათ აღარ ვჩიოდი, შენც დამეკარგე და ის მადარდებდაო.

_ ახლა მეც ვიტყვი, — წამოიწყო ტიტიკომ: — კლასში მაგალითი ამის მეტმა ვერავინ გამოიყვანა, — თქვა და ვაჟაზე მიათითა, — მასწავლებელმა დაცინვით აგვიკლო, მთელი თვე ავად იყო და მაინც გაჯობათო. გაკვეთილი რომ დამთავრდა, მივვარდი და, რას იმეტიჩრე-მეთქი, ერთი მაგრად მივბეგვე..

_ მე კიდევ, — დაამატა ვაჟამ, — სამაგიერო იმით გადავუხადე, რომ ერთხელ საკონტროლო წერა არ გადავაწერინე და მეოთხედში ორიანი გამოჰყვა, ეს უფრო იმიტომ გავუკეთე, მაშინ გოგოს თანდასწრებით რომ მცემა.

ვინ გააგრძელებსო, ერთმანეთს შესცქეროდნენ ბიჭები.

_ აბა, შენ დაიწყე!.. მიუბრუნდა ბაკურს ძია სერგო.

_ მე, — დინჯად დაიწყო ბაკურმა, — მამას სკოლაში ხშირად მანქანით მივყავდი. საზურგეზე მიწოლილი ჩავუქროლებდი ხოლმე ფეხით მომავალ ამხანაგებს. ერთხელ ძლიერ წვიმდა. მამაჩემს სწრაფად მიჰყავდა მანქანა... მოსახვევში მასწავლებელს წამოვეწიეთ. უცებ, მანქანამ გუბეს გადაუარა და სიცივისაგან მობუზულ მასწავლებელს ტალახიანი წყალი შეასხა...

«ეგეც შენ! იმ დღეს ხუთი წუთით დაგვიანების გამო კლასში რომ არ შემიშვი, მოგიხდება!» — გავიფიქრე.

მასწავლებელმა დასვრილ ტანსაცმელზე დაიხედა, მერე სევდიანი მზერა გამოგვაყოლა.

პირველი გაკვეთილი იმისი გვქონდა. შემოსვლა დააგვიანა. დაძაბული ველოდი მის გამოჩენას... გამახსენდა, რომ მეუღლე და ერთადერთი ვაჟიშვილი გარდაცვლილი ჰყავდა და შინ მარტოდმარტო ცხოვრობდა. ტანსაცმელიც გამუდმებით ერთი და იგივე ეცვა...

«რა თქმა უნდა, იცნო მამაჩემი. მათ ერთმანეთს შეხედეს. შემოვა და ჯავრს ჩემზე იყრის-მეთქი,» — ვფიქრობდი.

კლასში რომ შემოვიდა, ერთი კი შემომხედა, შევატყვე, წუთით ჩაფიქრდა. ეს იყო და ეს... მე კი იმ წვიმიანი დღის მერე მანქანით აღარ წავსულვარ სკოლაში. თუ მამა შემომთავაზებდა, უარს ვეუბნებოდი, მაშინვე ჩემი მასწავლებელი ამესვეტებოდა თვალწინ, ტალახში ამოსვრილი, გამხდარი, მხრებში მოხრილი, სახესევდიანი...

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

_ ერთი რამ მეც მინდა მოგიყვეთ და ვერ მითქვამს! — ხმამაღლა წამოიძახა ილომ და თვალი მოგვავლო.

_ თქვი მერე...

_ მერიდება.

_ შენ რა, წითელი კოჭი ხარ? აბა, ჩამოყაჭე! — კისერი წაიგრძელა ჭიპიტომ.

_ ამას წინათ სარკესთან დავდექი, — დაიწყო ილომ, — ჩემს ორეულს ვუსაყვედურე...

_ მაინც რა უსაყვედურე? — ჩაკუჭკუჭდა ჭიპიტო.

_ რა იყო, თქვენ არ მითხარით გულწრფელი იყავიო?

_ თქვი, ბიჭო, ნუ გადაგვაყოლე... რა მოხდა, გავიცინე, წარმოვიდგინე, რა აღტაცებით შეჰყურებდი შენს ორეულს. ნალოლიავებ, მამლის ბიბილოსავით წითელ ქოჩორს.

_ მაცალე! — შეუტია ილომ. — თვალი თვალში გავუყარე ორეულს და ვუთხარი: შე ზარმაცო, შენა... კაცმა რომ შემოგხედოს, არც სიმაღლე გაკლია, არც ხელი, არც ფეხი. ლოყებიც წითლად გიღუის. ბიჭები აგურს ეზიდებიან, ივნისის მზე მხრებს უწვავთ. მეგობრებმა ძმურად გთხოვეს დახმარება, აბანოს აშენებენ. შენ კი მოიგონე, სიცხე მაქვსო, და სახლში დარჩი. ფუი! — შევაფურთხე ორეულს და ზურგი შევაქციე.

_ მერე სინდისმა შეგაწუხა და «ციცინათელას» მიაშურე? — თვალი ჩაუკრა ჭიპიტომ.

ილომ უხერხულად გაიღიმა და ცეცხლს შეუჩიჩხინა.

_ ჰა, თქვი, მიაშურე თუ არა?

_ არა, სარკეს ზურგი შევაქციე, ტახტზე მივწექი და ძილი გამოვაცხვე.

_ აჰა, შე ცრუპენტელა შენა, ეგ ამ ერთი კვირის წინ იყო, ხომ? იმ დღეს შენს მაგივრადაც ვზიდეთ აგური. დედაჩემმა ნახირიც მე გამარეკინა — ავად არისო, მითხრა. უჰ, როგორ მინდა ახლა ცხვირ-პირი ამოგინაყო. თუ ბიჭი ხარ, დამეჭიდე. თუ წამაქცევ, შეგრჩეს ცრუპენტელობა! — დასჭყივლა ჭიპიტომ და ზეზე წამოვარდა. ბიჭებიც წამოიშალნენ. «ჭიდაობას რა უნდა, ფეხის წამოკვრა უნდა», — წაიღიღინეს და წრე შეჰკრეს.

_ მოიცათ, მოიცათ, სიბნელეში ერთმაენთს არაფერი დაუშავოთ! — შესძახა ძია სერგომ. — აბა, ისევ ცეცხლს შემოუსხედით და ვაჟკაცურად ერთი სიმღერა დავჭექოთ. ჭიპიტო, ამყევი, მოდი აქ, ჩემთან დაჯექი, — ძია სერგომ ჭიპიტო გვერდით მოისვა, მხარზე ხელი გადასდო და სიმღერა დაიწყო.

თეონას ნანასავით ჩაესმოდა სიმღერა. ღამისთევას მიუჩვეველს სადაცაა თვლემა მოერეოდა. — «უკან დაიწი, ცეცხლში არ ჩავარდე!» — ბებოს ხმა ჩაესმა და გამოფხიზლდა.

საგანთიადოდ იცრიცებოდა ზეცა. ხეები გრძნობდნენ დილის მოახლოვებას და, თითქოს გასაფრენად ემზადებიანო, ჩრდილებს იცილებდნენ. სიბნელე, არე-მიდამოს მრუმედ რომ აჩვენებდა, მტრედისფერდებოდა, მალე საბურველი აეხდებოდა ყველაფერს, გამოჩნდებოდნენ მწვანე, ლურჯი, ცისფერი ყვავილები...

შ უ რ ი

«რომანტიკოსთა სასახლეს» წნელის ღობეს ავლებდნენ ბავშვები. მათ სოფლის ბიჭები ამოსდგომოდნენ. ზოგი თხილის ტოტებს ეზიდებოდა მცირე კორომიდან. ზოგი გასხეპილ ტოტებს აწვდიდა საქმის მცოდნეთ. ზოგიც სარებს ძირს უტკეპნიდა და დატვირთულ ხელურემსაც დააგორებდა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე შრომობდა.

წინსაფრიანი გოგონები «ციცინათელას» სამზარეულოში ფუსფუსებდნენ, მზარეულს ეხმარებოდნენ.

_ შვილო, მაგ კარტოფილს რანაირად თლი? ეგრე კი არა, აი, ასე უნდა, — ასწავლიდა გოგონებს მზარეულის თანაშემწე დეიდა ელენე.

_ უიმე, დედას არასოდეს მოხმარებიხარ? — უკვირდა ნინოს.

_ ამდენი ერთად არასოდეს გამიფცქვნია და დავიღალე, — თავი იმართლა ლალიმ, — სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას, ის გირჩევნია, წინ დაიხედო, ხახვს თითი არ მიაყოლო.

_ დარდი ნუ გაქვს, შენსავით უჩვევი არ გახლავარ, — გაეპასუხა ნინო და აცრემლებული თვალები ამოიმშრალა.

_ მაშ, ისიც უნდა გცოდნოდა, რომ ეგ გაფცქვნილი ხახვი წყალში ჩაგეყარა და ისე დაგეჭრა, აღარ აგაცრემლებდა.

_ რას კაპუნობთ! — დაუყვავა მათ დეიდა ელენემ, გაზქურაზე შედგმულ ვეებერთელა ქვაბთან მივიდა, ქაფქირი მოიმარჯვა და ნახარში ქაფი მოხადა.

_ ლალი, დღეს შენ უნდა დაგვიმზადო არა, სადილი?

_ ჩვენც მოეხმარებით, შინ რომ დაბრუნდები, უკვე გვეცოდინება და დედიკოსაც გაუკეთებ. აბა, გაიხსენე ჯერ რა უნდა ჩაყარო ქვაბში და მერე რა...

ლალი ზანტად წამოდგა სკამიდან.

_ დღეს ჩემი კი არა, თეონას მორიგეობა იყო, მე რად უნდა გავაკეთო?

_ ჰო, მართლა, სად არის თეონა? — ახლაღა მოისაკლისა გოგონა დეიდა ელენემ.

_ გაიპარა და ნახეთ როგორ მოხვდება!...

_ სად?

_ ჭინკების გორაზე.

_ უი, დამიდგეს თვალები, — ლოყაზე ხელები ჩამოისვა დეიდა ელენემ.

_ რა მოხდა, დეიდა ელენე! — საუბარში ჩაერია ნინო, — მზის ამოსვლა უნდა ნახონ. მეც კი მინდოდა წასვლა, მაგრამ მაგრად ჩამძინებია და ვერ გამაღვიძეს.

_ შენც რომ წასულიყავი, სადილს ვინ მოგიმზადებდათ... ან მე რომ არ გყოლოდით, რა გეშველებოდათ? — აბუზღუნდა ლალი.

_ ქვეყანა შიმშილით ამოწყდებოდა! — გაეხუმრა ლალის ნინო.

_ ნეტა რას იბუტები! დღეს შენ იქნები მორიგე, ხვალ — სხვა... წამოიწყო დეიდა ელენემ.

_ ახლა ნინო მასწავლებელსაც ჰკითხეთ, დასჯის თუ არა იმ თქვენს მატრაკვეცა თეონას. «ეჰ, ყველაფერს ბედი უნდა, — გაიფიქრა ლალიმ, — თეონა საცაა დაბრუნდება და შეიძლება მისი გაპარვა ვერც გაიგონ. აბა, მე წავსულიყავი, მთელი დასასვენებელი სახლი ფეხზე დადგებოდა...»

ბოღმამორეული ლალი ქვაბთან მივიდა.

_ აჰ, აჰ! ახლავე თავსაფარით წაიკარი, ქვაბში ერთი ბეწვიც რომ ჩავარდეს, ხომ თავი მოგვეჭრა? ხახვი, ჭარხალი და სტაფილო აი, ამ ტაფაზე მოშუშე, ტომატიც არ დაგავიწყდეს.

_ დროდადრო მოურიე ხოლმე, არ ჩაგეწვას! — დაუმატა სამზარეულოში შესულმა უფროსმა მზარეულმა, ძია ვასომ და ხორცსაკეპი მანქანა დაატრიალა, მერე კი გოგოებს თვალი ჩაუკრა, — დღეს ისეთ ტოლმას გამოგიხვევთ, სულ ტუჩები ჩაიკვნიტოთო.

_ მე გამომახვევინეთ რა! — სთხოვა ნინომ.

_ აბა, როგორ, მზარეულები თქვენა ხართ, თორემ ჩვენ რა, ჩვენ გეხმარებით, მეტი არაფერი. იმ დღეს ქალაქიდან რევიზორი რომ ამოვიდა, ვასადილე. ხელობა შემიქო. რომ ვუთხარი, ბავშვებმა გააკეთეს-მეთქი, გაოცებისაგან ლუკმა ყელზე დაადგა: — არ გადამრიოთო! — თქვა და დაეჭვებით ჩამეკითხა: _ამას წინათ ნამთვრალევს ცალგვერდდანახშირებული წიწილა რომ

შემომაპარეთ, ისიც მაგათი ნახელავი ხომ არ იყოო. ხი-ხი-ხი, — ჩაიხითხითა ძია ვასომ, — კაცო ეს რა ქენით, ჰა, საიდან, როგორ, რატომ მიართვით იმ კაცს ის ულუფა, ახლაც არ ვიცი. მეტის ღირსი არ იყოო, იმიტომ რომაო, დასასვენებელ სახლს ვაშენებთ, ვშრომობთ, ქალაქიდან ამოსული ხალხიც გვეხმარება, ეგ კი ამოვა, ჯიბეებში ხელჩაწყობილი დაიარება, ჭამისა და ჯაჯღანის მეტს არაფერს აკეთებსო... ვიღაცამ თქვა, კარგი კაცი არ არისო... ხი-ხი-ხი, — ისევ ჩაიცინა ძია ვასომ და ნინოს გადახედა. შე კუდრაჭავ, შენ გეცოდინება ვინ შეაპარა ის გვერდდამწვარი წიწილა.

_ აბა, მე რა ვიცი? მორიგეებს ჰკითხეთ! ისინი გეხმარებოდნენ შეწვაშიც და სუფრის გაშლაშიც.

_ ჰო, მაგრამ, მაგათ დაბრაწული წიწილა გავატანე... იმათ კი თვალსა და ხელს შუა შეცვალეს და სტუმარს დანახშირებული მიართვეს, — ძია ვასო ნინოს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა, — მეტის ღირსი არ იყოო და განგებ შეცვალეთ... დიდი მაიმუნები ხართ, დიდი!

_ ძია ვასო, მეც გამახვევინებთ ტოლმას? — ჰკითხა ლალიმ.

_ შენც, აბა, თქვენს დევიზს «ვაშენოთ «ციცინათელა», უნდა დავუმატოთ: «ვამზადოთ გემრიელი კერძები!» ჰო, ჰო, ჰო. რა ბავშვები ხართ, კაცო! გუშინ რამდენი აგური გადმოცალეს ბიჭებმა?!. ასე მუყაითად თუ იმუშავებთ, ორ კვირაში საკუთარი აბანოც გექნებათ და სოფელში აღარ დაგჭირდებათ სირბილი. სოფლის ბიჭებიც ხომ გეხმარებიან?

_ ჰო, ძმები...

_ აბა, სოფელში იმათ მეტი არავინაა და... დურგლობაო, კალატოზობაო, ყველაფრის ოსტატები თქვენ ყოფილხართ. მეტი რა დამრჩენია, გემრიელი კერძები უნდა გიკეთოთ. აფსუს, მოსულიყო წვიმა, მერე სოკოზე წავიდოდით. არ გიყვართ, კუდრაჭებო, სოკო?

_ ერთი ამას დამიხედეთ! — ავიშვიშდა უცებ დეიდა სალომე, — ტყემლის ხეზე აბღოტებულა და ღია ფანჯარაში კურკებს ესვრის გოგოებს.

_ ვინა, კაცო?! — ეზოში გაიხედა ძია ვასომ, — აა, ალიკა ყოფილა, რა ბატონკაცურად გადამჯდარა ტოტზე. ბიჭო, ცოტა ეგ ტყემალი ჩამომიკრიფე, აგერ მოვიხმარ. არ გესმის? შენ კი ბევრი არ ჭამო, კბილებს მოგჭრის.

_ კაც, რატომ არ უწყრები? — აკაპასდა დეიდა ელენე.

_ ბავშვია, ხეზეა და უხარია! — ღიმილით შემობრუნდა ძია ვასო, — ალიკა აქ, ალიკა იქ... ყველგან მაგას აგზავნიან, დაუზარელია...

სამზარეულოში ნინო მასწავლებელმა შემოიხედა და გოგონებს ალერსით გამოელაპარაკა:

_ თუ დაიღალეთ, დაანებეთ თავი.

_ არა, მასწ...! — ცქვიტად მიუგო ნინომ.

_ დღეს მე კი არა, თეონა უნდა ყოფილიყო მორიგე! — ენამ უსწრო ლალის, — მაგარმ წუხელის... თქვენ არ იცით?.. — სიტყვა შეაშრა, რადგან იგრძნო, ნინო დეიდამ მის სიტყვებს ყური აარიდა და სამზარეულო სწრაფად დატოვა.

_ ეგეც შენ, ენაჭარტალავ, — მიახალა ნინომ და ამხანაგს ზურგი შეაქცია.

_ მოდიან! — ყიჟინა მორთო ტყემლის ტოტზე შემომჯდარი ალიკა, — მოდიან!..

ბექობიდან დაწალიკებულნი ჩამოდიოდნენ: ჭიპიტო, ტიტიკო, სიკო, ნიკო, ბესო, ამირანი, მირიანი, ვაჟა, ილიკო, ბიჭიკო, თეონა, ბაკური და ძია სერგო.

_ საიდან მოდიან?

_ სად იყვნენ?

_ ჭინკების გორაზე, მზის ამოსვლის საუყურებლად...

_ ვინ წაიყვანა?

_ გაიპარნენ.

_ ყველაფერს ბედი უნდა. გაიპარნენ და არავინ არაფერს ამბობს, — ისევ ამურმურდა ლალი, — ამდენ ბიჭში ერთი გოგო.

_ რანაირი ხარ! — შეუტია მზიამ.

_ შენც წასულიყავი, ვინ გიშლიდა?

_ ვინ გვითხრა რო? — გოგოებმა მხარი აუბეს ლალის.

_ ყოველი შემთხვევისათვის, ჩვენს ოთახში ყველამ იცოდა, — გაბრაზდა მზია და ისევ შეუტია ლალის, — ხომ იცოდი, რატომ არ წახვედი, ფანჯრიდან ბაკურიც კი გადამოძვრა... თავს ნუ იკატუნებ, ძილს რომ ვერ შეელიე, ვისი ბრალია? ღამით წასვლა ყველას დაგეზარათ, ახლა კი გული გწყდებათ და სხვას ადანაშაულებთ, არა?!

ამ დროს ჭიშკარს «გაპარულები» მოადგნენ და ყვავილების გვირგვინით თავდამშვენებული თეონა პირველი შეუშვეს.

«აი, ახლა მომცვივდებიან და კითხვებს დამაყრიან, რა ნახეო», — გაიფიქრა თეონამ, — «კარგი იყო ჭინკების გორაზე?» «ხომ არ გაწყენინეს ბიჭებმა?» «მოიხიბლე მზის ამოსვლით?.. ყველაფერს მოუყვება მეგობრებს, ყველაფერს და ეტყვის, რომ ჭინკების გორაზე უსათუოდ ისინიც წავიდნენ და ნახონ მზის ამოსვლა...

ჩაფიქრებულს არც კი შეუმჩნევია, როგორ გულგრილად დახვდნენ ისინი.

დასასვენებელი სახლის ეზოში ფეხი შედგა თუ არა, მზია მიეჭრა, მხარზე აეკრა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

_ ალბათ დამაბეზღა! — იეჭვიანა ლალიმ და გაწიწმატდა. ჯავრი კი, რატომღაც ისევ თეონაზე იყარა: — ქალაბიჭა! — დაუძახა და გაქცევა დააპირა.

უცებ ვაჟამ მკლავში ჩაავლო ხელი:

_ რატომ არის ქალაბიჭა. ჩვენთან რომ წამოვიდა, იმიტომ?

მან პასუხი ვერ გასცა.

ამ დროს ზარის ხმა გაისმა. ბავშვებს სასაუზმოდ უხმობდნენ.

ის იყო, ვაჟამ წასვლა დააპირა, რომ წინ ლაშა გადაუდგა.

_ ხვალ გელას გუნდთან ფეხბურთს ვთამაშობთ, არ დაგავიწყდეს! — უთხრა ცოტა უკმეხად და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა.

«რა დაემართა?! «_ ვაჟამ გაკვირვების ნიშნად მხრები აიჩეჩა.

ბზარი გაჩნდა

ლაშა, თეონა, მზია, ბაკური და ლალი ერთ მაგიდას უსხდნენ ხოლმე, უერთმანეთოდ სასადილო დარბაზში არ შევიდოდნენ. თეონა ყოველთვის ლაშას პირდაპირ ჯდებოდა და მის გარეშე პურს არ გატეხდა. ერთხელ, ლაშა უქეიფოდ იყო, ვერაფერი ჭამა. კარგა ხანს უყურა თეონამ, თვითონაც პირი არაფერს დააკარა. ძალიან რომ მოშივდა, ვაშლი ჩაკბიჩა. ვაშლი ლაშამაც შეჭამა და იმიტომ. ვახშმის შემდეგ ერთადერთი კანფეტი აღმოაჩნდა თეონას. ბიჭების

ოთახში ჩუმად შეიპარას, ლაშას საწოლი მოძებნა და ბალიშის ქვეშ ამოუდო... მაგიდას ახლაც ერთად მიუსხდნენ: ბაკური, მზია, თეონა, ლაშა (ლალი იმ დღეს მორიგე იყო).

თეონას ლაშასთვის არც შეუხედავს, ისე შეუდგა ჭამას. თავი მაღლა რომ ასწია, ლაშას თვალებს წააწყდა.

«სხვა დროს, სანამ პურს პირველი არ გავტეხავდი, მიცდიდი, — დღეს რა დაგემართა?» — უჩუმრად ჩაეკითხა ბიჭი.

თეონამ ლუკმა გადაყლაპა, ლაშას მიაჩერდა და უჩუმრადვე უსაყვედურა:

«რატომ არ წამოხვედი, რაო, შეგეშინდა?.. ან ძმადნაფიცებს ტყუილად რატომ დაჰპირდი?»

«ამიტომ მიწყრები?»

«იცოდი, რომ მეც მივდიოდი და მაინც არ წამოხვედი».

«შენ ხომ შენს ძმადნაფიცებთან ერთად იყავი».

«ეგ მეც კარგად ვიცი, მაგრამ შენ შენი წილი...»

უცებ, ბაკურს რაღაცაზე წასკდა სიცილი. სხვებიც აჰყვნენ.

«ნეტა რა აცინებთ?» — ფიქრებიდან გამოერკვა თეონა. მეგობრებს თვალი შეავლო. ისინი სარკმელს მიშტერებოდნენ. შუშაზე ვიღაცას ქაღალდი გაეკრა და ზედ დიდი ასოებით წაეწერა: ლაშა+თეონა+ვაჟა=სიყვარულს.

თეონამ საყვედურით გადახედა მეგობრებს, სკამიდან წამოდგა და სასადილოდან გავიდა.

თავის ტკივილმა შეაწუხა. საძინებელი ოთახის კარი შეაღო, ტკივილგამაყუჩებელი აბი მონახა, მიიღო და საწოლზე მიწვა.

საღამოს გოგონების სიცილ-კისკისმა გამოაღვიძა. პერანგისამარანი დარბოდნენ ოთახში, ცეკვავდნენ, მღეროდნენ. დერეფანში ფეხის ხმას გაიგონებდნენ თუ არა, — ნინო მასწავლებელი მოდისო, — საწოლში სწრაფად შეძვრებოდნენ და გაისუსებოდნენ. მერე ისევ წამოხტებოდნენ და სირბილს იწყებდნენ..

«დაღამებულა.» — გაიფიქრა თეონამ.

_ მოდით, იცით რა, ამაღამ ბიჭებთან შევიპაროთ და კბილის პასტით გავთხუპნოთ, — თქვა ლალიმ.

_ ეგ ძველი ხუმრობაა, რამე ახალი მოვიგონოთ.

_ სხვის გასათხუპნად ადგომა არ გეზარებათ, ჭინკების გორაზე წასასვლელად კი ფეხი ვერ გადაგადგმევინეთ....._ წამოიწყო თეონამ — მაგრამ იმწამსვე ბალიში ესროლეს.

_ ესეც შენ, ჭკუის კოლოფო, მოჰყევი ახლა!

ბალიში თეონას ასცდა და მზიას მოხვდა.

_ რას ისვრით, რას! — გაანჩხლდა მზია.

უეცრად ერთი ალიაქოთი ატყდა: ბალიშების სროლა, კივილი, ყვირილი. ნათურა ძაფზე ჩამოკონწიალებული ნახერხის ბურთივით ქანაობდა.

_ გაჩერდით! — ყვიროდა სკამზე შემდგარი მზია. ვიღაცამ მთელი ძალით სთხლიშა თავში ბალიში. იგი სკამიანად ამოტრიალდა და ძილგამფრთხალ თეონას თავზე გადაემხო.

_ ვაი! — დაიძახა გოგონამ, ლოგინიდან წამოხტა. ბალიშს ხელი დაავლო და კართან მდგარ ლალის საპასუხოდ ესროლა, — არ გაჩერდები?!

ლალიმ ჩაკუზვა მოასწრო. უეცრად კარი გაიღო და ბალიში მარგო დიასახლისს მოხვდა სახეზე.

თვალის დახამხამებაში ბავშვები ლოგინებში შეძვრნენ და გაისუსნენ. ნამალევად მარგო დიასახლისს ადევნებდნენ თვალს და სიცილს ძლივს იკავებდნენ, რომელსაც თმა ასწეწოდა, სიბრაზისგან სახეაწითლებულს თვალები დაეჭყიტა, წარბები მრისხანედ შეეკრა, ტუჩებმოკუმული ხან ერთ საწოლთან მიიჭრებოდა და ხან მეორესთან.

_ სად არის თქვენი მზრუნველი??! — გაჰკიოდა ცივი ხმით.

საწოლებს შორის ამაო სირბილის შემდეგ, მარგო კარს ეცა, ახლავე დირექტორს მოვიყვანო, — დაემუქრა ბავშვებს და კიბეზე ჩაბაკუნდა.

დირექტორმა მათ საძინებელში რომ შეაბიჯა, ქარიშხალი უკვე ჩამდგარიყო. ვითომც არც არაფერი მომხდარიყო, წყნარად და მშვიდად გამოიყურებოდნენ საწოლზე ჩამომსხდარი გოგონები.

_ ჰმ, მაშ ასე! — შეათვალიერა გოგონები ძია რეზომ. — ხვალ ახალი ფილმი უნდა მოიტანონ... ვერც ერთი თქვენთაგანი ვერ დაესწრება! — თქვა მშვიდად და გაბრუნდა.

_ ჩვენ გარდა ყველა ბავშვი დაესწრება. ეგღა გვაკლდა, სხვა ოთახის ბავშვები დაგვცინებენ, ისედაც სულ კრიჭაში გვიდგანან! — ჩაიბუზღუნა ქეთინომ.

_ მართალია! — დაეთანხმა თეონა და გაახსენდა, რომ გასულ კვირას ვიქტორინა ჩაატარეს — «ვინ უკეთ იცნობს სამშობლოს». ქულების მეტი რაოდენობა მეორე ჯგუფელებმა დააგროვეს, გამარჯვება კი მესამე ჯგუფს მიაკუთვნეს. ეს ჯგუფი მარგო მასწავლებლისა იყო და მის ნებას წინ ვერავინ აღუდგა.

Fფიზიკურ მომზადებაშიც მათ არგუნეს სიგელი. — აბა, როგორ, თქვენზე პატარები არიანო.

ვერა და ვერ ეღირსათ მეორე ჯგუფელებს ნანატრი გამარჯვება.

ამიტომ ახლა ფილმის უნახაობა იმდენად არ აწუხებდათ, რამდენადაც ქილიკის საბაბი რომ მიეცათ მესამე ჯგუფელებს.

მეორე დღეს ნანა მასწავლებელმა გოგონებს უბრძანა, ოთახიდან ფეხი არ გაადგათო. მარგო მასწავლებელი კიბეზე ამობაკუნდა და კარში გასაღები გადაატრიალა. თეონამ ერთი ამოიოხრა და ჩაფიქრდა... წარმოიდგინა, რომ თვითონ კი არა, მარგო მასწავლებელია ოთახში გამოკეტილი... გასაღები კი თეონას ჩააბარეს...

«კარი გამიღე.» — ეხვეწება.

თეონას ვითომც არ ესმის, არხეინად ჩამომჯდარა კიბეზე და გულში ნიშნს უგებს.

«კარგია მანდ ჯდომა?!»

«გამიღე კარი, მომშივდა!..»

«ციცინათელაში» სიწყნარე ჩამოწვა, ნიავს გარედან კანტიკუნტად მოაქვს ბავშვების ხმები. თეონა ოხრავს და ისევ ფიქრს აგრძელებს...

«არ გააღებ?! — მუქარის კილოთი ეუბნება მარგო მასწავლებელი. შემდეგ კივილს იწყებს... და აი, ცეცხლი ედება სახლს. თეონა სწრაფად გადაატრიალებს გასაღებს და კარს აღებს: — ჩქარა, ჩქარა გამოდი, ვერ ხედავ, ხანძარია! — უყვირის და თავის თავზე ბრაზობს: რა სისულელემ ჩამაკეტინა კარი, ხომ

შეიძლება ჩამძინებოდა, ან გასაღები დამკარგვოდა... თუმცა ფანჯრიდან გადაძვრებოდა... მაგრამ მოახერხებდა კი?..

უცებ თეონას სახე გაუნათდა და წამოიყვირა:

_ გოგონებო, ფანჯრიდან გადავიპაროთ, ფილმის დასრულების წინ წამოვიდეთ...

_ რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრეთ! — გამოცოცხლდნენ ბავშვები, ღამის პერანგებზე ხალათები სასაწრაფოდ შემოიცვეს და ფანჯრიდან სათითაოდ გადაძვრნენ. ფეხაკრეფით, ჩრდილებივით მიუახლოვდნენ ღია ცის ქვეშ კინოეკრანს მიჩერეებულ ბავშვებს და შეუმჩნევლად მაღალ ბალახებში ჩასხდნენ.

როცა ფილმი დასასრულს მიუახლოვდა, ფრთხილად წამოდგნენ, ფახაკრეფით გაიკრიფნენ, თავიანთ საწოლ ოთახში ფანჯრიდან გადავიდნენ, ლოგინებში შეძვრნენ და ვითომც აქ არაფერიო, გაისუსნენ.

მალე ბავშვების ხალისიანი ლაპარაკიც შემოესმათ. ფილმი დამთავრებულიყო. რამდენიმე წუთის შემდეგ მათი კარიც გაიღო.

— დაბრუნდით, კუდრაჭებო? — მოესმათ ნანა მასწავლებლის ჩურჩული და ხმადაბალი, მოფერებით აღსავსე, კეთილი სიცილი.

«დავუნახივართ!..» — თითქოსდა კმაყოფილებით გაიფიქრა თეონამ. მერე თვალები დახუჭა და ოთახში გამომწყვდეული მარგო დეიდა წარმოიდგინა... შემდეგ ვითომ ოთახში მარგო კი არა, ნანა მასწავლებელი აღმოჩნდა... ოღონდ კარი თეონას არ ჩაუკეტავს, სხვამ ჩაკეტა. კარს არ სცილდება თეონა, ხან წყალი მიაქვს და რკინის გისოსებიანი სარკმლიდან აწვდის, ხან ვაშლს, ხან პურის ნატეხს და ნატრობს ამირანის ძალას, რომ კარი შეამტვრიოს... ხან მჭედელთან მირბის და საჩუქრად რას არ ჰპირდება, ოღონდ გამოუჭედოს გასაღები, რომელიც კარს მოერგება...

«ცოტაც მოითმინე, ნანა დეიდა, ცოტაც...» — ჩურჩულებს თეონა და წამწამების თრთოლვას ძილი აყუჩებს.

ეჭვი

ერთ საღამოს ლაშამ თეონა მოძებნა და განზე გაიხმო.

_ ვიცი, ჭინკების გორაზე რომ არ წამოვედი, ნაწყენი ხარ, წიგნის კითხვას შევრჩი... მოდი, შევრიგდეთ და ერთ საიდუმლოს გაგანდობ.

_ ჰოო? — დაჭყიტა თვალები თეონამ.

_ შებინდებისას ცაცხვებთან თუ მოხვალ, ყველაფერს მოგიყვები. — ხაზგასმით თხოვა ბიჭმა.

_ ვეცდები, — დათანხმდა გოგონა.

უსაშველოდ გრძელი მოეჩვენა საღამო. გულის ფანცქალით ელოდა დაბინდებას. და აჰა, დაბინდდა თუ არა, თეონამ ყველასაგან შეუმჩნევლად სპორტული მოედანი გადაჭრა და ცაცხვნარისკენ გაემართა. ირგვლივ ბინდს დაესადგურებინა. შიში შეეპარა გოგონას და გამობრუნება დააპირა. მაგრამ ამ დროს ტოტების შრიალი შემოესმა.

_ მა ვარ! — შეეხმიანა ლაშა, — აქეთ წამოდი, რაღაც უნდა გაჩვენო, ოღონდ იცოდე, ჯერჯერობით საიდუმლოდ ვინახავთ.

_ გპირდები, არავის ვეტყვი.

_ წამო! — ჩასჭიდა ხელი ლაშამ და თავი ჯაგნარში შერგო. ორი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ კორდზე გავიდნენ. ლაშამ ფარნით იქაურობა გაანათა. თეონამ ძირს დაყრილი თხილის ტოტების საფარი შენიშნა.

ბიჭმა ტოტები ფრთხილად მისწი-მოსწია და Fფარნის შუქზე გვერდებშელესილი და ფსკერმოკენჭილი ვეშაპის ფორმის ორმო გამოჩნდა.

_ აკვარიუმს აკეთებ?

_ ჰო, ჩვენ გავაკეთეთ! — თავი მოიწონა ლაშამ და ორმოს ისევ ტოტები წააფარა, — ეს მაშინ მოვიფიქრე, როცა ბავშვებმა თითო რამის გაკეთება გადაწყვიტეს... წყალმცენარეებს დედა ამომიტანს, ქილით თევზებსაც მომიყვანს... აი, აქ ნახე... — ლაშამ ფარანი მინდვრის ირგვლივ მიმოატარა.

_ უჰ, რა ლამაზია! — აღტაცებით შესძახა თეონამ და ხან ერთ კუთხეში ჩადგმულ ჩხირებისგან აგებულ სასახლეს დააცქერდა, ხან კენჭებით აწყობილ «ნარიყალას» ციხეს.

_ ჯერ სადაა! — თავმომწონედ ჩაილაპარაკა ლაშამ, — ისეთი რამეები გვაქვს ჩაფიქრებული, რომ... აქ ჯაგნარს გავკაფავთ და შემოსასვლელს გავაკეთებთ. აი აქ კი! — და ლაშა დაიხარა, გაფარჩხულ ტოტებს შუა გაძვრა, თეონაც გაიყოლა და ცოტათი უფრო მოზრდილ კორომზე გავიდა, — ჩვენი გაკეთებული მრგვალი მაგიდა და სკამები უნდა ჩავდგათ... ხეზე საქანელებს დავკიდებთ, მერე იცი ვის დავუთმობთ დასასვენებელ კუთხედ? პატარებს, ეს მე მოვიფიქრე! — მედიდურად თქვა, — ფიცრები აბანოს მშენებლებს ვთხოვე. უკვე გავაშალაშინეთ, დავჭერით და მალე გავმართავთ კიდეც.

_ ჩვენებსაც ვეტყვი რამეთი დაგეხმარონ, — თქვა თეონამ, — ამ აკვარიუმის ამბავი თქვენი ბიჭების გარდა არავინ იცის?

_ ჯერ-ჯერობით მგონი არავინ.

_ მაშ, მე რაღად მითხარი?

_ რა ვიცი... — დაიბნა ლაშა.

მთვარემ ფოთლებში თავი შემოჰყო, თითქოს ფორთოხალივით დაეკიდა ტოტებს და გოგო-ბიჭს თვალი შეაჭყიტა. ვერცხლისფერმა ღამემ წამით გააყუჩა თეონა და წარმოსახულმა ოცნებამ ლანდებად გაურბინა: პაწია მინდვრის კიდეები გაიწ-გამოიწია და თვალუწვდენელ მდელოდ იქცა. შიგ სოკოებივიოთ ამოზიდულიყვნან ცისფერაივნიანი, პაწაწა სახლები. ხელოვნურ ტბაში ხის ყელყარყარა თეთრი გედის გამოსახულებიან ნავს მიაცურებდნენ ბავშვები... შროშანის ფოთლებზე ბაყაყი შესკუპულიყო და გატაცებით მღეროდა... ძეწნები წყლის ზედაპირს კოცნიდნენ... ხეებს მუჭაში მაგრად ჩაებღუჯათ თეთრი ჰამაკები და გრძელი მკლავებით პაწაწებს ანანავებდნენ...

_ იცი, თეონა? — ჩაესმა თეონას ლაშას ხმა.

_ რა? — გამოერკვა გოგონა.

_ რაღაც მინდოდა მეთქვა შენთვის...

_ თქვი...

«მართალი ხარ, საიდუმლო არავისთვის უნდა მეთქვა, მაგრამ შენ სხვა ხარ...» — გაიფიქრა ლაშამ და ისე ამოიოხრა, რომ გაოცებულმა თეონამ ჰკითხა:

_ რა იყო?

_ არაფერი. ეს ისე, ჰაერი ჩავისუნთქე... — და ბიჭმა გოგონას მთვარით განათებულ სახეს შეხედა, — მიყვარს, როცა ფიქრობ... გიხდება.

_ ვითომ? — თეონამ შუბლზე ჩამოცვენილი თმა ცხვირზე შემოიხვია და თვალები დააელმა, — შენ გგონია მჯერა?

_ არ გჯერა?

«არა, მატყუარა ხარ და იმიტომ. ჭინკების გორაზე რომ წამოსულიყავი, აი, მაშინ...» — წამით გაუელვა ფიქრმა, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომც აქ არაფერიო, ისე თქვა:

_ წავედით!

ბიჭმა მთვარის შუქზე ფერგამკრთალი ყვავილები დაინახა, სწრაფად დაკრიფა და თეონას დაეწია.

_ აჰა! — გაუწოდა პაწია თაიგული გოგონას. თეონამ გულზე მიიკრა სიფრიფანა ყვავილები, ადგილიდან ისარივით მოწყდა და მოედანზე მოთამაშე ბავშვებში გაერია, თან საიდუმლო სულს უფორიაქებდა.

თეონამ წინ შემოფეთებულ ბაკურს მკლავში ჩაავლო ხელი:

_ ბაკო, რაღაც მინდა გითხრა. ხომ იცი აბანოს მშენებლობა რომ დამთავრდება, ქალაქიდან სტუმრებს ელიან. მოდი, იმ საზეიმო დღისთვის რამე გავაკეთოთ.

_ გავაკეთოთ, ოღონდ ჩვენებს მოველაპარაკოთ.

_ დრო ცოტა დარჩა, ახლავე ჩამოვუაროთ და ვუთხრათ.

_ კარგი. აბა, წავედით.

მეორე დღეს, დილით ზარის ხმაზე მთელი დასასვენებელი სახლის ბავშვები ფეხზე წამოიშალნენ, სწრაფად გადაიცვეს და სავარჯიშოდ გაცვივდნენ. მხოლოდ მეორე ჯგუფელებმა აითრიეს ფეხი.

_ რა მოხდა? — გაიკვირვა ნანა დეიდამ და გოგონების ოთახის კარი შეაღო.

ყველას ეძინა.

_ აი, თქვე ზარმაცებო, სავარჯიშოდ რატომ არ მიდიხართ?

_ ცუდად ვარ! — უთხრა ერთმა და თვალები ძლივს გაახილა.

_ კბილი მტკივა, მასწ!

_ მე კიდევ წუხელ არ მეძინა და თავი მტკივა...

_ ცოტა ხანს ვიძინებ, რა? — ცალი თვალი გამოაჭყიტა თეონამ და ისევ დახუჭა.

«აქ რაღაც სხვა ამბავია!» — ის იყო გაიფიქრა ნანა მასწავლებელმა, რომ ოთახში მეორე ჯგუფის ხელმძღვანელი ავთანდილი შემოიჭრა.

_ გაგიჟდნენ ეს ბიჭები? შემძვრალან საწოლებში და არ ინძრევიან, სუყველა ერთად როგორ გახდა ავად?

_ ბიჭებიც? — გაოცდა ნანა მასწავლებელი. ავთომ ახლაღა შეამჩნია მძინარეები და თავის მხრივ ისიც გაოცდა: — გოგოებიც?!

რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში დირექტორი და ლელა ექიმი შემოვიდნენ.

_ ყველანი ავად გახდნენ? — ჩაიცინა ძია რეზომ, მის ხმაზე ბავშვებმა თვალები ჭყიტეს.

_ ასე ერთდროულად ეპიდემიაც არ ვრცელდება! — ღიმილი მოერია ლელა ექიმს.

_ რატომ არ ადექით? — იკითხა ნანა დეიდამ, — აბა, მზია, როგორც ყველაზე უფროსს, შენ გეკითხები.

_ ღამე გავათიეთ, ზღაპრებს ვყვებოდით და... — მეტი რა გზა იყო, იცრუა მზიამ.

_ ბიჭებიც ზღაპრებს ჰყვებოდნენ?

_ ჰო...

_ ასე ერთად რა ზღაპრები აგიტყდათ? — ეშმაკურად გადახედა ბავშვებს ძია რეზომ.

გოგონები დუმდნენ..

_ მაშინ მე გეტყვით... მთელ ღამეს ტყიდან რაღაცას ეზიდებოდით... წერაქვის ხმაც გავიგონე... — წამოიწყო ძია რეზომ.

_ დაგვინახეთ? — დასცდა ვიღაცას.

ნანა დეიდას სახეზე სიწითლემ გადაჰკრა: ისე როგორ ჩამეძინა, რომ ბავშვების გაპარვა ვერ გავიგეო. ნირწამხდარმა თავი ჩაღუნა.

_ რეზო ძია!.. — საწოლიდან წამოიწია თეონა, — რაღაცას ვაკეთებთ და ძალიან გთხოვთ, ჯერ ნურაფერს გვკითხავთ.

_ კარგიით?! — სთხოვეს გოგონებმაც.

_ კარგი, ახლა დაიძინეთ! — უპასუხათ «ციცინათელას» დირექტორმა. შემოსულებს ხელით ანიშნა, წამოდითო, და მათთან ერთად კარი გაიხურა.

ბავშვებს გაუკვირდათ მეორე ჯგუფელების გაუჩინარება. ვიღაცამ იკითხა კიდეც, ლაშქრობაზე ხომ არ წაიყვანესო.

მერე ხმა დაირხა, დირექტორმა დასვენების უფლება მისცათო. რატომ, რისთვის, ვერავინ გაიგო.

კარგად რომ გამოიძინეს, თითო-თითოდ გამოლაგდნენ გარეთ და შეკითხვაზე, ამდენ ხანს რამ დაგაძინათო, პირში წყალი ჩაიგუბეს.

_ ახლა რა გავაკეთოთ? — ჰკითხა ეზოში გამოსულმა გელამ ბაკურს.

_ ძალიან მშია, ნეტა ისადილეს? — და აბანოსთან მომუშავე ბიჭებს გასძახა:P_ რომელი საათია?!

პასუხს რომ ვერ ეღირსა, ხელი ჩაიქნია.

_ ახლა მაინც არ გვაჭმევენ. მეტი რა გზაა, უნდა მოვითმინოთ.

_ მოდით, მოგვეხმარეთ! — გამოსძახა მათ ჭიპიტომ.

_ მოვდივართ!

_ კარგა ხანია მდინარეზე არ ჩავსულვართ! — შეაგება მოსულებს სიტყვა ლაშამ.

_ რა, ხომ არ შეგაშინათ გაღმასოფლელმა კობამ? — ხელურემი შეაჩერა ვაჟამ და ლაშას გადახედა.

_ ვინ შეაშინა... მეე?!. — იწყინა ლაშამ, — ბიჭები არ წამომყვნენ და საბანაოდ მარტო ხომ არ წავიდოდი?!..

_ არა, როგორ დედიშობილა დაგტოვეს, ჰა?!. წყალი ჭრელა-ჭრელა ფოთლებივით მოაცურებდა თქვენს ტრუსებს, — ჩაიხითხითა ჭიპიტომ.

_ საბანაო მოგვიშალეს და იმიტომ მოვპარეთო, თავი იმართლეს ჩვენთან, — გააგრძელა ვაჟამ, — ბალახს ვთიბავდით, ზემოდან გიყურებდით. ტრუსები რომ მოგპარეს და წყალს გაატანეს, მერე გამოიქცნენ. გზაზე დავუხვდით და ერთი ბიჭიღა დავიჭირეთ, ამდენი ხალხი ერთს ხომ არ გავლახავდით და... გავუშვით.

_ გავუშვებდი კი არა, სულ ცხვირ-პირს დავუნაყავდი! — ჩაერია საუბარში გელა, — თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით, აქ ამოსვლა დედიშობილა მოგვიწევდა.

_ ჰო, ჰო, ჰო! რას დაფრთხებოდნენ გოგონები, გაუფრენიათო, — იფიქრებდნენ. ხმას არ ამოგაღებინებდნენ, ისე გაგაქანებდნენ საავადმყოფოში.

_ მოსახმარებლადაც აღარ ჩამოდიანო, — გაკვირვებულია გაღმა სოფლელებზე ძია რეზო და მიზეზს ვერ მიმხვდარა.

_ იქნებ ჯობდა შუამავალი მიგვეგზავნა და ზავი დაგვედო?

_ ვერ მიართვეს! — წამოენთო გელა, — სანამ რომელიმეს არ მივჟეჟავ, არა!

_ ყურადღება! — გაისმა რადიოში მათი ჯგუფის მზრუნველის ხმა, — მეორეჯგუფელები, ლია, თეონა და თიანეთელი ვაჟა სადილის შემდეგ სამკითხველოში გამოცხადდნენ.

_ ნეტა, რა უნდა? — დაინტერესდა ლაშა.

_ აბა, რა ვიცი! — მხრები აიჩეჩა ვაჟამ და ხელის გადასაბანად წავიდა. ლია და თეონა ახლადშეღებილ აბანოს ფანჯრებს წმენდნენ. წინსაფრები შემოიხსნეს და ხელიხელჩაკიდებულები გაიქცნენ. უცებ თეონას პირველრაზმელმა კიაზომ ფეხი დაუდო. თეონა წაიქცა.

_ უზრდელი! — გაწიწმატდა ლია და ამხანაგს წამოდგომაში მიეხმარა. სახეაწითლებულმა თეონამ არაფერი თქვა, კაბა გაისწორა და ცრემლით სავსე თვალები ლაშასკენ გააპარა.

ლაშამ სახე აარიდა და კიაზოს დაკუნთული მკლავები შეათვალიერა.

«მშიშარა!» — გაიფიქრა თეონამ და ადგილს მოწყდა.

ზარის ხმამ სასადილოში მალე შეახვედრა ისინი. ჩვეულებისამებრ ერთად შემოუსხდნენ მაგიდას: მზია, ლაშა, ბაკური, ლალი... «თეონა სადღაა?» — გაიფიქრა ლაშამ და თვალით დაუწყო ძებნა. მოშორებით ლია, მეორეჯგუფელი ზაზა და თეონა შენიშნა.

«გამებუტა?!" — დაეჭვდა ბიჭი და ის იყო, აქ მოდიო, უნდა დაეძახა, რომ მათკენ კოვზებით ხელში მიმავალი ვაჟა დაინახა. გულმა რეჩხი უყო. ხმა არ გაუღია, მოტრიალდა და უღიმღამოდ შეუდგა ჭამას. ხანდახან მალულად გააპარებდა თვალს და რამდენჯერაც თეონა გაუღიმებდა ვაჟას, იმდენჯერ გულზე ბრაზი ეკიდებოდა.

«ხევში გადაჩეხვას გადავარჩინე... ახლა კი მებუტება... არ გამოვექომაგე და იმიტომ. კიაზო ხომ ჩემზე დიდია?!»

ლიამ, ვაჟამ და თეონამ სწრაფად ისადილეს და დარბაზი დატოვეს.

_ ნეტა ასე რატომ აჩქარდნენ? — დაინტერესდა ლაშა, წყნარად წამოდგა და გარეთ გავიდა.

ისინი სამკითხველოს ოთახში შევიდნენ. ლაშაც უკან მიჰყვათ.

_ საქმეზე მოვედი! — შეაღო კარი და უხეხულად შეჩერდა.

თეონას თავი არც აუწევია, კედლის გაზეთში წერილს წერდა.

_ გინდა რამე? — ჰკითხა ვაჟამ და თავისუფალი სკამი მიუჩოჩა.

«რა მოვიგონო, რომ ვუთხრა»? — აუწრიალდა ფიქრები ლაშას და უცებ წელში გაიმართა.

_ ის უნდა მეთქვა, ძია სერგოს «რომანტიკოსთა სასახლეში» ბარათი არ დავუტოვოთ?

ფეხბურთის თამაშში ისე გაერთნენ ბიჭები, რომ ერთხანს მიავიწყდათ კიდეც «რომანტიკოსთა სასახლე».

_ ქალაქიდან სტუმრებს რომ ველით, ძია სერგოს არ გავაგებინოთ?

_ ეგ კარგი რამ გაგახსენებია, აუცილებლად უნდა შევატყობინოთ, — უპასუხა ვაჟამ.

ლაშა თეონას წინ გადაშლილი გაზეთისაკენ გადაიხარა და ჩამარცვლით წაიკითხა... «იუ... მო... რის... ტული...»

_ სანამ კედელზე არ გავაკრავთ, წაკითხვა არ შეიძლება, — თავაუღებლად ჩაილაპარაკა თეონამ და გაზეთი ვაჟასკენ მისწია, — ხომ არაფერს მიუმატებ?

_ ჰო, რაღაც დამრჩა გასაფერადებელი.

ლაშა ერთ კარიკატურას დააცქერდა, თვალები ჭყიტა და წამოიძახა:

_ ეს ხომ კიაზოა?! — მერე გაოცებით გადახედა თეონას და გაიფიქრა... «გაზეთს კედელზე გააკრავენ, ყველა ნახავს. ნახავს კიაზოც, ბანაკში ყველაზე ღონიერი და ჩხუბისთავი. იკითხავენ, ვინ გააფორმა, ვინ ჩაწერა შიგ წერილებიო და თეონას სამუდამოდ მტრად გაუხდება. ნუთუ, ამ ციცქნა გოგოს არ ეშინია?»

თეონა მშვიდად იჯდა. ეტყობოდა, სულ არ აღელვებდა მოსალოდნელი უსიამოვნება. ლაშას მისი გამბედაობა ისე შეშურდა, რომ მაგიდაზე დაგდებული საშრობი აიღო და ნამალავად ზედ წააწერა: « თეონა! ძალიან კარგი გოგო ხარ, უშიშარი!»

ოთახში ლალი შემოვიდა, გოგონები თავისთან მიიხმო და რაღაც უჩურჩულა. მერე დაინტერესდა, რას აკეთებენო, და გაზეთში ჩაიჭყიტა.

_ ფშ-შ! — დაუსტვინა ხმადაბლა და გარეთ გაიჭრა.

ლაშამ გაკეცილი საშრობი თეონას გაუწოდა და, ვითომც აქ არაფერი, ვაჟას მიუჯდა.

თეონამ გაშალა საშრობი და წაიკითხა. სახეზე ალმური მოედო. ამ დროს კარი მოღიავდა და ოთახში კიაზო შემოვარდა.

_ ერთი მაჩვენე ქალბატონო, ჩემზე რა დაწერე? — ნაწნავში სწვდა და ისე მაგრად მოქაჩა, გოგონამ შეჰკივლა.

_ თავი დაანებე! — შეჰყვირა ვაჟამ და სკამიდან წამოვარდა, — გოგოზე იწევ?!

კიაზომ ნაწნავს ხელი უშვა და ბიჭებს ახლაღა შეხედა.

_ აბა, ახლავე დახიეთ გაზეთი. ეგ არც მე გამიჭირდება, მაგრამ ეს თქვენივე ხელით მინდა გააკეთოთ...

«აი, თურმე რაში ყოფილა საქმე... კიდეც რომ მომკლას, არ დავხევ!» — გაიფიქრა ვაჟამ და მაგიდაზე გაშლილ გაზეთს გადაეფარა.

_ ახლა ორთავეს ცემით დაგასიებთ!.. — მათკენ ბიჯი წადგა კიაზომ.

ლაშას ფერი ეცვალა, უკან-უკან დაიხია და შეშინებული კედელს აეკრა.

_ დახევთ თუ არა? — ხელი შემართა კიაზომ.

_ არა! — გაისმა ვაჟას მტკიცე ხმა.

კიაზომ ისეთი სილა გააწნა, ვაჟამ წაიფორხილა.

_ დახევ თუ არა?

_ გითხარი, არა-მეთქი! — წარბები შეჰყარა ვაჟამ.

_ არა?! — კიაზომ თვალი მოჭუტა და ახლა მუშტი ყბაში სთხლიშა. ვაჟა შექანდა და მაგიდაზე დაემხო.

_ არც ახლა?!

_ ვთქვი და... ეგრე იქნება! გაზეთის დახევა არ შეიძლება!.. — მძიმედ წამოსწია თავი ვაჟამ.

_ ეს ვინღაა?! — ბრაზი ყელში მოაწვა კიაზოს, ტანმორჩილ ვაჟას თავზე წამოადგა და უბრძანა:

_ დახიე!

_ არ დავხევ!

_ არა და, ესეც შენ! — მუშტი ახლა ცხვირში ჩაჰკრა და სისხლი წამოადინა. ვაჟამ სისხლის დენა რომ შეეჩერებინა, თავი მაღლა ასწია.

ამ ხნის განმავლობაში ლაშა დამნაშავესავით იდგა და მეც არ მცემოსო, ხმას არ იღებდა.

გოგონები მომხდარით ისე დაბნეულიყვნენ, ვერა მოეხერხებინათ რა.

კიაზოს ეგონა ვაჯობეო და კბილებში გამოსცრა:

_ ახლა კი დახევ!

ვაჟას სისხლის დენა შეწყვეტოდა და მაგიდას მიყრდნობილი ჯიქურად შესცქეროდა კიაზოს.

_ მომშორდი თავიდან! — მშვიდად ამოსძახა ვაჟამ. ამ თქმაში იმდენი სიმტკიცე იგრძნობოდა, იმდენი სიბრაზე და ძალა პატარა ბიჭისა, რომ კიაზო განცვიფრებისაგან გახევდა და თითქოს შერცხვაო, წაილუღლუღა:

_ ხომ ვერ მოგკლავ, ბიჭო! — ესღა თქვა, უკან-უკან დაიხია და ოთახი დამარცხებულივით დატოვა.

იმ დღიდან თეონას თვალში ვაჟა ერთიორად გაიზარდა.

მეტოქე

ერთ საღამოს სასადილოში მორიგეობისას თეონასთან ბაკურმი მიიჭრა.

_ წამო, ნახე! — შესძახა და წინსაფრიანი გოგონა გარეთ გაიხმო.

მინდორი გადაჭრეს, დასასვენებელი სახლის წინ დაქანებული ბილიკი ჩაირბინეს. ხევის პირას, ხის ტოტებით გადახურულ, მთავარესავით მომრგვალებულ ადგილთან შეჩერდნენ. შესასვლელთან წითელი ნაჭერი გაეჭიმათ, ზედ მეორე ჯგუფი «ათინათი» — ეწერა. ბავშვებს აქ მოეყარათ თავი. ვაჟაც თავისი ძმებითურთ მოსულიყო. ლაშაც ჩვეულებისამებრ მეორე ჯგუფელებთან იყო. ზოგი სოკოსავით ცალ ფეხზე შემდგარ მაგიდას ღებავდა, ზოგი ნამგალივით მორკალულ სკამს. მარჯვნივ დაწნული ტოტებით კარავი გაემართათ. მარცხნივ უჯრებიანი საფოსტო ყუთი დაეკიდათ... გოგონები მოლზე დამსხდარიყვნენ და გრძელ მავთულზე პაწაწკინტელა ალმებს ამაგრებდნენ, რომ ტოტებშუა გაებათ.

_ როგორ მოასწარით? — გაიკვირვა სახეგაბრწყინებულმა თეონამ.

_ ნანა დეიდამ ნახა, ძია რეზომაც, კი ვიცოდით რაღაცას რომ ამზადებდით, მაგრამ ასე კარგად თუ გააკეთებდით, არ გვეგონაო.

_ კარგია, ხომ?! — შეეკითხნენ თეონას აქეთ-იქიდან.

_ იცი, როგორ დავიღალე, გოგო? — აწუწუნდა ლალი, — მომშივდა კიდეც, რას აკეთებთ სადილად?

თეონას უცებ დაავიწყდა კიაზოს გამო მასზე განაწყენებული რომ იყო.

«თავისი მეგობარი უყვარს და ალბათ, იმიტომ მიუტანა ენა, გული ეტკინა. ჩვენ რა, არ ვუყვარვართ ლალის? ვუყვარვართ, მაგრამ დაუფიქრებლად მოუვიდა... კიაზოსაც ვუყვარვარ, თუმცა მაშინ ბრაზით მომწიწკნა... ლაშა? — გაახსენდა უცებ შეშინებული ბიჭი, — კიაზოს მართლა რომ გაველახე, ხელსაც არ გაანძრევდა...» — გული შეეკუმშა თეონას. ერთ წიგნში ამოკითხული ფრაზა გაახსენდა: «თუ ადამიანი გიყვარს, როგორიცაა ისეთი უნდა მიიღო»... ეს როგორ? — ახლაღა ჩაუფიქრდა ნათქვამს და წარმოიდგინა... აი, ვითომ კიაზომ ხელი შემოჰკრა ლოყაში თეონას, ლაშა კურდღელივით გაინაბა. მეორე ლოყაშიც შემოჰკრეს თეონას, ლაშამ ადგილიდან ფეხიც არ დაძრა... «ესეც შენ!» — გამარჯვებული იერით დატოვა ოთახი კიაზომ...

ლაშა გოგონასთან მივიდა. თეონამ ზურგი აქცია და ატირდა...

«ნუთუ, ასეთი ადამიანიც უნდა მიყვარდეს?» — ჩაეკითხა თავის თავს გოგონა და ისევ ფიქრს გაჰყვა. ახლა სხვანაირად წარმოიდგინა... ღია ცის ქვეშ დგანან... თეონას სილისგან ლოყა უხურს...

«რას ერჩი?!» — უყვირის ლაშა და კიაზოსაკენ მიიწევს. კიაზომ ერთი ჩაისუნთქა და გაიზარდა, გაიზარდა, თავზე მთასავით დაადგა ცეროდენა ლაშას... «ეგ ურჩხული გაგსრესს, მოსცილდი!» — უყვირის თეონა და თან მზრუნველი, თანაგრძნობით სავსე, ალერსიანი თვალებით შესცქერის...

_ რას გაშტერებულხარ, მოდი და თქვენებს რამეში მიეხმარე! — შეუძახა ლაშამ ფიქრებში წასულ გოგონას და დროშის დასაკიდებლად ხეზე აცოცდა.

_ მე რა, უსაქმურად კი არ ვყოფილვარ, დაგავიწყდათ მორიგე რომ ვარ? — იწყინა თეონამ.

კორდი გადაიარა, ფერდობს ჩახედა, ხის ტოტზე დაეკიდა და, თითქოს საქანელააო, გაქანდ-გამოქანდა. ანაზდად ხელი აუსხლტა და ფერდობზე ჩაგორდა. ბავშვებმა შეჰყვირეს, კორდის ნაპირს მისცვივიდენნ და ძირს გადაიხედეს. ქვევით უვნებელი თეონა რომ დაინახეს, სიცილს მოჰყვნენ.

«ჩავალ და ამოვიყვან!» — გაიფიქრა ვაჟამ და ფერდობი ჩაირბინა.

_ ხომ არაფერი იტკინე? — ჰკითხა ნირშეცვლილ გოგონას.

_ არა! — კაბა ჩამოიფერთხა თეონამ და ნაბიჯი გადადგა, მაგრამ უეცრად მარჯვენა ფეხი ეტკინა და წაიფორხილა.

_ იტკინე?.. ხელი მომჭიდე და ისე ავიდეთ! — შესთავაზა ვაჟმა.

_ ჰო!.. კარგია რომ ჩამოხვედი... რაღაც მინდოდა მომეცა... — გოგონამ ბიჭს ცისფერი სათვალე გაუწოდა, — აჰა, გჩუქნი.

_ დახე, დამასწარი! სახსოვარი მეც მოგიტანე. აი, — ვაჟამ უბიდან სალამური ამოაძვრინა, — ჩემი ნახელავია, დაკვრა თუ არ იცი, გასწავლი.

თეონამ სალამური ჩამოართვა. «თეონას ვაჟასაგან» ეწერა ზედ. გოგონას სიხარულისაგან საგულედან ლამის გული ამოუფრინდა. ხეზე ასულმა ლაშამ თვალი მოჰკრა ყველაფერს და...

_ თქვენ, ეი, აღარ აპირებთ ამოსვლას?! — ყვავივით დასჩხავლა ზემოდან.

ძირს მყოფთ ხმა არ გაუღიათ.

_ ხო-ხო-ხო, მეტი არაფერი გქონდათ ერთმანეთისათვის რომ გეჩუქებინათ? — არ ისვენებდა ტოტებს შორის გახირული ლაშა.

_ ნუ ღრიალებ, თორემ ამოვალ და...

_ თორემ რა, შენი ძმების იმედით ხარ დიდ გულზე?!

_ ბიჭო, შენ შემთხვევით ბზიკმა ხომ არ გიკბინა? — გაცეცხლდა ვაჟა და ფეხნატკენი გოგონა კინაღამ დაავიწყდა...

Fფერდობიდან რომ ამოვიდნენ, ლაშას შეუბღვირა.

_ რად არ აჩერებ ენას? კარგად იცი, საშველად ძმებს არ დავუძახებ!

ლაშამ პირველად ნახა ასე გაბრაზებული ვაჟა და შედრკა.

_ სისულელეებს თავი ანებეთ! — გადმოსძახათ ბაკურმა.

_ მე რა, აი ამას უთხარი! — მეგობრის ხმამ უცებ დაამშვიდა ვაჟა, — რა ქაჯი შეუჯდა, ვერ ვხვდები.

_ რას იბღინძები, ეგეთი სათვალე მეც კი მაჩუქა! — იცრუა ლაშამ.

_ შენ?!... — გულმა რეჩხი უყო ვაჟას, უხმოდ გაეცალა, თეონა მონახა და უჩურჩულა, — დაღამდება თუ არა, წყაროსთან მოდი, საქმე მაქვსო.

* * *

«ნეტა, რა საქმე აქვს?» — გაიფიქრა თეონამ.

_ დაწოლას არ აპირებ? — ჰკითხა ნანა დეიდამ კარისკენ მიმავალს..

_ წუთით ეზოში ჩავალ და...

_ წამოგყვები.

_ არ მეშინია, ახლავე დავბრუნდები! — მოაძახა, კარი შეაღო და კიბეზე ჩაირბინა.

გარეთ ჩამიჩუმი არ ისმოდა. მთვარე ამოსულიყო. თეონა აჩქარებით გაუყვა მოასფალტებულ გზას. დეიდა ელენეს ნათქვამი გაახსენდა, წყაროსთან ჭინკებს უყვარდათ ჩამოსხდომაო. «იქ ვაჟა დამხვდება.» — გაიმხნევა თავი. ფეხის ხმა ჩაესმა და მიაყურადა. თავისი არ ყოფილა! პირველად შეამჩნია, რომ ნაბიჯებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და მათაც თავიანთი სახელები ჰქნდათ: ფრთხილი, მტკიცე, მელიის ნაბიჯები და კიდევ რამდენი... «ვნახოთ, მე როგორი მაქვს ახლა.»_ გაიფიქრა. შეშინებული ადამიანის ნაბიჯის ხმა ჩაესმა. «რისი მეშინია?.. ერთს დავიყვირებ და ყველანი აქ გაჩნდებიან!» — ისევ გაიმხნევა თავი.

თეონამ ახლა ადევნებული ჩრდილი შეამჩნია. შეჩერდა, ჩრდილიც შედგა. წავიდა — ისიც დაიძრა. გაშალა ხელი და იმანაც გაშალა. მუხის ხეს გაუსწორდა, უცებ ჩრდილიც დაიკარგა. «ხის ტანს აეკრა ალბათ... რა სულ ძირს ეცემა ეს ჩრდილი და ნეტა რისთვის? აი, მაგალითად, რკო ძირს დავარდება და მუხად ამოვა...» გაიფიქრა. მერე გაიქცა. ჩრდილიც გამოეკიდა. «ჰმ! რა მომაბეზრებელია. რა იქნება, მე არ მომბაძოს და ერთხელ მაინც სხვანაირად მოიქცეს? გამოსახულება კაცისა აქვს, ასე კი უსახურია...»

ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიფორხილა და ასფალტის კიდეზე ძეძვს მიაწყდა. «რამდენჯერ გამომივლია აქეთ და ეს ბუჩქი არ შემიმჩნევია, არც იმ ხეებსაც ასე ცალ-ცალკე ვერ ვამჩნევდი. აგერ, ის ლოდი ყოველთვის პატარა იყო, ახლა კი ისე მოჩანს, იფიქრებ, გოლიათ კაცს მიწაზე ფეხი მოურთხამსო. ყველაფერი უცხო ჩანს და საშიშიც, თითქოს ყოველი მათგანის უკან ჭინკაა ამოფარებული და საცაა გამოიჭრება», — გაიფიქრა გოგონამ და ფეხს აუჩქარა. დღისით გზის ამ მონაკვეთს ერთი ამოსუნთქვით გაივლიდა, ახლა კი არა და არ დაილია.

«იქ რაღაა? ალბათ, ლოდია», — გაიფიქრა და უცებ ლოდიც შეირხა!

_ ვაიმე! — დაიყვირა.

_ რამ შეგაშინა, მე ვარ! — სიბნელიდან გამოვიდა ვაჟა.

_ რაზე მეძახდი?

_ აჰა, არ მინდა!... — გაოცებულ გოგონას ვაჟამ სათვალე ხელში შეაჩეჩა და აჩქარებული ნაბიჯით გაეცალა.

_ მოიცა! — დაედევნა უკან თეონა. — რა მოგივიდა?

_ არაფერი, აღარ მინდა!..

_ მაშინ რად გამომართვი?

_ მაშინ სხვა იყო!

_ ახლა რა დაგემართა?

_ ისა... ისა რომ... არ მინდა, მორჩა და გათავდა! — აუწია ხმას ვაჟამ.

_ რას მიყვირი?!

_ მე?

_ ფხუკიანი და ყოყოჩა ყოფილხარ! — აპილპილდა თეონა.

_ მე ვარ ფხუკიანი და ყოყოჩა?! — წამოენთო ბიჭი, — თუ ასეთი ვიყავი, რაღას მეგობრობდი ჩემთან?

_ აბა, რა ვიცოდი თუ ბრიყვიც იყავი?

_ ბრიყვიცა ვარ?.. იცოდე, დღეიდან ხმა არ გამცე!

_ არ გაგცემ, რა! — ცრემლი მოადგა თვალებზე თეონას, — ავგულაც ყოფილხარ!

_ მე?

_ დიახ, შენ! — ზურგი შეაქცია ბიჭს და სირბილით გაუდგა გზას.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს. ვერა და ვერ გაეგო რატომ დაუბრუნა ბიჭმა სათვალე. სხვა დროს დინჯი და მის მომართ კეთილგანწყობილი ვაჟა უჩვეულოდ ბრაზიანი და უდიერი მოეჩვენა.

_ ნეტა რა დაემართა? — უკვირდა განაწყენებულ გოგონას. ძილგამკრთალს ხან რა გაახსენდა და ხან — რა...

_ რა ეწყინა ნეტა? — ისევ ჩაეკითხა თავს თეონა და დაძინება სცადა. ძილი არ მიეკარა. ყურში გამუდმებით ვაჟას სიტყვები უწიოდა: «დღეიდან ხმა არ გამცე!»

«ნეტა არ დამელაპარაკება? მართლა რომ დამემდუროს? — გაიფიქრა და უცებ მონადირე ბიჭი დალანდა.

«სად იყავი აქამდე? — წასჩურჩულა თეონამ, — შენც მოისმინე ყველაფერი?... დაინახე სათვალე რომ დამიბრუნა?.. რას იტყვი, ვტყუივარ ვაჟასთან?»

«იქნებ ჯობდა, ჯერ გაგეგო, რა ეწყინა და მერე გაკაპასებულიყავი»

«ისე მეწყინა, რომ მართლა გავკაპასდი»

«მერედა, რატომ?

«იმიტომ! ამდგარიყო და ეთქვა, რა დავაშავე. აწი ხმა არ გამცეო?»

«შენც ნუ გასცემ, სხვებთან იმეგობრე».

«იქნებ ასეც სჯობდეს? — გაიფიქრა თეონამ. მაგრამ მაშინვე გული შეეკუმშა — აკი თავად მისაყვედურა, რად გაკაპასდიო? იქნება ეთქვა კიდეც რა ეწყინა, მაგრამ არ დავაცადე, გავაბრაზე და უფრო გავანაწყენე.

«მიდი და შენც აუხსენი».

«მომისმენს კი?»

«თუ არ მოგისმენს, ეგ შენი ვაჟა ჩირადაც არ ეღირება...»

შუაღამე რომ არ ყოფილიყო, თეონა მართლა წავიდოდა, მოძებნიდა ვაჟას და ეტყოდა, აუხსნიდა, საჭირო თუ იქნებოდა, პატიებასაც სთხოვდა.

«ხვალ დილით წერილს მივწერ», — გადაწყვიტა ბოლოს.

უსაშველოდ გაიწელა ღამე. სადღაც მამალმაც იყივლა.

«რატომ ყივიან მამლები ღამით? — გაიფიქრა გოგონა, — იქნებ ერთმანეთს რამეს ანიშნებენ? ან იქნებ ეშინიათ, მელა არ მოგვეპაროსო, და პატრონს დროდადრო აფხიზლებენ. იქნებ იმათ ამხნევებენ, ვინც ფხიზლობს, მეც შენთანა ვარ, მღვიძავსო... იქნებ მათაც რაიმე ადარდებთ, არ ეძინებათ და ყივილით დრო გაჰყავთ? საბრალო მამლები, ამდენ უძილობას როგორ უძლებენ?»

თეონას უცებ შინ ყოფნა მოუნდა. იმ კვირა დღეს სანახავად რომ ჩამოვიდნენ, დედამ ჰკითხა: — წამოსლა ხომ არ გინდაო.

უაარი უთხრა. იმ წუთას მართლაც არ უნდოდა, ახლა კი...

«ზის ახლა მზექალა ფანჯარასთან, სარკმელზე შუბლმიყრდნობილი და მელის... ნეტა მურიკელას ხომ არ გადავავიწყდი? ბებოს რა თქმა უნდა, არასოდეს დავავიწყდები...» — გაიღიმა გოგონამ და წამწამები თავისთავად ჩაეხუტნენ ერთმანეთს...

ძილის ფერიამ ხელი ჩაჰკიდა თეონას და სიზმრების ქვეყანაში წაიყვანა... აი მისი ბაღჩაც... ცისფერი, თეთრი, ვარდისფერი ყვავილები. ეს ნაცრისფერი საიდან მოვიდა? — უკვირს გოგონას.

_ სევდის ყვავილია! — ეუბნება ვიღაცა. გოგონა აქეთ-იქით იხედება. ბაღის სიღმრეში ვაჟას მოჰკრა თვალი...

_ ეს ყვავილი მე დავრგე, — ეუბნება იგი.

_ რატო მერე? აქ მხოლოდ ცისფერი, ვარდისფერი და თეთრი ყვავილები ჰყვაოდა. წაიღე, არ მინდა სევდის ყვავილი! — ყვირის თეონა და თავისივე ხმა აღვიძებს.

შუღლი

“ციცინათელაში” დილიდანვე დიდი სამზადისი იყო. რამდენიმე დღეში ქალაქიდან საპატიო სტუმრებს ელოდნენ. ყველა რაღაცას აკეთებდა, ფუსფუსებდა. ბიჭები კოცონისთვის ტყიდან ფიჩხს ეზიდებოდნენ.

დარბაზის ერთ კუთხეში მაგიდასთან მიმჯდარიყო თეონა და ლიტერატურულ ჟურნალში ბავშვების წერილებს კითხულობდა.

«თუ კარგი მეგობრის შეძენა გვსურს, ჩვენც კარგები უნდა ვიყოთ სიტყვითაც და საქმითაც, — ამოიკითხა ერთ წერილში, — კეთილი ადამიანისაგან სიკეთეს ისწავლი, ცუდთან მეგობრობით, რაც კი კარგი გაქვს, იმასაც დაკარგავ...»

კარმა გაიჭრიალა და ოთახში აცრემლებული პატარა ბიჭი შემოვიდა.

_ რა დაგემართა, ზაზა? — თავი ასწია თეონამ.

ზაზა თავის მეგობრად თვლიდა თეონას და მისი დიდი იმედიც ჰქონდა. ამიტომ რაიმე გაუჭირდებოდა თუ არა, მაშინვე თეონას მოძებნიდა და შესჩივლებდა.

_ ისინი ქვიშაში თამაშობენ, რკინიგზა გაჰყავთ... მე კი გოგიმ გამომაგდო.

_ რატომ?

_ ქვიშის მთაზე კოშკს აგებდა, კენჭები არ მივუტანე და...

_ ამდგარიყავი და მიგეტანა. ხომ არის შენი მეგობარი?

_ ჰო, მაგრამ მივხვდი, ტყუილი მეგობარი იყო...

_ ეგ როგორ!

_ როგორ და... მარტო მე ვიყავი მისი მეგობარი.

_ ვერ მივხვდი.

_ სხვანაირად როგორ გითხრა? — კეფა მოიქექა ზაზამ და სკამზე ჩამოჯდა, — ერთხელ ვთქვით, მეგობრები ვიყოთო, შევფიცეთ კიდეც ერთმანეთს, ყველაფერი ერთმანეთს ვუთხრათ, ერთად ვითამაშოთ, თუ ვინმე წაგვეჩხუბება, ერთმანეთს მივეხმაროთო.

_ არ მიღალატებ? — მკითხა.

_ არა.

_ შენ?

_ არც მე, — ვუპასუხე და დედა დავიფიცეთ. სამახსოვრო ნივთებიც გავცვალეთ. იმან ლამაზი კენჭი მომცა, მე კიდევ პაწია ნათურა მივეცი.

_ მერე? — გაიღიმა თეონამ და დიდივით ჰკითხა, — დაარღვიეთ ტრაქტატი?

_ სახსოვარი აი ახლაც აქ მიდევს, — ზაზამ შარვლის ჯიბეზე მოისვა ხელი, — იმან კიდევ მეორე დღესვე ტიტიკოს გაუცვალა მარკაში. ერთხელ მერაბისათვის უთქვამს, ზაზას საიდუმლო აღარ უთხრა, თორემ მაშინვე ყველას ეტყვისო. მე მარტო მაგას ვეუბნები, თვითონ რად მეუბნება სხვისას?

_ სულ ეგ არის? — ჩაეკითხა თეონა.

_ აქ წადიო, იქ წადიო, ეს მომიტანეო, ის მომიტანეო...

_ მერე დაგეზარა?

_ აკი ვუგონებდი!..

_ აბა, რატომ აღარ გათამაშებს?

_ აღარ გავეგზავნე და...

_ აი, როგორ ყოფილა საქმე!.. «ცუდი დაკარგავს მეგობარს!» — წაიკითხა ერთ-ერთი წერილის სათაური თეონამ.

_ მერე მე ვარ ცუდი? — იწყინა ზაზამ.

_ აქ წერია.

_ ჰო, — დაიმშვიდა გული ზაზამ და ისევ თავის სადარდებელს მიუბრუნდა, — თითქოს ჩემი ბატონი იყოს, ისე მიბრძანებს ხოლმე.

_ შენც ადექი და სხვასთან ითამაშე!

_ მე გოგისთან მინდა... ოღონდ თვითონაც მეამხანაგოს!

_ აბა, წამო, მიგყვები, — უთხრა თეონამ.

_ ვინ უშლის, ითამაშოს, — ბატონკაცურად გაიჯგიმა გოგი.

_ თურმე, ხშირად ეჩხუბები, ეგრე როგორ შეიძლება?

_ მაშ რა ვქნა?! ორმო ამოთხარე-მეთქი და არ ამოთხარა. მე ხომ არ ამოვთხრიდი? მაგათი ხელმძღვანელი ვიყავი. ხელმძღვანელი მარტო ბრძანებებს სცემს...

_ თეონა, თეონა! — მოვარდა გულამოვარდნილი ლია, — იცი რა მოხდა?.. ვიღაცას ლაშას აკვარიუმი სულ მუნგრ-მოუნგრევია. წამო, ნახე რა ამბავია!

_ რას ამბობ?.. როდის, ვის დაუნგრევია?

_ ლაშა შენ გეძებს.

_ მე მეძებს?

_ ჰო, ჩქარა მოიყვანეო.

თეონას ზაზაც დაავიწყდა და კედლის გაზეთში წერილი რომ უნდა ჩაეწერა ისიც და ლიას გაეკიდა.

ადგილზე რომ მივიდნენ, კორდზე სამი თუ ოთხი ბავშვი შენიშნა, მაგარამ სადღა იყო აკვარიუმი.

_ ვაი! — გაიოცა თეონამ და აფოფრილ ლაშას რომ შეხედა, დაიხია.

_ ყველაფერი შენი ოინებია, აქ ვინც ვართ, ამათ გარდა საიდუმლო მხოლოდ შენ იცოდი. ეს რა ჩაიდინე, შეგშურდა?!. რად დაანგრიე!

თეონასათვის მისი სიტყვები იმდენად მოულოდნელი იყო, მტყუანივით ენა დაება და თითქოს სილა გაეწნათ, ისე აუხურდა ლოყები.

«ასე როგორ შეიძლება, ჯერ სიმართლე გაიგოს და მერე მისაყვედუროს!», — გაიფიქრა, ხმამაღლა კი ესღა თქვა:

_ არც დამინგრევია და არც არაფერი, ვითომ რატომ უნდა შემშურებოდა? დასასვენებელი კუთხე ხომ ჩვენც გავაკეთეთ.

_ მომბაძეთ, არა? — არ ცხრებოდა ლაშა, — მე რომ არა, მოიფიქრებდით? გაგენდე, შენ წახვედი და თქვენებს გააგებინე. აი, ისინი აკეთებენ და ჩვენც გავაკეთოთო. თანაც, ალბათ მოილაპარაკეთ, ჩვენ დავასწროთო, მოხვედით და დამინგრიეთ კიდეც!

_ დამიჯერე, ჩვენებისთვის არაფერი მითქვამს...

_ მაშ საიდან გაიგეს?

_ აბა, რა ვიცი, იქნებ ვინმე გადააწყდა?

_ გადააწყდა არა, ის არ გინდა! ვინ მიხვდებოდა აქ თუ ასეთი რამე იყო? — აყვირდა ისევ ლაშა, — ან რატომ უნდა დაენგრიათ?

_ მიგნებას რა დიდი ამბავი უნდა, — თეონას ნინო გამოექომაგა.

_ ახლავე მოუსვი აქედან! — შეუტია ლაშამ ნინოს.

_ აბა, რატომ გგონია, რომ მაინცდამაინც თეონამ და მისმა ჯგუფელებმა დაანგრიეს?

_ გოგო, ხმას არ ჩაიწყვეტ? ვერ გამიგია, ჩვენი ჯგუფელი ხარ თუ მაგათი! — აპილპილდა ლაშა, — თუ ძალიან გაინტერესებს, გეტყვი, რატომ. აი, ნახე! — წამოიძახა ლაშამ და ხელში სათვალე დაატრიალა.

«ჩემი სათვალე აქ საიდან გაჩნდა?!» — გაიოცა თეონამ. მაგრამ მაშინათვე გაახსენდა, «წუხელ ხომ ვაჟამ დამიბრუნა... მე კიდევ, ხალათის ჯიბეში შეუმჩნევლად ჩავუდევი...»

_ ამ დილით ვნახე, აქვე ეგდო... გაქცევისას,. ალბათ, ვიღაცას ჯიბიდან ამოუვარდა.

«ვაჟამ?.. — გაუელვა თეონას, მაგრამ ეჭვი იმწამსვე უარყო, — არა, ვაჟა ასეთ რამეს არ ჩაიდენდა... ალბათ, გზაში დაუვარდა, მერე ვიღაცამ გამოიარა და აიღო»...

_ ეს ხომ შენია? — ჩააჯინდა თეონას ლაშა.

_ ჰო... — წაილუღლუღა დაბნეულმა გოგონამ, — მაგრამ აკვარიუმი არ დამინგრევია.

_ მაშინ ვინ დაანგრია, ისიც გეცოდინება.

_ არ ვიცი!

_ ჰო-ჰო-ჰო, ცრუპენტელა!

_ გრცხვენოდეს! — აენთო თეონა.

_ მე თუ შენ?! — გაიოცა ლაშამ.

_ შენც იტყვი მეგობარი ვარო, — ხმა აუთრთოლდა თეონას.

_ მაშინ თქვი, იქნებ ვინმეს აჩუქე? — ლაშა მიუახლოვდა გოგონას და ყურში ჩასჩურჩულა, — იმ დღეს, ხეზე რომ ავდიოდი, დავინახე, როგორ აჩუქე სათვალე ვაჟას. გამოტყდი, სიმართლეს რატომ არ ამბობ?

_ თავი დამანებე! — დაიყვირა თეონამ.

ყვირილზე ბავშვები მოგროვდნენ. ვაჟაც გამოჩნდა.

_ რა იყო, რა მოხდა? — დააყარეს კითხვები.

_ აქაურობას დაღამებისას დავხედე და ყველაფერი წესრიგში იყო, ამ დილით კი, აი რა დამხვდა... — გულდაჯერებით ყვებოდა ლაშა.

როცა დაამთავრა, გამარჯვებულის იერით გადახედა თეონას.

თეონამ ბავშვებს თვალი მოავლო და მიხვდა, რომ არავინ გამოექომაგებოდა. ზოგი გაოცებით, ნუთუ შენ ჩაიდინეო, ზოგი წყრომით — არა გრცხვენიაო, ზოგიც სიბრალულით, ვაი, რა დღეში ხარო! — შემოსცქეროდნენ.

_ ამან თქვა და თქვენც დაიჯერეთ, არა? — იქით შეებრალა ისინი თეონას. მერე ვაჟას მალულად გახედა. იგი დაბნეული ჩანდა. «ნუთუ მან დაანგრია? — ეჭვმა გაჰკრა თეონას, — არა, ვერ დავიჯერებ, თანაც თვითონ ხომ არც ერთ ჯგუფში არაა და რა რჯიდა?.. იქნებ ვინმეს ჯიბრით ჩაიდინა?.. არა, არა! — ეჭვი უკუაგდო თეონამ. მერე ისევ აეკვიატა კითხვა: მაშ, ეს სათვალე აქ საიდან გაჩნდა? რატომ არაფერს ამბობს? იქნება თქვას, დაკარგა, თუ ვინმეს მისცა... არა, ათასჯერ რომ დამაბრალონ, მაინც არ ვიტყვი, ვაჟას სახელს არ ვახსენებ... აი, თვითონაც აქ არის და, თუ უნდა, თავად გამოტყდეს».

ვაჟა დინჯად, თითქოს აუღელვებლად იდგა და ფიქრობდა: «სათვალე რომ დავუბრუნე, თავისი ოთახისკენ გაეშურა, დავინახე კიდეც, კარი როგორ შეაღო, მერე დერეფანში შუქიც ჩაქრა... მაინც საიდან უნდა გაჩენილიყო ეს სათვალე აკვარიუმთან?»

«მაშ, ასე... სათვალე რომ გაჩუქე არ ამხელ, არა?!» — ისევ ვაჟას მოუბრუნდა თეონა ფიქრით და ის იყო უნდა ეთქვა, სათვალე ვაჟას ვაჩუქეო, რომ უცებ მიხვდა, ლაშა ახლა ვაჟას მიდგებოდა და ბავშვების წინაშე შეარცხვენდა... — «არა, არა, მე ვერ ვიტყვი, თვითონ თქვას», — თავის თავს შეეწინაღმდეგა თეონა. მისი სიჯიუტით გაბრაზებულმა ლაშამ კბილებში გამოსცრა:

_ ცრუპენტელავ!

* * *

მომხდარით გაოგნებული თეონა სამკითხველოს ოთახში შევარდა, სკამზე ჩამოჯდა და ატირდა. ტირილით გული რომ იჯერა, თვალები ამოიწმინდა, ლიტერატურული ჟურნალი გადაფურცლა და ერთგან ამოიკითხა: «ცუდი დაკარგავს მეგობარს».

«ცუდია ლაშა? — ჩაესმა მონადირე ბიჭის ხმა.

«ამას შენ მეკითხები, მონადირე ბიჭო?.. ყველაფერი ხომ მოისმინე? — წაიჩურჩულა თეონამ, — მაშ რაღად მეკითხები?»

«აკვარიუმი ლაშამ გააკეთა, ელოლიავებოდა... ამ დილით კი დანგრეული დახვდა... არ უნდა სწყენოდა?»

«რა ჩემი ბრალია, ხომ გჯერა, რომ მე არ დამინგრევია?

«მჯერა!»

«ლაშას კი გულმა ერთხელ მაინც არ უკარნახა, რომ ასეთ რამეს არ ჩავიდენდი?»

«ეგონა, რომ საიდუმლო მხოლოდ შენ იცოდი».

«იქნებ სხვებმაც შეიტყვეს ან იქნებ ის აკვარიუმი ვიღაცებმა შემთხვევით ნახეს?»

«იქ შენი სათვალე ეგდო...»

«მაშინ, ცალკე გავეხმე, ეკითხა... რაღა ქვეყანა შემიყარა? ცრუპენტელაო, შურიანიო, და რა არ მიწოდა... რადგან თქვა, ალბათ, სჯერა კიდეც».

«ვაჟას რომ უსაყვედურე, ავგულა, ყოყოჩა და ბრიყვი ხარო, ეგ რას ნიშნავდა, დაფიქრდი, მართლა ასეა?»

«უჰ! — შეწუხდა თეონა, — ნეტა დაიჯერა, რომ გულით ვუთხარი? ის არც ავგულაა, არც ყოყოჩა, არც ბრიყვი. უნებურად წამომცდა...»

«მერე და, რატომ?»

«იმიტომ, რომ მაწყენინა!.. ჩვენ შორის დარჩეს და ეს ყველაფერი პირში რომ მივახალე, ახლა არც ვნანობ... ის კი არა, ერთსაც დავამატებდი... საპნის ბუშტი ხარ-მეთქი. იცი, რატომ? სათვალე ხომ დავუბრუნე... რატომ გაჩუმდა, რატომ არაფერი უთხრა ლაშას?.. რაო?.. გული რას მეუბნება?.. კარგი, გეტყვი... ვაჟა არც აკვარიუმს, არც იმ რიყის კენჭებით აშენებულ ცეროდენა სახლებს არასოდეს დაანგრევდა. იქნებ სათვალეც შემთხვევით ამოუვარდა ჯიბიდან და სხვამ ნახა?

«მერე?»

«რა მერე?.. თუ ასეა, ამდენი საწყენი სიტყვა რომ ვუთხარი, ვაჟა კი არა, მე ვარ ცუდი».

«თუ დაკარგა, ეთქვა. ბავშვებში რაღად შეგარცხვინა?»

«აბა, რა ვიცი მონადირე ბიჭო, აქ მგონი სხვა რაღაცაა». — მთლად ვერ გაიმეტა თეონამ ვაჟა.

«შენ ხომ გჯერა, რომ მართალი ხარ?»

«როგორ არა, მაგრამ სხვებმა რომ არ იციან, მაწუხებს».

თეონას გულზე ნისლივით მოედო სევდა და ისევ ატირდა. ანაზდად, კურცხალი ჟურნალის ფურცელს დაეცა. ნაწერი არ დაითხუპნოსო, შეშინდა. ფურცელი გადაშალა. «პატიება», ასე იყო დასათაურებული ვიღაცის წერილი. სულმოუთქმელად ჩაიკითხა... «პატიება უნდა შეგეძლოს...» — გაიმეორა წერილის ნაწყვეტი. მერე მაღლა აიხედა და ჩაფიქრდა.

«კარგად მაინც ვერ გავიგე, რა უნდა აპატიო ადამიანს და რა არა... ან კიდევ, ვის უნდა აპატიო და ვის არა...» — გაუელვა.

ანაზდად, თვალი დიდი ქართველი მწერლების სურათებს მოჰკრა. მზის სხივები დასთამაშებდათ. შეფრფინვით შესცქეროდა სხივეებში ჩაყუჩებულ სახეებს. თავი უკან ისე გადაეგდო, თითქოს ჰაეროვან ამბორს უგზავნიდა მათ. უეცრად კითხვამ გაუელვა: «დიდი ადამიანები ცუდად რომ მოიქცნენ მაშინ?...» და შემკრთალმა გოგონამ თითქოს უსიამოვნო ზმანება მოიცილაო, თვალები დახუჭა.

ცოტა ხანს იყო ასე გარინდული...

«ო, არა, ეს შეუძლებელია, ისინი უღირსს არაფერს ჩაიდენენ!» — გულში შეჰყვირა და თვალები სწრაფად გაახილა. ისევ მზის ოქროსფერ სხივებში ლივლივებდნენ მწერლების სურათები — «უჰ!» — შვებით ამოისუნთქა გოგონამ და სახე ისე გაუცისკროვნდა, როგორც ღრუბლიან ცას მზე რომ

დახედავს ხოლმე. მოეჩვენა, რომ მათ ბაგე გახსნეს, ღიმილი გადმოაბერტყეს და ლოცვასავით დაიჩურჩულეს, «პატიება უნდა შეგეძლოს...» თეონამ წამწამები დააფახულა და ზმანებაც გაქრა.

«პატიება უნდა შეგეძლოს...» — გაიმეორა გოგონამ და უცებ ვაჟა გაახსენდა. ახლა სინანულითა და სინაზით ფიქრობდა მასზე. საყვავილედან ღერი გვირილა ამოიღო. — «ვაპატიო?.. ჰო თუ არა...» — ერთმანეთის მიყოლებით წყვტდა ფურცლებს. ბოლომდე არ იყო ჩასული, როცა მოეჩვენა, რომ თითქოს კარი შემოაღეს და შემოსძახეს:

«აი, ეს გოგოა, ამან დაანგრია ლაშას აკვარიუმი».

«ი-ი, ერთი შენც ყოფილხარ, რაღა!..» — დასცინეს.

«შურიანო და გამცემო!» — უძახეს.

შეკრთა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი სამყარო აუმხედრდა და გაებუტა.

«წავალ, ვნახავ ვაჟას», — გაიფიქრა და ეზოში გაიჭრა. იქვე ჭიპიტოს მოჰკრა თვალი და მიახლოება ანიშნა.

_ რა იყო?

_ ვაჟა სად არის?

_ არ ვიცი, გინდა მოვძებნო?

_ ჰო, უთხარი, გეძებს-თქო, აღარ ვბრაზდები შენზე-თქო... არა, ეგრე კი არა, ვითომ შენ ეძებ... — თავგზა აებნა გოგონას.

_ გავიგე. — გაიღრიჭა ჭიპიტო და ადგილს მოსწყდა.

თეონამ უცებ წარმოიდგინა: აი, მივიდა ჭიპიტო და დანაბარები გადასცა. ვაჟა ამაყად გაიჯგიმა და ძმას ცერად გახედა.

«შენ რა, ფოსტალიონი ხომ არა ხარ?.. არსადაც არ წავალ, ამის საჭიროებას არ ვხედავ!..»

«ეს რა ვქენი!» — შეწუხდა თეონა და ჭიპიტოს ძახილით გამოეკიდა.

_ რა იყო?

თეონამ ჯიბიდან ფილა შოკოლადი ამოიღო, — ეს უნდა მიმეცა და... იმიტომ მინდოდა ნახვა, — იცრუა, — ნახევარი შენ მოიტეხე, ნახევარი იმას მიეცი, კარგი?..

იმ ღამეს თეონა იმის ნატვრაში იყო, გაეგო ჭიპიტომ შოკოლადი რომ გადასცა, გაიღიმა თუ არა ვაჟამ.

«ნეტა თუ სძინავს? — დაიჩურჩულა.

ფიქრები თავისთავად აწრიალდნენ და გოგონაც გაიყოლეს ოცნებათა ბილიკებზე, რომელზეც ხან ნისლი გადაივლიდა, ხან კი მზის სხივები ათინათდებოდნენ.

ვაჟა რომ გაიცნო ის დღე გაახსენდა... მის ძმებს ადრეც იცნობდა, «რომანტიკოსთა სასახლეში» დადიოდნენ.

«ვაჟამ გვიამბო...»

«ვაჟამ თქვა...»

«ვაჟამ რომ წიგნში წაიკითხა...»

«ვაჟა გვეტყვის...» — ამბობდნენ ძმები.

« ნეტა, რანაირია?..» — ფიქრობდა მაშინ გოგონა. როგორც კი ნახა, მისმა ოდნავ სევდიანმა, ფიქრიანმა გამოხედვამ მოხიბლა. დასასვენებელ სახლში

მისი გამოჩენა უხაროდა. დაინახავდა თუ არა, მისკენ გარბოდა, რაღაცას მოიმიზეზებდა და გასძახებდა:

_ მოდი, რა გაჩვენო!.. ნახე, რა ლამაზია!.. — და მდინარის პირას ნაპოვნ კენჭს დაანახვებდა. ზოგჯერ მუჭს გაუშვერდა.

_ თუ იცი მუჭში რა მაქვს?

_ ჭიამაია.

_ არა.

_ პეპელა.

_ არც ეგ.

_ მაშ?

_ ციცინათელა! წუხელ დავიჭირე, ვაჟას ვანახებ-მეთქი და ნახე, რანაირია.

თეონამ ისიც გაიხსენა: ლაშქრობაზე იყვნენ... მთელი გზა ვაჟას მხარდამხარ მიდიოდა...

_ შეხედეთ, კლდეზე რა ლამაზი ყვავილებია! — დაიძახა ვიღაცამ.

ბავშვები შედგნენ.

_ უჰ, მართლა რა ლამაზია!

_ მოიცათ! — წამოიძახა და ვაჟა მათ მოსაწყვეტად ფლატეზე დაეშვა.

_ ნელა, არ გადაიჩეხო! — შესძახა დათო მასწავლებელმა.

ქვევით ხმაურით მიედინებოდა მდინარე. თეონამ ფლატეებს თვალი ჩააყოლა და გული შეუქანდა.

«ფეხი არ დაუსხლტეს... ან..!» — შეშფოთდა თეონა და თვალი დახუჭა.

Uუეცრად, ვიღაცამ ხელი ჰკრა და უკან მიაგდო. თეონამ თვალი გაახილა. მის წინ ვაჟა იდგა.

_ რომ გადავარდნილიყავი?!. — უსაყვედურა.

«ნეტა, მაგ ყვავილებს ვის მიაწოდებს?» — უშფოთველად გაიფიქა გოგონამ.

ვაჟამ ტანსაცმელი ჩამოიბერტყა, თეონას ჩაუარა და ყვავილები ლალის მიაჩეჩა.

— მეე? — მოულოდნელობისაგან აღმოხდა ლალის და სახე სიამოვნებისაგან გაებადრა...

ერთხელ ვაჟა დასასვენებელ სახლში ამოვიდა და შემწყვარი სოკოები ამოიტანა.

_ აჰა, ვიცი, რომ გიყვარს. თავად დავკრიფე და თავად შევწვი, — უთხრა და ქაღალდში გახვეული შეკვრა გაუწოდა.

თეონამ თავი ჩაღუნა. როცა თავი ასწია, მზეს შეხედა და ერთი კი არა, ცხრა თვალი დაინახა, ცხრა გიზგიზა და ელვარე თვალი.

საიდუმლოს ფარდა ეხდება

_ რატომ მოხვედი? — გადმოხედა ორთვალას კოფოზე ჩამომჯდარმა ვაჟამ თეონას.

_ ფიჩხის შეგროვებაში მოგეხმარები, — უთხრა თეონამ და გვერდით მიუჯდა.

_ როგორმე თავადაც მოვახერხებ. აგერ, გაღმა დავაგროვე, გავალ და დავუდებ, — წარბშეკვრით უპასუხა ბიჭმა და ცხენს წკეპლა გადაჰკრა.

ორთვალა დაიძრა. კარგა ხანს უხმოდ მიდიოდნენ.

_ შოკოლადი რომ გამომიგზავნე, რა პატარა მე მნახე? — დაარღვია სიჩუმე ვაჟამ.

_ რა ვიცი, ერთხელ ზღვის ნიჟარებში კი გამიცვალე და...

_ ყველაფერზე მზად გაქვს ხოლმე პასუხი! — ისე მიუგო, არც კი შეხედა გოგონას, მედიდური იერი მიიღო.

— შე სამგლევ, შენა, რა ზანტად მიათრევ ფეხებს, აჩუ! — ასაკოვანი კაცივით გაუწყრა ცხენს.

_ უფროსებმა ორთვალას წამოყვანა არ დაგიშალეს?

_ ჰმ, — ჩაიცინა ვაჟამ, — პირველად ხომ არ ვზივარ?.. — არც ახლა შემოხედა თეონას. ისე იქცეოდა, თითქოს მის გვერდით არავინ მჯდარიყო.

_ ასე უკმეხად რატომ მელაპარაკები?.. უკვე აღარ ვბრაზობ შენზე.

_ შენ უნდა ბრაზობდე, თუ მე?

_ შენ რატომ?

_ რაც მაშინ მითხარი, დაგავიწყდა?

თეონას კარგად ახსოვდა, რაც უთხრა და წამით დაიბნა. მერე კი გაუბედავად გაუღიმა.

_ რას გეღიმება, ისე შემამკე, შენთან ლაპარაკიც არ მსურს.

_ მართალს აბობ?

_ ეჭვი გეპარება? — ვაჟამ ცხენი შეაჩერა, ორთვალადან გადავიდა და ზედ ფიჩხის დაყრა დაიწყო.

_ რაკი ასეთი დიდგულა ხარ, აღარც მე დაგელაპარაკები! — უპასუხა თეონამ და უცებ წარმოიდგინა, რომ ვაჟა აღარასოდეს იმეგობრებდა მასთან, აღარასოდეს მოუყვებოდადა წაკითხულ წიგნებზე, ერთად აღარ წავიდოდნენ ჭინკების გორაზე, აღარ აივლიდნენ თასმასავით დახვეულ ბილიკს და კოცონთან მიმსხდარნი აღარ დაელოდებოდნენ მზის ამოსვლას...

«აღარ!.. აღარ!..» — შესძრა ამ სიტყვამ გოგონა და ვაჟამ ფიჩხით სავსე ორთვალა რომ დასძრა წაილუღლუღა:

_ შევრიგდეთ რა!

_ ჩემთან მეგობრობა რად გინდა, მე ხომ ყოყოჩა, დიდგულა და ბრიყვი ვარ!..

— გავბრაზდი და წამომცდა... ლაშა აკვარიუმის დანგრევას რომ მაბრალებდა, რად არ ამოიღე ხმა?.. ის სათვალე ხომ შენ ჩაგიდე ჯიბეში?

_ მეე? — გაიკვირვა ვაჟამ.

_ დიახ, შენ!

არც ერთი არ ეჭვობდა, რომ მაშინ სათვალე ძირს დავარდა.

_ ესე იგი ფიქრობ, რომ მივედი იქ, დავანგრიე აკვარიუმი და სათვალეც მაშინ დამეკარგა, არა?

«არა, ამას არ იზამდი, შენ ასეთი არა ხარ!» — გაიფიქრა თეონამ, ხმამაღლა კი თქვა, — ალბათ!

_ ასე, ხომ?!. — გახელდა ვაჟა და ცხენი შეაჩერა. — ახლავე, ახლავე გადადი! — მკაცრად მიახალა.

გოგონა პირველად ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა, მაგრამ მუქარას ბრძანებაც რომ მოაყოლა, გაოცდა და ადგილიდან ვერ დაიძრა.

_ გადადი, მაგვიანდება... ჯერ «ციცინათელაში», მერე შინ დროზე ვარ მისასვლელი, არ გესმის?!

გოგონას იმის ფიქრის თავიც არ ჰქონდა, სად აგვიანდებოდა ვაჟას ან ვინ ელოდა. მხოლოდ ერთი სიტყვა უწიოდა ყურში: «გადადი!»

_ არ გესმის?! — თავისას არ იშლიდა ბიჭი და წკეპლას ჰაერში ატრიალებდა.

თეონამ გაოცებით შეავლო თვალი ვაჟას. ძალზე შორეულად, უცხოდ მოეჩვენა იგი და ორთვალადან გადავიდა...

საავდროდ მოქუფრულიყო ცა. ბინდდებოდა. დასასვენებელ სახლამდე კარგა მანძილი დარჩენოდათ.

_ რა უჟმური ხარ! — ისე ხმამაღლა შესძახა თეონამ, ცხენი დაფრთხა და ყალყზე შეიმართა.

ვაჟამ თითქოს ბზიკებივით შესეული ფიქრები მიმოფანტაო, თავი ძალუმად გაიქნია, აღვირი დაქაჩა, ცხენს გაუწყრა და გოგონასკენ გაუხედავად დასძრა ორთვალა.

იქუხა. ცამ პირი მოიხსნა. თეონა ადგილს მოწყდა და ვაჟა და მისი ორთვალა უკან მოიტოვა.

თავსხმა წვიმას «ციცინათელაში» ძლივს შეასწრო თავიდან ფეხამდე გალუმპულმა გოგონამ.

ღამით სიცხემ აუწია. ლელა ექიმმა რაღაც ნაყენით ფეხისგულები და ტანი დაუზილა, აბები გადააყლაპა, მის სასთუმალთან გამთენიამდე იჯდა, დილით კი სანიტარულ ოთახში გადაიყვანა. Pპირველმა, ვინაც ინახულა, მისი ჯგუფის ხელმძღვანელი ნანა იყო.

_ ფიჩხისთვის ასე შორს რამ წაგიყვანა შე ცუგრუმელა, შენა! — მიესიყვარულა ნანა, — თუ გინდა, რომ ზეიმს დაესწრო და სტუმრებს შეხვდე, დღეს ნუ ადგები.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარში ძია სერგომ ღიმილით შემოანათა.

_ გავიგე, ავად არისო და მაშინვე წამოვედი... აბა, თუ მიხვდები რა მოგიყვანე?

თეონას თვალში მოხვდა ძია სერგოს გამობერილი ხალათი.

«ნეტა რა უნდა მოეყვანა?» — გაიფიქრა და ძია სერგომაც უბიდან თავი ამოაყოფინა დამფრთხალ ბაჭიას, რომელმაც თავისუფლებით ისარგებლა, ისკუპა და საწოლქვეშ შეძვრა

_ არიქა, კარი მიხურეთ, არ გაგვექცეს! — დაიძახა ძია სერგომ.

თეონას წუთით წინა დღის წყენაცა და ავადმყოფობაც მიავიწყდა და ლოგინიდან წამოიჭრა.

_ აჰ, აჰ, ჩაწექი! — ხელი გაასავსავა ლელა ექიმმა, — თორემ შენს სანახავად აღარავის შემოვუშვებ.

გოგონა ლოგინს მორჩილად დაუბრუნდა.

_ ამ ბაჭიას შენს სახელზე ბუნებამცოდნეობის კუთხეს ჩავაბარებ და კარგად რომ გახდები, თვითონ მოუარე... აქეთ რომ მოვდიოდი, შენი პატარა მეგობარი — ზაზა ამედევნა, აქ დამიცადეთო, შემეხვეწა, გაიქცა, მზესუმზირა მოარბენინა და ჯიბე ამივსო, თეონას წაუღეო, თან დამაბარა, გამიგე მისი ნახვა თუ შეიძლება, რაღაცა უნდა ვუთხრაო, — სიცილით თქვა ძია სერგომ.

_ მერე და ვინ უშლის, მოვიდეს! — დააბარა წასასვლელად გამზადებულ ძია სერგოს ლელა ექიმმა.

_ ბოლო დროს ძალიან გაუნაწყენდით «სასახლეს», აი! — გადმობერტყა თავისი უხვი ღიმილი ძია სერგომ. მერე მეჩქარებაო და წავიდა.

ის იყო, ძია სერგო გავიდა და კარში თავი შემოჰყო ზაზამ. ფარფლებიანი ქუდი მოიხადა, მიესალმა თეონას, საწოლთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა, იღლიაში ამოჩრილ ჭრელა-ჭრელა სათამაშო ფინიას თვალებზე ჩამოფხატული ბეწვი გადაუწია და დაანახა გოგონას.

_ მოგწონს?

_ რა ლამაზია! — სათამაშოს ხელი გადაუსვა თეონამ.

_ ჰოდა, შენ გქონდეს.

_ არა, ასეთ საჩუქარს ვერ გამოგართმევ.

_ ზაზა! — ჩაერია საუბარში ლელა ექიმი, — დედაშენი რომ ამოვა, შეუთანხმდი და მერე აჩუქე, კარგი?

_ დედაჩემი არაფერსაც არ დამიშლის...

Uექიმი მას ღიმილით უსმენდა.

_ ზაზა, მგონი რაღაც უნდა გეთქვა! — კითხა თეონამ, როცა მარტო დარჩნენ.

— წუხელ დამალობანას ვთამაშობდით. დიდი ხის უკან დავიმალე. შენი სახელი ახსენეს და გავიტრუნე. გელა და კიაზო იქვე ახლოს იყვნენ და თავიანთთვის საუბრობდნენ... — თეონას დააბრალეს? ეგრე მოუხდება, კედლის გაზეთში რომ გამხატეს და ჩემზე სისულელეები დაწერესო! — წამოიძახა კიაზომ. ბიჭოს, რა გაბრაზებული იყო ლაშა, კინაღამ გაგიჟდა, ჰქონოდათ ის აკვარიუმია თუ რა ვიცი, რაზე ვუნგრევდითო, — გელამ. მერე ყველანი მოგვდგებოდნენ, აი, თქვე დოყლაპიებო და უმაქნისებო, მეორე და მესამე ჯგუფელებმაც კი გაჯობესო, უპასუხა კიაზომ... თურმე იმ საღმოს შენი და ლაშას საუბარი გაუგიათ და...

— აი, რა ყოფილა! — თვალები გაუფართოვდა თეონას, — მერე, მერე?..

_ დაგასწარი, დაგასწარი, გამოდი, ხის უკან ხარო! — დაიყვირა ამ დროს ლალიმ.

_ რომელი ხარ მანდ, ახლავე გამოდიო! — დამიძახა კიაზომ და წამში ჩემთან გაჩნდა, — რას დაძვრები აქ? ყველაფერი გაიგონე, ხომ? — შემომიბღვირა.

_ რა უნდა გამეგო? — ძლივს ვუპასუხე შეშინებულმა.

_ იცოდე, თუ ვიმნესთან რამე გითქვამს და ცოცხალი ვერ გადაგვირჩები. გაიგე?! — თვალები დამიბრიალა.... რატომ დიდი და ღონიერი არა ვარ-მეთქი, ვნატრობდი... ისე შემაშინეს, წუხელის ვერ გავბედე მოსვლა. ღამით ჩემს თავს გამოვუტყდი, ლაჩარი ხარ-მეთქი!.. ავად რომ გახდი, მაშინ ძალიან შემეცოდე. როცა დაგაბრალეს, მაშინაც შემეცოდე, მაგრამ ახლა სულ სხვაა... მცემენ, ხომ არ მომკლავენ?..

თეონა დიდხანს იყო ჩაფიქრებული. ზაზას თავი ჩაეღუნა და გაუნძრევლად იჯდა. ხმას რომ არ იღებს, ალბათ, მიწყრებაო, — ფიქრობდა. მერე დუმილს ვეღარ გაუძლო.

_ ცუდად მოვიქეცი, არა?..

_ მე რომ არ დამინგრევია და მართალი ვარ, უთხარი ვიმნეს?

_ არა, პირველად შენთან მოვედი... ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ის სათვალე კიაზოს გზაში უპოვია. მერე აკვარიუმს რომ ანგრევდნენ, იქ დავარდნია.

_ ეგ, ეგ... როგორ გავიწყდებოდა?! — ლოგინიდან წამოიმართა სახეზე ღიმილმოფენილი თეონა, — იჩქარე, ვაჟა ნახე და ყველაფერი უამბე. გამეგზავნები?!. — ხმაში მუდარა ჩააქსოვა გოგონამ.

_ ახლავე! — თეონა არ მიწყრებაო და ზაზა სიხარულით წამოიჭრა სკამიდან.

შემდეგი სტუმარი ლაშა იყო.

_ ავად რომ ყოფილხარ, გავიგე და მოვედი... იცი რა, — დაიწყო ტკეპნით, — აი, მაშინ, ფერდობზე სანამ დაგორდებოდი, დავინახე სათვალე ვაჟას როგორ მიეცი, ისიც...

_ იცოდი და მაინც დამაბრალე?! — გაოცდა თეონა.

_ ჰო, შენზე ჯავრი ვიყარე... თანაც მინდოდა დარწმუნებულიყავი, რომ არც ისეთი უდანაშაულოა ის შენი ვაჟა...

_ ტყუიხარ... იმან სათვალე დაკარგა, მერე კი სხვებმა იპოვეს!

გოგონამ ზაზას ნაამბობი მოუყვა. ლაშას საქციელი წაუხდა.

_ მაპატიე! — ძლივს წაილუღლუღა.

_ თუ ყველას სათითაოდ დაუვლი და სიმართლეს ეტყვი, ვნახოთ.

«კიაზო მიმბეგვავს!» — მწარედ გაიფიქრა ლაშამ. ერთხანს ხმაგკმენდილი იჯდა, მერე ადგა და ოთახიდან თავჩაღუნული გაიძურწა.

ზაზამ კი ეზოში ფეხი ჩადგა თუ არა, ყველას სიტყვა-სიტყვით ჩაუკაკლა «საიდუმლო».

_ უჰ, მთავარი დამავიწყდაო, — გაახსენდა ბოლოს და ვაჟას მოსაძებნად გაიქცა.

რამდენიმე წუთს არ გაუვლია, რომ თეონასთან ბავშვები შემოცვივდნენ.

_ ნეტა რა მოელანდათო! — გაიოცა თეონამ და მათ მომღიმარე სახეებს შეაცქერდა.

ყველანი ისეთი უწყინრი გამომეტყველებით შეჰყურებდნენ, გეგონებოდა, არასდროს ბრაზდებოდნენ.

«აბა, სინჯე და რომელიმე მათგანს, თუნდაც უნებლიეთ აწყენინე. მაშინვე თავაზიანობა დაავიწყდებათ და გაავდებიან...»

«ახლავე გადადი, გესმის?!» — ჩაესმა უცებ ვაჟას ხმა.

თეონას ცივმა ოფლმა დაასხა.

კარი ნინომ შემოაღო.

_ შემოდი! — შეეხმიანნენ ბავშვები.

_ სიცხე კიდევ აქვს?!

_ დაუკლო...

_ აგერ, რა შენ მოგიტანე, — თქვა და ნინომ თავისი ხელით ნაქარგი ააფრიალა.

თეონამ ღიმილით ჩამოართვა და დახედა.

«რა ცუდი ნაქარგია?!» — გაიფიქრა, მაგრამ, ნაჭერი მეორე მხარეს რომ გადაატრიალა, — კარგი პირი აქედან არ ყოფილაო? — თქვა ხმამაღლა და ლოგინზე გაშალა.

— ყველაფერს ორი მხარე აქვს. მთავარია, საიდან შეხედავ, — ღიმილით დაუმოწმა ლელა ექიმმა, — ასევეა დღევანდელი თქვენი სტუმრობაც... კარგია რომ მეგობარი ინახულეთ, მაგრამ თუ არ დაასვენებთ, ცუდი იქნება.

ბავშვები წამოიშალნენ და ოთახიდან გაიკრიფნენ.

მარტო დარჩენილი თეონა ფიქრმა წაიღო... «ყველაფერს ორი მხარე აქვს, მთავარია საიდან შეხედავ,» — გაიმეორა თავისთვის და საქმეში გართულ ლელა ექიმს ჰკითხა, — ადამიანსაც ხომ აქვს კარგი და ცუდი მხარე?

_ რა თქმა უნდა! თუ ვინმეს კარგი მხრიდან შეხედავ, მასში კარგს დაინახავ, თუ ცუდიდან — ცუდს. მთავარი კი იცი რა არის?.. ადამიანის სიყვარული.

«მთავარი თურმე ადამიანის სიყვარული ყოფილა!» — გაიფიქრა თეონამ და მისი ფიქრი ისევ ვაჟას გადასწვდა. «ალბათ, ორთვალადან რომ დამითხოვა, დარდობს. რცხვენია და ჩემს სანახავად ვერ მოდის. რა მოხდება, შევუთვლი, რომ მოვიდეს. წერილს გავუგზავნი, ზაზას გავატან,» — გადაწყვიტა, მაშინვე ბარათი დაწერა და წიგნში ჩადო.

«არ უნდა მოსულიყო? ყველამ მნახა, ის კი ახლოსაც არ გამეკარა. ნუთუ ასე ვაწყენინე?» — გაიფიქრა გულდაწყვეტილმა და ბალიშის ქვეშ ამოდებული სალამური გამოაძვრინა. «ნეტა შემეძლოს დაკვრა, წიქარას მეგობარი ბიჭივით ავაკვნესებდი და ჩემს მეგობარს წამსვე აქ გავაჩენდი. მოვა კი?.. ავგულა ხარ, ტრაბახა, ყოყლოჩინა-მეთქი... მაინც რამ მათქმევინა... ნუთუ არ მოვა?» — აწრიალდა ლოგინში.

ლელა ექიმმა სიცხე რომ გაუზომა, შეფიქრიანდა და გვერდით მიუჯდა.

თეონას გულს ტალღასავით მოასკდა სურვილი, რომ ამ წუთას ვინმეს საალერსო სიტყვა ეთქვა მისთვის, მოფერებოდა.

_ შინ ხომ არ გინდა წასვლა? — თავზე ხელი გადაუსვა ლელა ექიმმა და თმაში თითები შეუცურა.

თეონას ერთბაშად მოენატრა დედა, მამა, ბებო. გაახსენდა თოჯინა მზექალა, კაჭკაჭი და მურა, ეზოში მოკრიახე ქათმებიც კი.

ტირილი მოუნდა, მაგრამ ლელა ექიმის შერცხვა. ცრემლი რომ დაემალა, თვალები დახუჭა და გვერდზე გადაბრუნდა. ფიქრებით დაღლილს მალე ჩაეძინა.

როცა გაეღვიძა, ოთახში მარტო იყო. ბარათი გაახსენდა.

«უნდა დავხიო, თუ უნდა, ისედაც მოვა», — გაიფიქრა და მაგიდიდან წიგნი აიღო. ფურცლა, ფურცლა, მაგრამ ბარათი ვერა და ვერ იპოვა.

«ნეტა სად წავიდა? ხომ არავინ შემოვიდა და აიღო?» კიდევ დაძებნა, საწოლის ქვეშაც შეიხედა. «არა, მაინც სად გაქრა?!» — უკვირდა გოგონას.

ლ ა შ ა

გავიდა რამდენიმე დღე. ძია რეზომ კლუბში ქალაქიდან ჩამოსული სტუმრების თანდასწრებით სიგელები გადასცა დასასვენებელი სახლისა და სოფლის იმ ბავშვებს, ვინც შრომაში თავი გამოიჩინა.

პირველი სიგელი ვაჟას გადასცეს. იმავე დღეს ჯგუფის ახალ ხელმძღვანელად ლაშა აირჩიეს.

ლაშამ ყოჩივით მოიღერა კისერი და თვალი თეონასაკენ გააპარა.

თეონამ დაიჭირა ლაშას მედიდური გამოხედვა და ჩაფიქრდა.

_ კიდევ ერთი საკითხი! — ჩაესმა თეონას დირექტორის ხმა, — «რომანტიკოსთა სასახლის» არსებობა არავისთვის საიდუმლო არაა. ეზო გავადიდეთ, ღობე განვაახლეთ. «სასახლე» თავის მუშაობას ძველებურად

გააგრძელებს, მის გამგებლად ისევ ბატონი სერგო დარჩება, დღეიდან კი ის «ციცინათელას» საპატიო წევრი იქნება!

გაისმა ტაშის ხმა... ძია სერგოს ბავშვები ულოცავდნენ და კოცნიდნენ. გულაჩვილებულს თვალები აუწყლიანდა. ხელები ისე გაშალა, თითქოს ყველა ბავშვის გულში ჩაკვრა უნდოდა და როცა სხვა ვერაფერი მოახერხა, ესღა თქვა: — გპირდებით, რომ მალე, «რომანტიკოსთა სასახლეში» უჩვეულო საღამოს გავმართავ, მასპინძლობას ძველი წევრები, თორმეტი ვაჟი და ერთი გოგონა გაგიწევთ. მაშ ასე, გვეწვიეთ ზეიმზე!

ძია სერგოს ხმა ბავშვების ყიჟინმა და საზეიმო მუსიკამ დაფარა.

ამ დროს თეონა მოწყენილი იჯდა და დარბაზის ჟრიამული თითქოს არც ესმოდა.

_ რატომ მოიწყინე? — ჰკითხა გვერდით მჯდომმა ნინომ.

_ თვითონაც არ ვიცი... — დაბნეულად უპასუხა თეონამ.

_ გინდა რაღაც გითხრა? — ონავრული გამომეტყველებით თქვა ნინომ, დაიხარა და ჩურჩულს მოჰყვა.

თეონას სახეზე ალმურმა გადაჰკრა.

_ ჩემი წერილი?! — წამოიძახა მოგვიანებით.

_ ჰო, ლაშამ ბავშვებს წააკითხა. ავად რომ იყავი, შენთან პალატაში შესულა. გძინებია. წიგნი აუღია და იქიდან ამოცურებულა.

თეონა ახლაღა მიხვდა წერილის გაქრობის მიზეზს. გულში რისხვა დაუტრიალდა. უნდოდა სასწრაფოდ ენახა ლაშა და რასაც მასზე ფიქრობდა, პირში მიეხალა, მაგრამ ის იყო, სპორტული ასპარეზობა დაიწყო და თეონა ჯერჯერობით ლაშას ვერ დაიმარტოხელებდა.

ბავშვებში საუკეთესო სპორტსმენად ბაკური ითვლებოდა, მაგარმ დღეს ჯანმრთელობის გამო ასპარეზობაში მონაწილეობას არ იღებდა. ლაშამ იდროვა და ყველა დაჯაბნა სირბილში, სიმაღლეზე ხტომაში, ღერძზე ვარჯიშშიც. გაამაყებული ყინჩად გახედავდა ხოლმე ჯგუფელებს.

_ ასე არ ივარგებს, ცოტა შევისვენოთ, — თქვა დათო მასწავლებელმა და სასტვენს ჩაჰბერა, — თხუთმეტწუთიან შესვენებას ვაცხადებთ.

ბავშვები სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ.

თეონა სპორტული დარბაზის შესასვლელთან კიბეზე ჩამომჯდარიყო და მიწას ჩასჩერებოდა.

_ რაზე ფიქრობ? — ჰკითხა მიახლოებულმა ლაშამ.

თეონამ თავი ასწია და ის იყო, რაღაც უნდა ეთქვა, რომ ვაჟა შენიშნა და თვალები გაუცისკროვნდა. ლაშას ეგონა, ჩემმა მოსვლამ გაახარაო და გაღიმებულმა ზურგსუკან დამალული კესანეს პაწია თაიგული გაუწოდა.

_ უტიფარო! — მოესმა ლაშას. უკან რომ მიიხედა, ვაჟას რისხვით ანთებულ თვალებს წააწყდა.

_ ენა დაიმოკლე! — შეუბღვირა ლაშამ.

_ ენა მე კი არა, შენა გაქვს დასამოკლებელი...

_ რისი გულისთვის?

_ თეონას წერილი რომ მოპარე და ყველას წააკითხე.

ამას კი აღარ მოელოდა ლაშა. წუთით შეცბა, მერე გონს სწრაფად მოეგო და თავის დაძვრენა სცადა.

_ აბა, დამისახელე ვის წავაკითხე!

_ ეჰ, რა უნდა გელაპარაკო, მეცოდები! — დამცინავად უთხრა ვაჟამ და გატრიალდა.

ღამდენიმე ხანს სირცხვილის გრძნობას ამაოდ ებრძოდა ლაშა.

_ დედალო! — მიაძახა ბოლოს გამწარებულმა.

_ კრივი დაიწყება და გაჩვენებ, რა დედალიცა ვარ! — არც მობრუნებულა, ისე უპასუხა ვაჟამ.

რამდენიმე წუთში ორივენი რინგზე იდგნენ...

სპორტული ასპარეზობები რომ დამთავრდა, ბავშვები ეზოს მოედვნენ. კრივში დამარცხებული, ნირწამხდარი ლაშა ფანჩატურის წინ სკამზე ჩამომჯდარიყო და ცხვირზე ხელს ისვამდა.

_ გტკივა? — ჰკითხა თეონამ, — არაფერია, მალე გაგივლის.

ლაშამ იხტიბარი არ გაიტეხა და ჩაიბურდღუნა:

_ რა იყო, დამცინი?

_ სრულებითაც არა. უბრალოდ, სხვასაც ასე რომ უფრთხილდებოდე, არაფერი დაშავდებოდა.

ლაშა მიხვდა, რასაც გულისხმობდა თეონა და თავი ჩაღუნა.

_ შენ მართლა კარგი გოგო ხარ! — გაისმა მისი მთრთოლვარე ხმა.

მათ ახლოს, ფანჩატურში ვაჟა ისვენებდა. ლაშას ბოლო სიტყვებს ყური მოჰკრა თუ არა, სკამიდან წამოდგა და ფანჩატურიდან გავიდა.

_ ვაჟა! — დაუძახა თეონამ.

ბიჭმა ცერად გამოხედა. ნიავი გოგონას უკან გადაყრილ, სწორ თმას ტალღასავით შლიდა.

_ ავად რომ ვიყავი, არ იცოდი? — გაუღიმა თეონამ.

იცოდა ვაჟამ, ყოველდღე ეკითხებოდა ჭიპიტოს თეონას ამბავს, მისი ნახვაც სურდა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა. განაწყენებულმა წყრომა ვერა და ვერ მოინელა.

_ მეგონა მნახავდი...

_ ვითომ, რატომ უნდა მენახე?

_ ნახირს აღარ დაყვები? რამდენჯერ დაგიდარაჯდი, მაგრამ თვალი ვერ მოგკარი...

_ გინდოდა რამე?

_ არაფერი, ისე... შენ რომ გაინტერესებდა, ის წიგნი მომიტანეს და...

_ არ მინდა. სხვაგან ვიშოვი.

_ რაღა სხვაგან, მე მაქვს და მოგცემ.

_ არ მინდა-მეთქი!

რაკი უარი დასცდა, თანხმობის თქმა გაუჭირდა.

_ რა სულელივით იქცევი! — ბრაზი წაეკიდა თეონას.

_ აჰა, კიდევ ერთი სალანძღავი სიტყვა. ამას იქით პირისპირ რომც შემეჩეხო, აღარ დაგელაპარაკები! — წამოენთო ვაჟა და «ციცინათელას» ჭიშკრისაკენ გაემართა.

თეონას წამწამებზე ორი ვეება კურცხალი დაეკიდა.

«იქნებ აღარც მოვიდეს?!» — გაუელვა, ადგილს მოსწყდა, გორაკზე აირბინა და გადაიხედა.

სოფლისაკენ მიმავალ გზაზე არავინ ჩანდა. ქვემოდან ნახირის ბღავილი მოისმა და თეონას გაახსენდა...

ერთხელ, სოკოს საკრეფად ტყეში იყვნენ. წყალი მოსწყურდა თეონას.

_ წამო, დაგალევინებ, — უთხრა ვაჟამ.

წინწკილა წყაროსთან მენახირე ბიჭი საქონელს არწყულებდა. თეონა მიესალმა. ვაჟამ ბიჭს სახე აარიდა და ბალახში ჩაჯდა. მენახირე ბიჭმა გოგონას სალამი დაუბრუნა, ნახირი გაირეკა და წავიდა. თეონამ წყალი შესვა და ვაჟასთან მივიდა. ვაჟას გვირილა ეჭირა.

_ რაღაც მინდა გითხრა, — უთხრა თეონას.

_ რა?

_ ამ ყვავილს ჩავუთქვამ. თუ «ჰოზე» დამთავრდება, გეტყვი, თუ არა და, არა!

_ ჰო? — წააწყვიტა ყვავილს ფურცელი, — არა... ჰო... არა... ჰო...

_ არა! — შეაწყვიტა უკანასკნელი ფურცელი ვაჟამ და თავმოშიშვლებული გვირილა ბალახებში ისროლა.

_ არ მეტყვი? — ჰკითხა თეონამ.

_ არა! პირობა, პირობაა. ახლა კი ზევით ავიდეთ, გველოდებიან, — თქვა და ბილიკს დაადგა...

_ იმ ბიჭს ხომ იცნობდი, რატომ არ მიესალმე?

_ ვემდური.

_ მაინც რატომ?

_ მაწყენინა.

_ როდის?

_ დიდი ხანია...

_ მაინც?

_ ძალიან დიდი ხანია...

_ მერე აქამდე წყენამ არ გაგიარა? — გაიკვირვა თეონამ.

_ არა!

_ უჰ, რანაირი ყოფილხარ! მეც რომ გაწყენინო დიდხანს დამემდურები?

თეონა დაიხარა, გვირილა მოწყვიტა.

«დამემდურება?.. ჰო, თუ»... — წარმოთქვა და ის იყო, ყვავილის ფურცელი უნდა მოეწყვიტა, რომ უცებ მზის სხივებმა თვალი მოსჭრა. ყვავილი გადააგდო, მიტრიალდა და ბილიკზე მიმავალ ვაჟას გაეკიდა.

საღამოვდებოდა. ტყე თითქოს ფეხისწვერებზე იდგა და მზეს აცილებდა. ტოტებაწვდილი ხეები ჩამავალ სხივებს კარის ზღურბლს ფეხგადაბიჯებულ დედასავით ეალერსებოდნენ.

თეონა შედგა, დასავლეთის ჰორიზონტს გახედა.

ცას თითქოს ცეცხლი წაჰკიდებოდა...

უცებ... მეწამულ ღრუბლებიდან დალის სახე გამოცურდა. ოქროსფერი დალალები მზის სხივებს ისე შენივთებოდნენ, ვერ გაარჩევდი, მზეს ადგა ჯიღად დალის დალალები, თუ დალის დალალებს მზის სხივები.

თეონა მონუსხული მისჩერებოდა ზმანებას.

სახენაღვლიანი ჩანდა დალი.

«ჯიხვთა დედოფალო, ახლა უკვე ვიცი, რატომაც სჯიდი მონადირეებს...»

უეცრად, დალის ზურგს უკან თეონამ ლაშას და ვაჟას მოჰკრა თვალი... ბიჭები ერთმანეთს მიუახლოვდნენ, მხარი მხარს მიადეს, თითქოს ერთ არსებად იქცნენ... და დალისკენ დაიძრნენ. ის იყო, მის დალალებს უნდა შეხებოდნენ, რომ მზის სხივებიდან ვიღაც უცნობი გამოცურდა და ბიჭებს გზა

გადაუღობა. ჯიხვთა დედოფალმა უცნობს გაუღიმა და ოქროსფერი დალალებით დამშვენებული თავი მის წინ დახარა.

«ეს ხომ მონადირე ბიჭია!» — იცნო თეონამ და სახე გაუბრწყინდა...

«თეონა! «_ შორეული ძახილი ჩაესმა გოგონას.

ეს დალი იყო, ხელში ვეებერთელა გვირილა ეჭირა და ფურცლავდა.

«სჯერა შენი მონადირე ბიჭს?»

«ჰო!» — უპასუხა თეონამ.

«ხშირად გაწყენინებს ხოლმე?»

«არა!»

«სიყვარული და ერთგულება თუ შეუძლია?»

«კი!»

«საიდუმლო გაუთქვამს ან გაუციხარ ოდესმე?»

«არა».

«თუ აწყენინებ, მოგიტევებს?»

«ჰო!»

«მაშინ ამ კლდიდან მხოლოდ მონადირე ბიჭი დაბრუნდება...»

«ისინი?!» — შეძრწუნდა თეონა.

«უკვე ვთქვი!..» — მკაცრად უპასუხა ჯიხვთა დედოფალმა და გაქრა...

«ნუ, ნუ, დააბრუნე ისინიც!» — უხმოდ შეჰყვირა თეონამ და ფიქრებიდან გამოერკვა.

გაფაციცებულმა გახედა სოფლისაკენ მიმავალ შარაგზას.

_ ვაჟაა! — გულამოსკვნით დაიძახა.

მერე ბექობიდან დაეშვა, იქნებ დავეწიოო და სირბილით გაენთო გზაზე. ვინ იცის, სადამდე ირბენდა, ქვისთვის ფეხი რომ არ წამოეკრა და არ წაქცეულიყო. ტკივილმა გონს მოიყვანა.

«სად მივდივარ?» — გაიფიქრა და «ციცინათელასაკენ» გაბრუნდა.

გულნამცეცა არ უნდა იყო

დილით თეონამ სასადილოს წინ ფარფლებიან ქუდს მოჰკრა თვალი.

«ზაზაა, რატომ შიგნით არ შედის? მისი მეგობრები ხომ ახლა საუზმობენ», — გაიფიქრა და ბიჭთან მიირბინა:

_ აქ რას დამდგარხარ, სასადილოში წამო, არ გშია?

_ მშია, მაგრამ მინდა შენთან ვიყო.

_ ზაზა! — სამზარეულოს კარებში თავი გამოჰყო ზაზას მზრუნველმა. — სად გამეპარე? შენ ხომ უთეონოდ არ შეგიძლია... ჩქარა შემოდი!

თეონა სასადილოში ზაზასთან ერთად შევიდა და გვერდით მოუჯდა.

_ თუ შეჭამ, ერთ საიდუმლოს გეტყვი. — ჩასჩურჩულა თეონამ, — ბავშვებთან ერთად ტყეში მივიპარები.

ზაზამ ქუდი სკამზე შემოდო, მაგიდისკენ დაიხარა და სანამ კოვზს აიღებდა, ირგვლივ მსხდომთ ნიშნისმოგებით გადახედა და გაიფიქრა: «ხედავთ, მეგობარმა საიდუმლო გამანდო თქვენ კი...»

სამზარეულოში კიაზო და გელა შემოვიდნენ და ბავშვები შეათვალიერეს. ზაზამ და თეონამ თვალი აარიდეს.

_ ზაზა, მოდი აქ! — დაუძახა კიაზომ.

ზაზას ყურიც არ შეუბერტყავს.

_ შენ რა, არ გესმის?! — ქამარში ცერა თითი გაირჭო კიაზომ და მაგიდას ავი ნაგაზივით მიუახლოვდა, — კედები გასაშრობად დავაწყვე და დამეკარგა. ხომ არ იცი, ვინ აიღო?

_ მე საიდან მეცოდინება?!

_ შენ იქ, ქვიშაში არ თამაშობდი?..

_ ვინ გითხრა?

_ გელამ, რკინიგზა გაჰყავდაო.

ზაზამ კარაქიანი პური ჩაკბიჩა და ჩაი მოსვა.

_ რას ჩაიგდე ენა, თვითონ ხომ არ დამალე?

_ რატომ დავმალავდი ვითომ?

_ თქვი, არაფერს დაგიშავებ.

_ არ ვიცი, მორჩა და გათავდა!

_ იცოდე, თუ მატყუებ, კისერს მოგიგრეხ! — დაემუქრა კიაზო, თავში წაუთაქა და გარეთ გავიდა.

თვალცრემლიანმა ზაზამ თავი ჩაღუნა.

_ კედები მართლა შენ ხომ არ დაგიმალავს? — ჰკითხა თეონამ.

_ ჰო, მე დავმალე! — ახედა ზაზამ.

_ მერე და, რატომ არ უთხარი?

_ სხვებს რომ აწვალებს, კარგია?

_ მითხარი სადაა და დავუბრუნებ, შენ რომ დაუმალე, არ ვეტყვი.

_ არა, ჯერ იწვალოს...

_ რომ გაიგოს და გცემოს?

_ მერე რა... დიდი ამბავი!... — ჯიუტად მოკუმა ტუჩები ზაზამ.

ეზოდან ბიჭებმა დაუძახეს.

_ ასფალტზე ხატვაში ერთმანეთს ეჯიბრებიან... მაგრამ მე რომ ხატვა არ მეხერხება? — უხალისოდ თქვა ზაზამ.

_ რამე მაინც დახატე... თუნდაც მზე. დიდ, მრგვალ წრეს ხაზები გაუკეთე...

_ სულ ეგ არი?! მოდი რა, მიყურე. შენ რომ ჩემს გვერდით იქნები, უსათუოდ რამე გამომივა.

_ ვისაუზმებ და მოვალ! — შეჰპირდა თეონა.

ბავშვებს მთელი მოედანი ცარცით აეჭრელებინათ. ზაზამ ცარცი მოიმარჯვა და ხატვა დაიწყო.

_ აბა ნახე, კარგად დავხატე? — უთხრა ზაზამ თეონას, როცა დაამთავრა. — ეს ქალი მზეა, ხედავ, თავზე სხივები ადგას, ესენი ყვავილებია.

_ ეს რაღაა? — ჰკითხა თეონამ და ბაფთასავით გამოსკვნილ წერტილებზე მიუთითა.

_ ეს... ეს კრაზანებია.

_ მზის თავზე? — ნახატს ფეხი წაუსვა თეონამ.

_ არ წაშალო. ეგ კრაზანები მზის უკან სხედან. მანდ იმიტომ მივახატე, სხივები ნაკლებად მოხვდეს და შესცივდეთ... მოიწი, რა გითხრა.

თეონა დაიხარა და ბიჭმა რაღაც უჩურჩულა. ორივეს გაეცინა.

_ ეს კრაზანები კიაზო და მისი ძმაბიჭები თუ არიან, მზე და ყვავილები ვიღაა?

_ ყვავილები ჩვენ, ბავშვები ვართ, მზე კი... შენ! — ღიმილით თქვა ზაზამ და რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემმა ნათქვამმაო, მეგობარს ახედა.

_ უჰ, მაგვიანდება, — დაფაცურდა თეონა, — წავედი... ტყეში რომ მივდივართ, არავისთან დაგვცედს.

_ უკვე მიდიხარ?! — ბიჭმა ისე ამოიოხრა, ლამის გულიც თან ამოაყოლა. ის კი ვერ გაუმხილა, ტყეში წასვლა თვითონაც ძალიან რომ უნდოდა.

* * *

ყველანი დათქმულ ადგილზე შეიკრიბნენ.

_ მოკლეზე, ტყე-ტყე ვიაროთ, ასე უფრო მალე მივალთ ჩანჩქერთან. სოფლიდან ამოსული ბიჭები, ალბათ, უკვე იქ არიან, — თქვა ბაკურმა და თანატოლები წასასვლელად ააჩქარა.

თავქვე დაეშვნენ. ჯერ ბაწარივით გაებნენ, მერე გაიფანტნენ. ბილიკი ძალზე დაქანებული იყო, ნეშომპალათი გაფუებული მიწა ფეხქვეშ ცურავდა და ბავშვები ნელ-ნელა მიაბიჯებდნენ. ის იყო, დაღმართი უნდა ჩაეთავებინათ რომ თეონას შეშფოთებული ხმა გაისმა.

_ მგონი ვიჩეხები!

ბავშვემა თვალი შეასწრეს, მის ფეხქვეშ უეცრად როგორ ჩაიშალა მიწა, მაგრამ სანამ გადაიჩეხებოდა, ხის გაბარჯღული ტოტისთვის ხელის შევლება მოასწრო. გოგოებმა ჰაერში დაკიდებული, შიშისაგან თვალებგაფართოებული თეონა რომ დაინახეს, წივილ-კივილი ატეხეს. ბიჭები სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, გოგოებს აწყნარებდნენ.

«ახლა ტოტი მოტყდება და მორჩა!..» — სიმწრით გაიფიქრა თეონამ.

_ ჩამოხტი! — შესძახა ბაკურმა, — ნუ გეშინია, დაგიჭერ!

_ რომ ვერ დაიჭირო? — აწიწინდნენ გოგოები.

ბიჭებმა ერთმანეთს ხელი ჩაავლეს და დაღმართზე ფარივით დადგნენ.

_ აბა, გადმოხტი! — შესძახა ბაკურმა.

ტოტზე ჩამოკონწიალებულ თეონას თითები ასტკივდა და სადაცაა ტოტს ხელს გაუშვებდა, მაგრამ ბიჭებისთვის რომ არ ევნო, ითმენდა და მოხერხებულად ჩამოსახტომ ადგილს არჩევდა. უეცრად, გაოფლილი ხელი დაუსხლტა, ბიჭების თავზე დაეშვა, ბაკური და გელა წააქცია და სამთავენი, გოგოების წივილ-კივილის თანხლებით, დაქანებულზეე ჩაგორდნენ. თუმცა მიწა იმდენად რბილი იყო, არც ერთს არაფერი სტკენია. ის კი არა, ყველას ჩაასწრეს და გაგრილებაც მოასწრეს, რადგან პირდაპირ წყალში მოადინეს ტყაპანი.

ჯერ გონსაც ვერ მოსულიყვნენ, წყალში რაღაც მოფართხალე მწვანე არსება რომ შენიშნეს...

_ ნეტა, რა არის? — ამის გაფიქრება ძლივს მოასწრეს, რომ ის «რაღაც» წამოიმართა და წყლიდან ხელფეხგაფარჩხულმა ლალიმ ამოტოპა.

_ შენ აქ საიდან?! — გაიკვირვეს.

_ თქვენზე ადრე დავგორდი! — ფერდაკარგულმა ძლივს ამოილუღლუღა.

ბავშვებს ონავრულად გაეცინათ. სწორედ ამ დროს ზემოდან დანარჩენებიც ჩამოვიდნენ. ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი. ვინც სველი არ იყო, იმათაც მოუნდათ გაგრილება და მდინარეში ტანსაცმლიანად შედგაფუნდნენ.

ჭყუმპალაობით ისე გაერთნენ, ძლივს მოაგონდათ, რომ ჩანჩქერამდე უნდა ასულიყვნენ.

შუადღე იდგა, სველი ტანსაცმელი სასიამოვნოდ აგრილებდა მზით გახურებულ სხეულს.

როგროც იქნა, ჩანჩქერთან ავიდნენ, მაგრამ ვაჟა და მისი ძმები იქ არ დახვდნენ. გულდაწყვეტილები ლოდებზე ჩამოსხდნენ. ყველამ მოიწყინა, ახლაღა იგრძნეს დაღლაც და შიმშილიც. უხალისოდ შეჰყურებდნენ კლდიდან მჩქეფარე წყალს.

_ წავიდეთ, ეტყობა, უკვე აღარ მოვლენ! — გულდაწყვეტით თქვა ბაკურმა, წამოდგა და მდინარის ნაპირს ჩაუყვა.

დანარჩენებიც უკან აედევნენ. გულნაკლულები ხმას იშვიათად თუ იღებდნენ.

«ალბათ, ვაჟა ჩემს გამო არ მოვიდა... ძმებსაც აქ წამოსვლაზე გულს აუცრუებდა», — გაიფიქრა თეონამ.

ერთგან საოცარი სილამაზის ანკარა წყაროს გადააწყდნენ. თეონამ წვრილი, ფერადი კენჭები ამოარჩია ზაზასთვის და ჯიბეში ჩაიწყო. გაახსენდა, ერთხელ კიაზომ კურდღლის ბაჭია მოუყვანა ზაზას. იმან მთელი ბანაკი შემოირბინა, ყველას უჩვენებდა და ეუბნებოდა, კიაზომ მომიყვანაო.

«ნუთუ, კიაზოსგან კარგი არაფერი ახსოვს?.. ხშირად, ვინმე კეთილ საქმეს რომ აკეთებს, ავიწყდებათ, ცუდი კი სულ ახსოვთ. რატომ, ნეტავ?.. რომ დავბრუნდები, ზაზას უსათუოდ ვეტყვი, რომ კიაზოს არასოდეს დაუმალოს კედები...»

ისევ ვაჟას გადაწვდა მისი ფიქრი.

«ალბათ, ჩემ გამო არ მოვიდა... რა გულნამცეცა ყოფილა!..»

შარაგზაზე რომ გავიდნენ, მანქანის ხმა შემოესმა თეონას, ახლაღა გაახსენდა, რომ «ციცინათელადან» გამოიპარნენ.

_ დაიმალეთ, — გააფრთხილა ბავშვები.

ყველანი გზის იქით გადავიდნენ და ბუჩქებს ამოეფარნენ. «ვილისმა» გაიარა და ისევ გამოეფინენ გზატკეცილზე.

მზე ჩასვლაზე იყო, დილით გამოსულებს შიმშილით კუჭი ეწვოდათ. მოსახვევში პურით დატვირთული მანქანა შეამჩნიეს, მძღოლი წყლის დასალევად გადმოსულიყო.

_ ერთი პური მოგვეცით რა, ძია! — სთხოვა თეონამ.

_ რამდენიც გინდათ, აიღეთ! — უთხრა მძღოლმა და გაუღიმა.

მადიანად ილუკმებოდნენ ბავშვები და აუჩქარებლად მიუვებოდნენ დასასვენებელი სახლისკენ მიმავალ გზას.

იქ კი დიდი ფორიაქი იყო ამტყდარი. დიდ-პატარიანად ყველა მათ ეძებდა.

_ ნეტა სად დაიკარგნენ ბავშვები? — წუხდა მათი მზრუნველი ნანა დეიდა.

_ თქვენ რგორ მოგივიდათ ეს, ქალბატონო ნანა? — საყვედურობდა მას ძია რეზო.

_ ვინმეს რომ რამე დაემართოს, სად მიდიხარ! — ცხარობდა სპორტული ჯგუფის ორგანიზატორი დათო.

_ აი, ნახავთ, არაფერიც მოუვათ? — ამშვიდებდათ მათ მზარეული ძია ვასო, — მოშივდებოდათ, თორემ სხვა რა უნდა გაუჭირდეთ? ჩემი ბავშვობა სანახევროდ ტყეში არ მაქვს გატარებული?

_ მაშინ სხვა დრო იყო! — ნიშნის მოგებით უპასუხა სარგადაყლაპულივით გაჭიმულმა მარგომ.

_ ჰო, მართლაც სხვა დრო იყო... — ვერ მიუხვდა ნათქვამს მზარეული, — მაშინ იყო, რაც იყო, ტყე სავსე იყო ნადირით. ახლა წამლად რომ გინდოდეს, სად იპოვი?

_ კიაზომ გვითხრა, ზაზა და თეონა საუზმის დროს ვნახეო... ზაზაც არ ჩანს, ალბათ, თან წაიყვანეს, — გზას ნერვიულად გახედა ნანამ და უცებ შესძახა:

_ მოდიან!

_ უჰ! — ამოისუნთქა დირექტორმა.

_ მაგათ ვუჩვენებ სეირს! — კბილებში გამოსცრა დათომ.

_ მადლობა ღმერთს, მშვიდობით დაბრუნდნენ, — გაიღიმა ძია ვასომ, — დამშეულები იქნებიან, ახლავე სუფრას გავუშლი.

_ ეგენი უვახშმოდ უნდა დატოვო და ახიც იქნება! — შენიშნა მარგომ, მერე ჭიშკრისკენ გაიხედა ეზოში შემოსული ბავშვები რომ შეათვალიერა, ხმამაღლა წამოიკივლა:

_ ზაზა, ზაზა სადღაა?!

ახალმოსულებმა მხრები აიჩეჩეს.

_ არ ვიცით! — გაბედა ხმის გაღება ბაკურმა.

_ თქვენთან არ იყო?

_ არა!

_ ვაიმე! — ლოყაზე ხელი იტკიცა მარგომ — აბა, ჩქარა, ეძებეთ, ყველამ ძებნეთ... ოთახებშიც შეიხედეთ, იქნებ ჩაეძინა სადმე.

მთელი დასასვენებელი სახლი ფეხზე დადგა. ყოველი კუთხე-კუნჭული გადაჩხრიკეს, მაგარმ ზაზას კვალს ვერსად მიაგნეს.

ზაზას ძებნით არაქათგამოცლილი, სასოწარკვეთილი თეონა ჟაკეტის წამოსასხმელად საწოლ ოთახში შევიდა. აჩქარებისაგან სკამს წამოედო და გადააყირავა.

_ ვაიმე, დედა! — დაიღრიალა ვიღაცამ.

თეონა შეკრთა. წამით გაისუსა... მერე საწოლქვეშ შეიხედა და იქ გულაღმა გაშოტილი ზაზა დაინახა.

_ ბიჭო, ცოცხალი ხარ? გეძინა? რამდენი გეძებეთ! — გაოცება და სიხაურლი ერთბაშად დაატყდა თეონას.

_ მეძებდით?.. — საწოლის ქვემოდან გამოძვრა ზაზა და თვალები მოიფშვნიტა.

უბიდან ქაღალდში შეხვეული ფუნთუშა ამოიღო და თეონას გაუწოდა.

_ გვიან დაბრუნდებიან და უვახშმოდ დარჩება-მეთქი.. ჰოდა, ჩაის დასალევად რომ შევედით, არ ვჭამე, ქაღალდში შევახვიე და შეგინახე, აჰა!

თეონამ გაიღიმა და ფუნთუშა გამოართვა.

_ საწოლქვეშ რატომღა შეძვერი?

_ თქვენ მოსვლამდე საიდუმლოება რომ არ დამცდენოდა... თქვენი არყოფნა კიაზომ შენიშნა. მკითხა, სად არიანო. მიხვდა, რომ ვუმალავდ და დამემუქრა, თქვი, თორემ ყურებს აგახევო. გამომეკიდა. ბედზე ნინო დეიდას გადავაწყდით. რაღას იზამდა, თავი გამანება!.. მაგრამ, მოიცა, ჩამივარდები ხელშიო, — მომაძახა ჩუმად. მეც შემეშინდა, ავდექი და ჯერ ბავშვთა გასართობ ოთახში შევიპარე, მაგიდის ქვეშ შევძვერი და იატაკზე გავწექი. ხანდახან მიყვარს

ხოლმე იქ ყოფნა, თითქოს პატარა ოთახიაო, ოთახში ვზივარ და ვფიქრობ ჩემთვის, ხელს არავინ მიშლის. ახლაც ისე გავერთე, ყველაფერი დამავიწყდა. მანამდე ვიყავი ასე, სანამ ყურში კიაზოს ხმა არ ჩამესმა, — ვის არ ვკითხე და ვერსად ვიპოვეო, ჩიოდა, — რამდენიც გინდა, ეძებე-მეთქი! — ვფიქრობდი გუნებაში.

_ არსად არ ჩანს. წეღან, ბავშვების ადგილსამყოფელს თუ არ მეტყვი, გაგლახავ-მეთქი, დავემუქრე. რამე რომ მოუვიდეს, რაღა ვქნა?!. — ეზოდან მომესმა კიაზოს სინანულით სავსე ხმა. «უყურე, გული ჰქონია!» — გავიკვირვე.

_ რამე რომ დაემართოს თავს მოვიკლავ, იცოდე! — ლამის შესტირა ვიღაცას. — ამას კი ვეღარ გავუძელი და მაგიდიდან გამოვძახე, — კიაზო, თავი არ მოიკლა, აქა ვარ-მეთქი. ბიჭები ერთდროულად შემოცვივდნენ. კიაზოს წამში დაავიწყდა თავს რომ იკლავდა. — უჰ, შენი, არ გადმომიტრიალე გულიო? — შემომყვირა, წამეტანა, მაგრამ ხელიდან დავუსხლტი, გარეთ გამოვვარდი, კიაზო კი, მგონი, თქვენთან, ტყეში წამოვიდა.

თეონამ ბოლომდე მოუსმინა ზაზას და მერეღა გავარდა გარეთ.

_ ძია რეზო, ნანა დეიდა, ზაზა აქ არის! — დაიძახა, კიბე ჩაირბინა და უცებ ბაკურს, კიაზოს და ვაჟას გადააწყდა.

«ალბათ ზაზას ეძებენ». — გაიფიქრა, ხმამაღლა კი თქვა, — ზაზა ჩემთანაა! — მერე თითქოს ენა ჩაუვარდა.

«რა მოხდება დაველაპარაკები ვაჟას. ვკითხავ, რატომ არ იყო დღეს ჩანჩქერზე. მაგრამ ვაითუ, ხმაც არ გამცეს, ან ისეთი მკვახე სიტყვა მითხრას, ამ ბიჭებში შემარცხვინოს. რა თქმა უნდა, ისევ გაბრაზებულია ჩემზე, თორემ აქამდე მივიდოდა და მეტყოდა, — რაც იყო, იყო... მოდი, შევრიგდეთო!»

_ რაც იყო, იყო... მოდი, შევრიგდეთ! — წამოიწყო თვითონ თეონამ

_ რა მოგივიდა?! — შეანჯღრია კიაზომ თეონა, — არ იტყვი, სადაა ზაზა?!

_ ჰა? — გამოერკვა გოგონა, — ჩემს ოთახშია... წავალ, უფროსებს გავაგებინებ — თქვა ენის ბორძიკით და განზე გამდგარ ვაჟას გახედა.

_ თქვენ რა, ერთმანეთს ემდურით? — გაიკვირვა ბაკურმა და ორთავეს დააცქერდა.

კარნავალი

«კარნავალის მონაწილეებს ჩვენი სალამი!»

დიდი ასოებით დაეწერათ გრძელ, წითელ ნაჭერზე და «რომანტიკოსთა სასახლის» კედელზე გაეკრათ.

«სასახლის» წინ, მინდორზე ნაირ-ნაირ კოსტიუმებში გამოწყობილი ბავშვები ირეოდნენ.

ზოგნი ხის ტოტებზე მოლაღურის ბუდესავით ჩამოკიდებულ საქანელებზე ჩამომსხდარიყვნენ, ირწეოდნენ და მეოცნებე თვალებით ცას შესქცეროდნენ.

ზოგიერთები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, მხიარულად საუბრობდნენ და იცინოდნენ.

თეონა ძია სერგომ ბიბლიოთეკაში შეიყვანა, სანამ არ დაგიძახებ აქედან ფეხი არ მოიცვალოო — გააფრთხილა.

იდგა თეონა ფანჯარასთან და გარეთ იცქირებოდა. ხან ერთ მხარეს მიაჩერდებოდა ფიქრიანად, ხან მეორეს. შორიდან ძია სერგოსაც მოჰკრა თვალი.

გაახსენდა, წინა დღეებში ბავშვებთან ერთად როგორ მშვიდად, აუღელვებლად გეგმავდა საკარნავალო დღესასწაულს. ქალაქში ჩავიდა და კოსტიუმებიც ამოიტანა.. თეონას ყვავილებით მორთული კაბა ლელა ექიმმა მოართვა.

თეონას ისიც გაახსენდა, მსუბუქი ავტომანქანები როგორ შეჩერდნენ ჭიშკართან, როგორ გადმოვიდნენ იქიდან სტუმრები. შემოსასვლელთან ბავშვები მწკრივად მოეწყვნენ. ორკესტრმა მარში დაუკრა... ძია სერგო მწყობრში მდგარი ჯარისკაცივით გაჭიმულიყო...

ყველანი უძრავად იდგნენ. ირგვლივ ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი.

«მოგესალმებით პატივცემულო სტუმრებო და ძვირფასო ბავშვებო!.. დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რომ სამშობლოსთვის თავდადებული გმირები ერთხელ კიდევ გავიხსენოთ...» — გაისმა დირექტორის მთრთოლვარე ხმა.

თეონამ თვალი მოჰკრა, ძია სერგომ ცხვირსახოცით ცრემლი როგორ ამოიმშრალა. «ნეტავ ასე რამ აუჩვილა გული?!» — გაიფიქრა თავისთვის.

წუთიერი დუმილის შემდეგ ბავშვები ჟრიამულით ეზოს მოედვნენ.

თხილის ტოტებისაგან დაწნულ მაგიდასთან მსხდომ სტუმრებს სახეგაცისკროვნებულ ძია რეზო ბავშვების ნამუშევრებსა და ალბომს ათვალიერებინებდა, რომლებშიაც ბავშვების ნახატებთან და ფოტოსურათებთან ერთად, მათი წერილებიც იყო.

თეონამ ალბომში ჩაწერილი ზოგიერთი წერილი გაიხსენა...

«დიდხანს ვოცნებობდი ბავშვთა დასასვენებელ სახლ «ციცინათელაში» წასვლაზე, — ასე იწყებოდა ერთი წერილი, — წარმოდგენილი მქონა როგორი უნდა ყოფილიყო... მწვანეში ჩაფლული კოხტა შენობა... ცისფერი მერხებითა და საჩრდილობელი «სოკოებით» დამშვენებული მდელოიანი ეზო... მოუთმენლად ველოდი ზაფხულის მოახლოვებას. ყურში ბავშვების ჟრიამულის ხმა ჩამესმოდა. დადგა ზაფხული. «ცხვარიჭამიაში მივდივართ,» — გამოგვიცხადა ერთ დღეს მამამ და მანქანა თიანეთის გზას გაუყენა. მალე ტყეში მიმოფანტული სახლებიც გამოჩნდა. ერთგან გზატკეცილიდან გადავუხვიეთ და მანქანა შეჩერდა. «ესეც, შენი დასასვენებელი სახლი, გადმოდი! « — მითხრა მამამ. მართალია, «ციცინათელა» თითქოს ტყეს იყო ჩეფარებული, მაგარმ ეზოში არც მერხები, არც მაგიდები და რამე გასართობი ჩანდა და იმედგაცრუებულმა ყურები ჩამოვყარე.

«რა იყო? — მკითხა მამამ, — თუ არ მოგწონს, უკან წაგიყვან. ახალი გახსნილია... ქალაქთან ახლოსაა და მალ-მალე გნახავ».

ის იყო, არ დავრჩები-მეთქი, დავაპირე თქმა, რომ თეთრხალათიანი ქალი გამოჩნდა. მერე გავიგე, ეს ლელა ექიმი იყო. გვერდით ჩემი კბილა ბიჭი ედგა. ბიჭმა ძველი ნაცნობივით გამიღიმა და მანქანის კარის სახელური ჩამოსწია. რაღაც ძალამ წამომაყენა, მანქანიდან გადმოვედი. «ეს სახლი, თურმე, ვიღაცის გამო სასწრაფოდ გახსნეს...» — თქვა იქვე მდგარმა ბიჭმა, — იცი რა კარგია აქ, კარგადაც ვერთობით. აი, იქით გაიხედე... ბიჭები ხელოსანს ვეხმარებით, ჩვენ თვითონ ვაკეთებთ ყველაფერს. დარჩი რა?..» — შემეხვეწა და მეც დავრჩი.

ეზო გავასუფთავეთ მერხები, მაგიდები და საქანელები დავაკეთეთ და შევღებეთ. ახლა ყველაფერი გვაქვს და გვიხარია. «რომანტიკოსთა სასახლეც» რომ დავამთავრეთ, სამახსოვრო ნივთებით დამასაჩუქრეს. ახლა აღარც კი მინდა აქედან წასვლა».

ეს წერილი ლაშას ეკუთვნოდა და თეონას კარგად დაამახსოვრდა.

ჩამოსულები ალბომს ფურცლავდნენ და კეთილად იღიმოდნენ.

სტუმარმა ქალმა ალბომი ძია რეზოსკენ მისწია და ერთ წერილზე მიანიშნა. ძია რეზომ ჩაიკითხა და გულიანად იცინა.

«დირექტორზე მითხრეს მკაცრი კაციაო. შემხვდა და გადამკოცნა. ვიფიქრე, ესაა მკაცრი-მეთქი?» წერდა გელა.

თეონამ ფიქრით გელას წერილის შემდგომ ჩანაწერსაც ჩაავლო თვალი...

«თუ მომეწონება, დავრჩები, თუ არა და, წავალ, — ვწერდი ერთ ჩემს ამხანაგს. პირველად მომწყინდა, კიდევ კარგი «რომანტიკოსთა სასახლე» აღმოვაჩინე. სპორტული მოედანი დათო მასწავლებელთან ერთად გავაკეთეთ. ჩვენ თვითონ მოვაწყვეთ ყველაფერი... აქაურობის მიტოვება გამიძნელდება. ბაკური».

«რომ ჩამოვედი, კინაღამ გული გამისკდა. პირველ დღეს სამზარეულო არ მუშაობდა და სოფლის სასადილოში გვასადილეს. მერე კარგა ხანს ერთი მზარეული გვყავდა. გოგოები და ბიჭები მორიგეობით ვეხმარებოდით და ეს ძალიან მოგვწონდა. სასადილოსთვის ფარდები გოგონებმა შევკერეთ. დეიდა ელენეს ვეხმარებოდით. სასადილოს წინ ბიჭების დახმარებით ყვავილნარი გავაშენეთ... მიყვარს ჩვენი «ციცინათელა. მზია.»

«პირველად რომ ჩამოვედი, ყოველ ნაბიჯზე ფეხში ხარაჩოებიდან ჩამოხსნილი ფიცრები მედებოდა... ბავშვებმა გადაწყვიტეს, კორპუსის წინ დაყრილი ფიცრები მიელაგებინათ, გაესუფთავებინათ ეზო, შიგ მაგიდები და მერხები გაემართათ. ხვალვე გავიქცევი შინ-მეთქი, ვიფიქრე. მეორე დღეს «ციცინათელას» მანქანა მანქანაზე მოადგა, ქალაქიდან ჩამოსულ კაცებს გაჰქონდათ ძირს დაყრილი ფიცრები, ასუფთავებდნენ ეზოს. ქვა-ღორღის მოსახვეტად თოხსა და ფოცხს წამოავლეს ხელი. ნანა დეიდამ ხელურემი მოაგორა. ჩვენი საძინებელი კორპუსის წინ მთელი კირის გორა ეყარა და იმისი აღება დაიწყო. შემრცხვა, ნიჩაბი გამოვართვი და მუშაობა დავიწყე. ერთ დღეს მშენებლებს ხერხი, ჩაქუჩი და ლურსმნები გამოვართვი. ისეთი მაგიდა გავმართე, დედაჩემი ჩემს სანახავად რომ ჩამოვიდა, არც კი დამიჯერა, შინ არაფერი არ შეგეძლო და ამას როგორ გააკეთებდიო... აქაურობა ისე შემიყვარდა, მეორე ნაკადშიც ვრჩები. კიაზო».

...თეონამ ეზოში შეკრებილ ბავშვებს თვალი მოავლო. პატარა გოგო-ბიჭები კარუსელზე ჯდომით ერთობოდნენ. ზოგნი საქანელაზე ქანაობდნენ. «რომანტიკოსთა სასახლესთან», ხავსით მოფენილ «ნატვრის ხალიჩაზე» ჯირკი იდო, ზედ მზია ჩამომჯდარიყო, მის წინ გიორგის მუხლი მოეყარა. თეონამ მიაყურადა... და გაიგონა, «რა გსურს, მინდვრის ფერიავ, ვიმღერო თუ, ლექსი მოგიძღვნა?..»

იცვლებოდა «ნატვრის ხალიჩის» «ფერია», იცვლებოდა მისი რაინდიც...

— აანთეს, აანთეს! — გაისმა უცებ შეძახილი.

ყველანი წამოიშალნენ, თეონა კარს მიაწყდა, მაგრამ ძია რეზოს სიტყვები გაახსენდა, სანამ არ დაგიძახებ ფეხი არ მოიცვალოო და შედგა. ფანჯარასთან მივიდა.

გაღმა მთის წვერზე ცეცხლის ალი ავარდა, თოფმა იგრიალა და მარათონელი მორბენლები დაიძრნენ.

«ნეტა ვინ გაიმარჯვებს?» — გაიფიქრა თეონამ და მოლოდინად იქცა.

_ მოდიან, მოდიან! ისმოდა შეძახილები.

მორბენალები თანდათან ახლოვდებოდნენ, რამდენიმე წუთიც და ეზოში შემოცვივდნენ. თეონამ თვალი ჰკიდა დაწინაურებულ ქულაჯიანს — «ეს ხომ ბაკურია?!» — მის უკან კი ვაჟა დაინახა. უკვე ყველამ ირწმუნა, რომ პირველობა ბაკურს ერგო და წამით ყურაღდება მოადუნეს, მაგრამ უეცრად, ბაკურმა წაიფორხილა, ვაჟა დაწინაურდა და ფინიშთან პირველი მივიდა.

მინდორზე რიგრიგობით შემობოდნენ დაღლილი, არაქათგამოცლილი და სირბილისგან ენაწართმეული მორბენალები.

«ციცინათელას» დირექტორი გამარჯვებულებს ასახელებდა.

პირველი იყო ვაჟა, მეორე ბაკური. რაღაცით შეწუხებული ვაჟა უარის ნიშნად ხელს აქნევდა... ძია სერგოს რაღაცას უხსნიდა... მერე, ძია სერგო ხალხისაკენ შემობრუნად და ხელი ასწია.

_ მომისმინეთ, მომისმინეთ!.. ვაჟა თავის პირველობაზე უარს ამბობს.

მოულოდნელმა განცხადებამ ყველ გააოცა.

_ რაო? — გაიკვირვა ერთმა მაღალ-მაღალმა სტუმარმა.

_ პირველობა მე კი არა, ბაკურს ეკუთვნისო! — განმარტა ძია სერგომ.

_ როგორ? ყველამ დავინახეთ, პირველი ვაჟა მოვიდა! — აყაყანდნენ მსაჯები და მაყურებლები.

_ პირველად ვნახე კაცი, თავის ნებით პირველობას სხვას უთმობდეს! — გაიძახოდნენ სტუმრები.

_ აბა, თვითონ გაგვარკვიოს!.. — დაიძახა ფეხზე წამოჭრილმა ძია რეზომ.

_ ბავშვებმა იციან, მე და ბაკური კარგად დავრბივართ... სულ შენ ხომ არ უნდა იყო პირველიო, და ამას წინათ დამემუქრნენ, თუ მარათონულ შეჯიბრში დაწინაურებულს დაგინახავთ, გამარჯვებაში ხელს შეგიშლითო. მეგონა ცუდს არ გამიკეთებდნენ. რით შემიშლიდნენ, რანაირად, არ ვიცოდი. თქვენც ხედავდით თავდაპირველად ყველას გამოვუსწარი და, ეტყობა, ჩასაფრებულებმა მავთულიც იმიტომ გააბეს. მერე ერთბაშად ბაკური დაწინაურდა და მავთულსაც გამოედო. რომ წაიფორხილა, მავთულს მაშინღა მოვკარი თვალი, მე ინერციით წინ წამოვედი და პირველიც მოვედი.

_ უნდა თქვა, ვინ ჩაიდინა ეს! — შეუძახეს ვაჟას.

_ თქვი! — შეუძახა ძია რეზომაც.

ვაჟამ ცოტა ხანს იყუჩა, მერე ფიქრიანი თვალები ირგვლივ მიმოატარა.

_ პირველობა ბაკურს ეკუთვნის ეგ, არი და...

_ კარგი ეგრე იყოს, კვერი დაუკრეს ვაჟას ძია რეზომ და ძია სერგომ.

ძია სერგომ, იქვე მდგომ რამდენიმე ბიჭს რაღაც გადაულაპარაკა. ბიჭები ბიბლიოთეკისკენ გაემართნენ. ძია რეზო ისევ სტუმრებთან მივიდა. ძია სერგომ კი დაიქუხა.

— ახლა, ისევ ყურადღება, რაინდების თანხლებით აქეთკენ მოემართება მინდორთ ბატონის ასული!

ყვავილებიანი გვირგვინით თავდამშვენებული, ყვავილწნულებით კაბამორთული თეონა ბიჭებმა ბიბლიოთეკიდან გამოიყვანეს. მის დანახვაზე ბავშვებმა ყიჟინა დასცხეს.

_ მინდორთ ბატონის ასული?!. — შესძახა გახარებულმა ზაზამ.

_ რატომ შეგარქვეს ასე?! — ჰკითხა, როცა მასთან მიირბინა.

თეონა დაიბნა.

— ბავშვებო!.. ძველ საქართველოში ხალხის რწმენით, მინდორთ ბატონს, ესე იგი, მინდორთ ღვთაებას, ასული ჰყავდა. იგი ისეთი ჰაეროვანი და ისეთი მსუბუქი იყო, ყვავილიდან ყვავილზე რომ დახტოდა, ბალახის ერთ ღეროსაც არ ქელავდა. პურად ყვავილის მტვერს ხმარობდა. სასმელად ყვავილის წვენს... — წარმოთქვა ძია რეზომ, მერე, — მიუბრუნდა თეონას, — აბა, რაღას უცდი, ჯილდოები ჩამოარიგე... «ნატვრის ხალიჩის» საჩუქრები ლელა ექიმმა და სხვა თანამშრომლებმა უნდა გადასცენ.

გამარჯვებულები «რომანტიკოსთა სასახლის» წინ ჩამწკრივდნენ.

თეონა ორკესტრისა და ტაშის ხმაურში კუთვნილ ჯილდოს ურიგებდა მათ და ახსენდებოდა ის დღე, როცა ერთმანეთს მეგობრობა შეჰფიცეს...

«ვფიცავ, თუ ვინმე უსამართლოდ მოგექცა, ხმა ავიმაღლო!

«თუ გასაჭირში მყოფი დამიძახებ, მაშინვე შენთან გავჩნდე...»

«არ ვისარგებლო შენი სისუსტით...»

«გაგიფრთხილდე...»

«სიყვარულზე სიყვარულით გიპასუხო...»

«არასოდეს მოგატყუო...»

«აგამაღლო»...»

«მერე?.. — ჩაესმა მონადირე ბიჭის ხმა თეონას, — გატეხა ვინმემ ფიცი?»

«რა თქვი?!.» — გაოცებით ჰკითხა გოგონამ.

...უცებ მზის სხივმა თვალებში შეუჭვრიტინა. მერე ოქროსფერი თითებით თმაზე მიუალერსა და ცელქი ბავშვივით ისევ ზეცაში აიჭრა. გოგონამ თვალი გააყოლა მზის სხივს და დასავლეთით, მეწამულისფერ ტატნობზე ჯიხვთა დედოფალი დალანდა. ჩრდილ-სხივით შეფერადებულ მთის წვერზე გადმომდგარიყო ოქროსფერთმიანი დალი. ხელები მნათობისკენ ისე გაეშვირა, გეგონებოდა, მოცეკვავეა და კედლიდან ცეცხლისფერი დაირის ჩამოღება სურსო...

თეონა მონუსხული შესცქეროდა ჯიხვთა დედოფალს, ცაზე დაირასავით დაკიდებულ მნათობსაც და აი, უცებ დალისა და მნათობს შორის სივრცეში, ნახატებივით ამოიტვიფრნენ «ნატრვის ხალიჩასთან» მდგარი ბიჭები. ჯიხვთა დედოფალს ახლა მზისაკენ კი არა, მათკენ გაეშვირა ხელი.

«იქით უფსკრულია, ვაითუ, კლდეზე გადაიჩეხონ», — შიშობს გოგონა და ბიჭებს ფრთხილად, არ გადავარდეთო, უხმოდ უყვირის.

ოქროსფერთმება დალი ავად იცინის...

«ნუ, ნუ დაღუპავ... ყველანი დააბრუნე!.. — ევედრება ჯიხვთა დედოფალს, — შეხედე, მზესაც ლაქები... ლაქები დააჩნდა...»

ფიქრს აყოლილმა თეონამ ვერც კი შეამჩნია, როგორ მოუახლოვდა ძია რეზო.

_ ესეც შენ, საჩუქრად! — უთხრა და ვეებერთელა თოჯინა მკლავებზე გადაუწვინა.

თეონას ფიქრები გაწყვეტილი მძივებივით მიმოეფანტნენ ირგვლივ მიმოიხედა. ყველა ღიმილით შემოსცქეროდა.

უღიმოდა ვაჟაც.

და მათ ღიმილზე გოგონას მოეჩვენა, რომ ზეცა ცისფერი პეპლებით აივსო. ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, იფიქრა, ეს-ესაა ავფრინდებიო.

სხივები მთებს იქით ჩაიკრიფნენ.

ქურდულად შემოიპარა ბინდი.

თეონას თოჯინა გულში ჩაეკრა. თვალებში დიდი, ტანწოწოლა ჭიაკოკონა ენთო, ირგვლივ ყველაფერს, ყველაფერს რომ ანათებდა.

დამთავრდა არდადეგები

თეონამ დილით თვალი რომ გაახილა და მიმოიხედა, ძილ-ღვიძილის ბურუსში გახვეულს თავი ისევ «ციცინათელაში» ეგონა. ჩემი შინ ყოფნა, სიზმარიაო, ფიქრობდა, და როცა დარწმუნდა, ცხადი იყო, გული დასწყდა.

_ უკვე ამდგარხარ? დილა მშვიდობისა ჩემო სიცოცხლე! — მიესალმა ბებო, — დაბლა ჩამოდი, შეკეცილებს გიცხობ. შენც გამოგაცხობინებ, არ გინდა?

თეონა იდგა, არ ინძრეოდა და არც ხმას იღებდა. ეგონა ეს-ესაა, მზია, ლაშა, ლალი, ვაჟა, ზაზა... კარს შემომიღებენ და დამიძახებენო.

_ რას გაჩუმებულხარ? — გაიკვირვა სალომე ბებომ, — თქვი რამე!

თეონამ არც ახლა გასცა ხმა.

_ შენ რა, ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს? — სათვალეს ზემოდან გადმოხედა, — აჰა, მიგიხვდი, ისევ იმ «ციცინათელაში» გინდა, არა?!

ის იყო, უნდა აცრემლებულიყო, რომ კაკლის ხეზე შემომჯდარმა კაჭკაჭმა ჩამოსჭყრიალა.

ბებომ თავზე ხელი გადაუსვა შვილიშვილს.

_ წავალ, საქმეს მივხედავ, ჩაიცვი, დაბლა ჩამოდი, — ალერსით უთხრა და კიბეს ჩაუყვა.

კაჭკაჭმა ისევ დაიჭყრიალა.

_ რა გაცინებს? — ტუჩები გაბუსხა თეონამ, — შენ თუ ვინმე მოგენატრება, ფრთები გაქვს, გაფრინდები და, ვისაც გინდა, იმას ნახავ. არ მისმენ? სად იყურები? ააა. ჩემს თოჯინას უყურებ? იცი ვინ მაჩუქა? ძია რეზომ... არ იცი, ვინ არის?.. შენ არაფერიც არ იცი!.. გინდა, მოგიყვე?... კარგი, მოგიყვები... და ის იყო, თხრობა უნდა დაეწყო, რომ უცებ კაკლის ხე შეირხა და გაქრა... გაქრა კი არა «რომანტიკოსთა სასახლედ» იქცა...

_ გავეცნოთ ერთმანეთს! — ჩაესმა თითქოს ნაცნობი ხმა, — ჯერ ძმებს წარმოგიდგენ: ამირანი, მირიანი, ბესიკი, ჭიჭიკო, ჭიპიტო, ტიტიკო, ილიკო, ნიკო, სიკო. დღევანდელ თავშესაყარს ერთი ძმა აკლია... მე სერგო გახლავართ...

ძია სერგოს ხელში ვეებერთელა თოჯინა უჭირავს და თეონას აწვდის...

_ შრ-რრ! — შემოუბერა ქარმა.

კაკლის ხე შეირხა და «სასახლეც» გაქრა.

თეონა მონუსხულივით იდგა... მერე მზემ სხივის საქანელა გააბა კაკლის ტოტებზე. ერთი კი არა, ორი... სამი...

საქანელებზე ნინო, ლალი და მზია ისხდნენ...

ისევ შემოუბერა ქარმა, ისევ შეირხა კაკლის ხე და საქანელაზე მსხდომი გოგონები გაქრნენ.

_ აჰ! — ჩურჩულით წამოსცდა თეონას და თავისივე ხმამ ფიქრებიდან გამოიყვანა.

ფარფატით მიილია ერთი დღე... ორი...

ხშირად მოგონებები თავისთავად აწრიალდებოდნენ და ფიქრის ბურუსიდან ნაცნობი სახეები გამოიკვეთებოდნენ. ზოგჯერ ისე ძლერ მოუნდებოდა ბანაკში გაცნობილი ბავშვების ნახვა, მოთმინება ელეოდა. და აი,

მაშინ განმარტოვდებოდა, სარკმელთან მიდგებოდა და ფართოდ გახელილი, ფიქრიანი თვალებით სივრცეში იყურებოდა.

ლურჯი ცის ფონზე იტვიფრებოდნენ ისინი და გაღიმებული სახეებით მოდიოდნენ ფანჯარასთან.

ხან ქარით აფრიალებულ, დაფანტულ ფოთლებზე ისხდნენ...

ზამთარში ფიფქებზეც მოირწეოდნენ...

ვაშლის ყვავილით მოფენილ ბილიკზეც მოიმღეროდნენ...

ხანაც ატმის ვარდისფერ თოვლში...

ღამით ბაღში დაღვრილ მთვარის შუქზეც გამოჩნდებოდნენ...

სანამ თეონა გამოერკვეოდა, ყველანი თვალსა და ხელს შუა ქრებოდნენ...

ასე გადიოდა დღეები, კვირეები და თვეები...

განსაკუთრებით გაზაფხულის პირას აუწრიალდა ფიქრები. ტყემლის ყვავილებს მოჰყვებოდნენ ისინი, სარკმელს შემოაღებდნენ, შემოფრინდებოდნენ და თეონას წარიტაცებდნენ. მერე იქ, ჭინკების გორაზე, ვეებერთელა ჭიაკოკონას ანთებდნენ.

_ როდის მოვა ზაფხული?.. — ჩურჩულებდა გოგონა.

_ რა იყო, მოგენატრნენ მეგობრები? — ჩაესმოდა ალერსიანი ხმა.

_ შენა ხარ, მონადირე ბიჭო?.. ჰო, ძალიან!

_ წამო... გავფრინდეთ!

_ სად?

_ «მონატრების კუნძულზე», ყველანი იქ დაგხვდებიან.

_ კარგი, წავიდეთ!..

თვალის დახამხამებაში ფიქრის რაშიც მოფრინდებოდა, გოგონას შეისვამდა და «მონატრების კუნძულისაკენ» გააქროლებდა.

დაიბეჭდა გამომცემლობა "ეროვნული მწერლობის"
სტამბაში. მხატვრის ქ. №4
ტელ. 31-70-47
32-73-62
E.male
Litandart@yahoo.com
vaja.otrashvili@yahoo.com

თბილისი. 2009